საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ორგანო
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie

ეროვნული ბიბლიოთეკა
832
1990

# ჩვენი დროშა

## "NOTRE DRAPEAU"

დაარსებულია ნოე ჟორდანიას მიერ

Nr.5(119)

„ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა."
„მესამე დასი", *1893* წელი.

პარიზი აგვისტო - 1990 - AOÛT *PARIS*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## აგვისტოს აჯანყების 66-ე წლისთავი

წარსული აწმყოა........................................1
აგვისტოს აჯანყების ზოგიერთი ფაქტები..........................4

## მორიგი საკითხები - "აქვე და ახლავე"

ვავიკოთ "ხალხის ხმა..."(უზენაესი საბჭოს არჩევნების გამო)..........8
ამონაწერები საარჩევნო კანონიდან..............................12
გერმანიის გაერთიანების გამო..................................13
ახლო აღმოსავლეთის კრიზისი....................................18
უსამართლობა ვერასოდეს ვერ გახდება სამართლიანობა..............21

## "მესამე ღასი" "მესამე გზა?" - თეორია და პრაქტიკა

საქ.სოციალ-დემოკრატიული პარტიის წესდება, პროგრამა და
V ყრილობის მასალები..........................................26
ილია და ნოე..................................................64
"ექსტრემისტთა" უგნურება და ტრაგედია..........................69
"რეგულირებადი საბაზრო მეურნეობა"...... .. ...................76
საქ. პროფკავშირების დამოუკიდებლობის დეკლარაცია...............80

## პარტიული ცხოვრება

საქ.სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარე გურამ მუჩაიძე........82
ავსტრიის სოც.პარტიის ლიდერის ბრუნო კრაისკის გარდაცვალება........83
ვალენტი რიჟამაძის გარდაცვალება...............................84
"ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგიის სხდომა....................85

## ქართული სათვისტომოების ცხოვრება

26 მაისის დღესასწაული პარიზში................................86
26 მაისი მიუნხენში...........................................87
"ლევილობა"...................................................88
ლევილის ქართული მამულის 68 წლისთავი..........................89
ლევილის "ჩვენი ბიბლიოთეკა"...................................92
აგვისტოს აჯანყების 66 წლისთავის აღნიშვნა ლევილში..............93

გარდაცვლილთა ხსენება.........................................94

"ეროვნული თავისუფლება ერის კეთილდღეობის საფუძველია. ამიტომ სოციალური ვერასოდეს ვერ დაჩრდილავს ეროვნულს. თავის მხრივ, ეროვნულს არ ძალუძს სოციალურის იგნორირება. სოციალ-დემოკრატები ეროვნულსა და სოციალურს ერთიერთ-კავშირში აღიქვამენ."

სსდპ პრინციპების პროგრამა, თბილისი, 1990 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული
ეროვნული საბჭო

Conseil National Géorgien

*Paris, le* 15.10.1990

# მიმართვა

## საქართველოს უზენაესი საბჭოს ამომრჩევლებს!

ძვირფასო მეგობრებო!

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს რვა პოლიტიკური პარტია და ექვსი საარჩევნო ბლოკი. ეს პირველი შემთხვევაა დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ, როცა განზრახულია მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება, თუმცა კომპარტია კვლავინდებურად ბატონობს საქართველოში.

დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში კი, როგორც ცნობილია, 1919 წლის თებერვალში, ჩატარდა პირველი ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები საქართველოს ისტორიაში საერთოდ, რომლის დროს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო თორმეტმა პოლიტიკურმა პარტიამ და დაჯგუფებამ, რომელთაგან საქართველოს ამომრჩევლებმა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში - სულ 130 დეპუტატიდან - 109 დეპუტატი აირჩია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, 8 დეპუტატი ეროვნულ დემოკრატიულ პარტიიდან, 8 დეპუტატი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან და 5 დეპუტატი სოციალისტ-რევოლუციონერ პარტიიდან. ამ გზით შესაძლებელი გახდა საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო წესყობილების განმტკიცება და მისი სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რის საფუძველი იყო - თავის მხრივ - "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი". და ასე შეიქმნა სანიმუშო უფლებრივი სახელმწიფო, რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა დასავლეთ ევროპის მრავალი სახელმწიფო მოღვაწე.

და დღეს, როცა არანაკლები რთული, დაძაბული მდგომარეობაა საქართველოში, როცა ყოველი ჯურის შინა თუ გარე შენიღბული დიდმპყრობელი შოვინისტები თუ ექსტრემისტები საქართველოში მცხოვრებ არაქართველთა მცირე ნაწილს იყენებენ ქართველ ერთან ეროვნული შუღლის ჩამოგდებისათვის, - ერთადერთი გამოსავალია ნამდვილი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, რომ შესაძლებელი გახდეს "ხალხის ხმის" გაგება და მის შესაბამისად მოქმედება.

ამიტომ, <u>ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში</u>, მოგიწოდებთ თქვენ, საქართველოს უზენაესი საბჭოს ამომრჩევლებს, გამოუკლებლივ მონაწილეობა მიიღოთ ამ არჩევნებში და, სრული ეროვნული შეგნებით, ხმა მისცეთ იმ პარტიას და დეპუტატების კანდიდატს, რომლებიც თავიანთი <u>პროგრამებით</u> ყველაზე უფრო მოწოდებულნი არიან თავი გაართვან საქართველოში არსებულ რთულ მდგომარეობას.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოლიტიკა მხოლოდ მეცნიერება კი არა, შესაძლებლობების ხელოვნებაა, რაც იმას გულისხმობს, რომ "პოლიტიკური შესაძლებლობა" საქართველოში არსებულ <u>კონკრეტულ</u> პირობებიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომ შესაძლებელი გახდეს ისეთი დემოკრატიულ-სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა-განმტკიცება, რომელიც ღირსეული მემკვიდრე გახდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის "პატარა 'ოქროს ხანისა'", რომელიც ქართველმა ხალხმა შექმნა 1918-1921 წლებში.

მაშ, ყოველმა თქვენგანმა აქტიური მონაწილეობა მიიღეთ, ამჯერად, საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს ისევ-აღდგენაში საარჩევნო ბიულეტენებით, რომ საქართველო, ქართველი ერი ისევ გამოვიდეს საერთაშორისო არენაზე როგორც დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო. მხოლოდ-და-მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი საქართველოს დღევანდელი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის დაძლევა.

მაშ, ყველა არჩევნებზე!..

ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე:

პარიზი, 1990 წლის 15 ოქტომბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აგვისტოს აჯანყების 66-ე წლისთავი

## წარსული აწმყოა

### I.

"ყოველთვის ერთი-და-იგივეა" - ასეთი კომენტარი გაუკეთა აგვისტოს აჯან-
ყების აღნიშვნის ამჟამინდელ მოსახლეობას ერთმა ჩვენმა, უდავოთ, პატრიოტმა
თანამემამულემ, რითაც, როგორც ჩანს, სურდა ეთქვა: - რა უნდა ით-
ქვას "ახალი" აგვისტოს აჯანყების(და,საერთოდ, ყოველი ღირსშესანიშნავი თა-
რიღის, და ამით მოვლენის)შესახებ, რომელზედაც რამდენი რამ ითქვა თუ დაი-
წერა?!.. ამგვარი, ჩემის აზრით, მცდარი აზრის უკუგდება, ვითომ შეხამლე-
ლია გამოთქმით - წარსული აწმყოა?..

### II.

ვის არ გაუმეორებია უბრალო ჭეშმარიტება, რომ - წარსული აწმყოა, აწმყო
მომავალია, თუმცა წარსული აწმყო და აწმყო მომავალია მხოლოდ მაშინ, თუ
ადამიანი, ადამიანთა კრებული - ოჯახი, გვარი, ტომი, ერი - "ქმედითი",
"მომქმედია", რომლის დროს იგი "აქვე და ახლავე" - "წარსულს" კი
არ ივიწყებს, არამედ - პირიქით - მას "აწმყოობით" აპოხიერებს, როცა ის
მას("წარსულს") შესაფერისი სიფაქიზითა და გულდასმით აღიქვამს და დღევან-
დელი("აწმყოს") თვალხედვით ასახავს, რითაც "წარსული",ისტორიული ფაქტი,
მართალია, არ იცვლება, მაგრამ მისი "განჭვრეტა" - ნებსით თუ უნებლიეთ -
"დღევანდელ" სახეს ღებულობს; და ამ გზით იგი("წარსული") ისევე არ ხდება
"ქმედითი","მომქმედი"?..

### III.

მაგრამ წარსულ-აწმყო-მომავლის ამგვარ "ქმედით","შემოქმედებით", "განახლე-
ბით" ძალას საშიშროება ხომ არ მოელის, როცა ზოგიერთები ისტორიულ ფაქტს
ან ივიწყებენ ანდა მის "დღევანდელი" თვალხედვით განჭვრეტას თავს არიდე-
ბენ იმ მომიზეზებით, რომ ერთიდაიგივე ფაქტის(და ამით ღირსშესანიშნავი
თარიღის) აღნიშვნა ყოველთვის ერთიდაიგივეა, რითაც მის(თარიღის) აღნიშვ-
ნასაც კითხვის ქვეშ აყენებს?.. აქ ჩვენ მივედით,ამგვარად,მოაზროვნე პი-
რის, პირთა კრებულის - ოჯახის,გვარის,ტომის,ერის - "დაავადებასთან",რომ-
ლის სიმპტომი უფრო ღრმაა.

### IV.

"...ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, - ამბობს ილია ჭავჭავა-
ძე -, როცა ერი, თავის საუბედუროთ, თავის ისტორიას ივიწყებს...დავიწ-
ყება ისტორიისა, მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა...წარსუ-
ლი მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა...შვილმა უნდა
იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღლის
წევა...უამისოდ თითონ შვილი, რა გინდა მხნე და გამსჯელი იყოს, უხორთუმო
სპილოს ემგვანება...და ამ წუთისოფელში ვერას გახდება...ისტორია ის დიდე-
ბული ტაძარია, სადა უწირავს ერთიანს სულსა ერისას და სადა აღუმართავს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერს თავის დიდებულ და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდაესნი ხატნი და ზედ წაუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი".

V.

და აქ ხომ "წარსული" "აწმყოა", რაც იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ წარსული აწმყოზე და აწმყო წარსულზე = წარსულის გაგებაზე არსებით ზეგავლენას ახდენს?..

VI.

კონკრეტულ ფაქტებს რომ დავუბრუნდეთ, "26 მაისი" - "25 თებერვალი" - "28-29 აგვისტო " - სამი ეროვნული მნიშვნელობის თარიღია საქართველოს თანამედროვე ისტორიაში, რომლებშიც თავს იყრის საქართველოს, ქართველი ერის სამი-ათას-წლოვანი ისტორიის ყველა ფაქტი და მოვლენა:
"26 მაისი" 1918 წლისა, როგორც, ვთქვათ, 4 ივლისი 1776 წლისა ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის თუ 14 ივლისი 1789 წლისა საფრანგეთისათვის, - ქართველი ერის, საქართველოს "ისევ-აღდგომის" დღეა, რომლის "დავიწყება" სხვა რა უნდა იყოს თუ არა ეროვნული თვითმკვლელობის გზაზე დადგომა, რადგან "26 მაისის" ალტერნატივა არ არსებობს თუ ჩვენ გვსურს, რომ "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს".
"25 თებერვალი" კი არის საქართველოს, ქართველი ერის ისევ-დაპყრობის დღე, და ამით სიმბოლოა ქართველი ერის ისტორიის "ჩარხის უკუღმა ტრიალისა" საერთოდ, როცა საქართველოში შემოიჭრენ და გაბატონდენ უცხო დამპყრობლები - თურქები, მონღოლები, სპარსელები თუ, ახლა, რუსები. "25 თებერვლის" "დავიწყებაც", ამიტომ, სხვა რა უნდა იყოს თუ არა უცხო ბატონობისადმი ქედის მოხრა, ეროვნულ თავისუფლებასა და სუვერენობაზე უარის თქმა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ეროვნული თვითმკვლელობის გზაზე დადგომას უდრის.
"28-29 აგვისტო" 1924 წლისა - თავის მხრივ - ერის, საქართველოს ქმედითი ძალების, თავის-უფლებისაკენ მისწრაფების, ე.ი. "26 მაისის" იდეების გამარჯვების ცდაა შავ-ბნელ "25 თებერვალზე".

VII.

ამგვარად,-მოვიგონებთ რა დღეს, 1987 წლის 28-29 აგვისტოს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას, - ეს ამავე დროს ნიშნავს "26 მაისისა" და "25 თებერვლის" მოგონებასაც, რომლის დროს აგვისტოს აჯანყების მოგონება "დღეს","აქვე და ახლავე" "26 მაისის" იდეების გამარჯვებას გულისხმობს შავ-ბნელ "25 თებერვალზე". მაგრამ როგორი უნდა იყოს ტაქტიკა, გზა ამგვარი გამარჯვების მიღწევისათვის "დღეს", 1990 წლის 28-29 აგვისტოს,"აქვე და ახლავე?.."

VIII.

ამ საკითხშიშეიძლება არსებობდეს და არსებობს კიდეც სხვადასხვა შეხედულება, სხვადასხვა გზა:
გამოვდივართრა იმ წინაპირობიდან, რომ საქართველოს დღევანდელი სახელმწიფოებრივი სტატუსი არავის არ აკმაყოფილებს, ჩვენს დამპყრობლებსა და მათ თითო-ოროლა ქართველ მიმდევრებს გარდა, - ვფიქრობთ, რომ -

ერთნი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მიღწევას ცდილობენ საბჭოთა კავშირის"გარდაქმნით" თვით კონ-ფედერაციული "ახალი კავშირის" შექმნის ჩათვლით.

მეორენი, - ეყრდნობიან რა საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების დებულებებს, - ცდილობენ, ამ საზავო ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენას ფაქტიურადაც, ვინაიდან იურიდიულად იგი, აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, არსებობდა და დღესაც არსებობს.

მესამენი კი ყველა ლეგალურ გზას თვლიან მიზანშეწონილად, თვით საბჭოთა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებს, 1990 წლის 28 ოქტომბერს, - თუ ეს გზა მიემართება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

IX.

ამდენად, - აღვნიშნავთ რა დღეს, 1990 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების სამოცდა-მეექვსე წლისთავს, - შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი ხალხის დიდი, დიდი უმრავლესობა მიისწრაფვის იმ იდეალების ისევ-განხორციელებისაკენ დღეს, "აქვე და ახლავე", რომელთათვის 1924 წლის აგვისტოში თავის განსწირა ჩვენმა ხალხმა, ხელი მოკიდა იარაღს და შეებრძოლა უცხო ძალას. მართალია, აგვისტოს აჯანყება დამარცხდა, მართალია, ამ ტრაგედიის შემდეგ, ქართველი ხალხი მშვიდობიანი დემონსტრაციების გზას დაადგა ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის, მაგრამ არც 1956 წლის 9 მარტისა და არც 1989 წლის 9 აპრილის მშვიდობიანი დემონსტრაციები მშვიდობიანად არ დამთავრდა, რადგან უცხო ძალამ ისევ ძალადობას მიმართა და სისხლის ღვარი დააყენა თბილისის ქუჩებში. კიდევ მეტი: მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, 9 აპრილს, 1989 წელს, ქიმიური საწამლავი ნივთიერებანიც კი იქნა გამოყენებული, რომლის დროს დაიღუპა ათობით, დაშავდა კი ათასობით ადამიანები.

X.

და თუ წარსული-აწმყოა, - და ეს ასეა,უთუოდ, - მაშინ ვისურვოთ, რომ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია უკანასკნელი იყოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მიღწევის გზაზე; და როცა ეს განხორციელდება, ეს იქნება ყველაზე უფრო დიდი პატივისცემა არა მარტო 1924 წლის აჯანყებაში დაღუპულებისადმი, არამედ, საერთოდ, ეროვნული მებრძოლებისადმი, რომლებმაც თავი შესწირეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1990 წლის 28-29 აგვისტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ზოგიერთი ფაქტები აგვისტოს აჯანყებისა

I.

აგვისტოს აჯანყების მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენა.

1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, როგორც ცნობილია, რუსეთმა დე ფაქტო და დე იურე იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ რუსეთმა, 1921 წლის 11 თებერვალს, დაარღვია რუსეთ-საქართველოს ეს ხელშეკრულება და დამოუკიდებელ საქართველოს წინააღმდეგ დაიწყო ომი. მიუხედავათ ცხარე ბრძოლებისა, რომლის დროს საქართველოს ახალგაზრდა არმიამ არა ერთი მარცხი აგემა მომხდურ მტერს, განსაკუთრებით თბილისის მისადგომებთან ტაბახმელაზე, საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ქართველი ბოლშევიკების ხელშეწყობით, 1921 წლის 25 თებერვალს გამოაცხადეს საქართველოს ე.წ-ლი გასაბჭოება, ე.ი. საქართველო ისევ მოექცა მოსკოვის, ამჯამად წითელი მოსკოვის ბატონობის ქვეშ.

II.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ იარაღის ძალით მოსპო არა მარტო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და დაამყარა სასტიკი ბოლშევიკური რეჟიმი, არამედ, სხვათა შორის, დაანაწილა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ტერიტორია. ლენინის მთავრობამ თურქეთს გადასცა ბათუმის ოლქის ნაწილები, ართვინი, სომხეთს მისცა ბორჩალოს მაზრის ნაწილი, აზერბაიჯანს ზაქათალის, სიღნაღისა და თბილისის მაზრების ნაწილები, რის შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 91.100-ს კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიიდან, საბჭოთა საქართველოს შერჩა 69.700-ი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, რომლის დროს საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი - სოჭი და მისი რაიონი - თვით საბჭოთა რუსეთმა მიიკუთვნა, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს.

III.

ქართველმა ხალხმა ვერ აიტანა საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს დაპყრობა და გაუქმება, რასაც მოყვა დემოკრატიული წესყობილების გაუქმება და ბოლშევიკური დიქტატორული რეჟიმის დამყარება, - და მომხდურ მტერს აჯანყებებით უპასუხა. ეროვნული მოძრაობა დაიწყო სვანეთში. 1921 წლის ზაფხულში სვანეთის ხალხი აჯანყდა და მთელი სვანეთი დაიკავა; მართალია, აჯანყებულები დამარცხდენ, მაგრამ სვანეთის აჯანყებამ მთელი საქართველო გამოაფხიზლა.

IV.

1921 წლის შემოდგომაზე, საქართველოში იმ დროს არსებული ყველა დემოკრატიული პარტიები გაერთიანდენ "დამკომში", ე.ი. დამოუკიდებლობის კომიტეტში, რომელშიც შედიოდენ:

1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია,
2. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტია,
4.საქართველოს სოციალ-რევოლუციური პარტია და
5."სხიველები". "დამკომის" თავჯდომარე იყო 1922 წლამდე ნ.ქარციეაძე, ხოლო 1922 წლიდან 1924 წლამდე კოტე ანდრონიკაშვილი. იმავე დროს საზღვარგარეთ დაარსდა საერთო კომიტეტი იმავე პოლიტიკური პარტიების შემადგენლობით, რომელსაც ევალებოდა დიპლომატიური მუშაობა უცხოეთში.

"დამოუკიდებლობის კომიტეტის" ფარგლებში დაარსდა შემდეგი კომისიები:
1.წითელი ჯვრის კომისია,
2.ფინანსიური კომისია,
3.სარედაქციო კომისია და
4.სამხედრო კომისია.
ამ კომისიებს ევალებოდათ თავთავიანთი დარგების ორგანიზაციულად ჩამოყალიბება და მუშაობა.

V.

აჯანყებისათვის დარაზმვა და მომზადება კი წარმოებდა ორი მხრივ:
1.პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციების აღდგენას თუ გაძლიერებას აწარმოებდა "დამკომში" გაერთიანებული პოლიტიკური პარტიები.
2.ქართველი ხალხის სამხედრო დარაზმვას კი განაგებდა სამხედრო ცენტრი, შემდეგი შემადგენლობით:
თავჯდომარე გენერალი კოტე აფხაზი; წევრები: გენერალი ალ.ანდრონიკაშვილი, გენერალი ვარ. წულუკიძე, პოლკოვნიკი გოგი ხიმშიაშვილი, პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი. პარტიზანული რაზმის უფროსად დაინიშნა კახეთში პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი; ქართლში კი მიხეილ ლაშქარაშვილი.

VI.

მთელი საქართველო დაყოფილ იქნა სამოქმედო რაიონებად. რაიონებში დაინიშნა სარდლები და მათი თანაშემწეები. თითოეულ რაიონს "დამკომის" წარმომადგენელი მეთაურობდა და მას ემორჩილებოდა ამ რაიონის სარდალიც. საქართველო დაყოფილ იქნა სულ თერთმეტ სამოქმედო რაიონად:

1. თელავის მაზრაში რაიონის სამხედრო წარმომადგენელი იყო კაპიტანი მიხაილოვი, ეროვნებით ბერძენი, და ლეიტენანტი შ.ხიდამონ-ერისთავი. "დამკომის" წარმომადგენელი იყო ფირუზა(ფსევდონიმი).
2. გურჯაანის რაიონს მეთაურობდა ჯანდიერი.
3. თიანეთში, დუშეთში, კავთის-ხევში, მანგლისში და ბორჩალოში ქაქუცა ჩოლოყაშვილი ნიშნავდა თავის ხალხიდან მეთაურებს და თვითონ ინიშნებოდა სარდლად ამ რაიონში.
4. სიღნაღის რაიონში დაინიშნა მეთაური...
5. გორის რაიონში დაინიშნა მეთაური...
6. ქუთაისის რაიონში დაინიშნა პოლკოვნიკი ს. წერეთელი. "დამკომის" წამომადგენელი კი იყო გიორგი წერეთელი.
7. სვანეთში დანიშნულ იქნა პოლკოვნიკი გარდაფხაძე.
8. სამეგრელოში დანიშნულ იქნა გენერალი თოფურია."დამკომის" წარმომადგენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კი იყო შალვა კალანდარიშვილი.

9. ქუთაისში სამხედრო ორგანიზაციაში შედიოდნენ პოლკოვნიკი მიქელაძე, პორუჩიკი გ.ჯაჭიაშვილი, ხოლო "დამკომის"რწმუნებული იყო ელისე პაცარიძე.

10. გურიაში დანიშნულ იქნა გენერალი სოლომონ ყარალაშვილი, ხოლო "დამკომის" წარმომადგენელი იყო ქავთარაძე.

11. ბათუმში დანიშნულ იქნა გენერალი ფურცელაძე, ხოლო "დამკომის" წარმომადგენელი იყო მგალობლიშვილი.

საქართველოს ყველა აღნიშნული რაიონის სარდლები, თავთავიანთი ამოცანების შესრულების შემდეგ, სამაზრო ქალაქებს უნდა დახმარებოდნენ.

VII.

ჩრდილოეთ-კავკასიის მთიელებთან იგზავნებოდნენ მაიორი ვ.ბერიძე, როტმისტრი ი.ავალიშვილი და შვიდი სხვა ოფიცერი. მათი მოვალეობა იყო ეხელმძღვანელად აჯანყებული მთიელი ხალხისათვის.

აჯანყების მთავარსარდლის დანიშვნა და მასთან სამხედრო შტაბის დანიშვნა უნდა მომხდარიყო მხოლოდ აჯანყების წინა თვეში. "1923 წლის შემოდგომისათვის სამხედრო კომისიას თავისი მუშაობა დამთავრებული ჰქონდა, ე.ი. აჯანყებისათვის ხალხი დარაზმული ჰყავდა. აჯანყება უნდა დაწყებულიყო მთელ საქართველოში ერთ დღეს, ერთ საათს; უეცრივ და შეუჩერებლად უნდა ემოქმედათ, სანამ მტრის რიგებში დემორალიზაცია არ მოხდებოდა"(ს.ზალდასტანიშვილი:"საქართველოს 1924 წლის ამბოხება",მიუნხენი, 1956 წ.).

VIII.

"დამოუკიდებლობის კომიტეტის" თავმჯდომარემ გენერალმა გ.ანდრონიკაშვილმა მოლაპარაკება აწარმოა გენერალ ს.ჭავჭავაძესთან და იგი დანიშნულ იქნა აჯანყების მთავარსარდლად. მთავარსარდალმა გენერალ ს.ჭავჭავაძემ განაცხადა, რომ ძალები და ტექნიკური მუშაობა საკმარისად მიაჩნია აჯანყების დაწყებისათვის. "მთავარ-სარდლის დაფასებამ გადაწყვიტა აჯანყების საკითხი, რაც ყველა პარტიის მიერ იქნა მიღებული"(იქვე). ამ დღიდან აჯანყების დეტალური დამუშავება მთავარსარდალს და მის შტაბს ევალებოდა. "დამკომმა" აჯანყების დღედ დანიშნა 1924 წლის 17 აგვისტო. აჯანყება უნდა დაწყებულიყო შემდეგი გეგმით: პირველად გამოვიდოდა თბილისი.მაგრამ 1924 წლის 6 აგვისტოს ჩეკამ დააპატიმრა ვალიკო ჯუღელი. ამას მოყვა გეგმის შეცვლა. 24 აგვისტოს "დამკომმა" დაადგინა, რომ აჯანყება დაიწყოს 29 აგვისტოს, დილის ორ საათზე. აჯანყების მთავარი შტაბი გადატანილ იქნა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკში, ე.ი. აქ იყო "დამკომისა" და მთავარსარდლის სადგომი, ხოლო თბილისში დარჩა "დამკომის" განყოფილება.

IX.

მაგრამ მოხდა მოულოდნელი ამბავი: ჭიათურაში,1924 წლის 28 აგვისტოს დილის ორ საათზე, დაიწყო აჯანყება, ე.ი. 24 საათით ადრე, ვიდრე საჭირო იყო, და აჯანყებულებმა დაიკავეს ქალაქი. ჭიათურის 24 საათით ადრე გამოსვლამ, მოქმედების ინიციატივა "ჩეკისა" და ხელისუფლების ხელში მოაქცია,და იმავე 28 აგვისტოს გამოაცხადეს სამხედრო წესები, და დაიკავეს ყველა სტრატეგიული ადგილები. მიუხედავად ამისა, აჯანყება საქართველოში 1924 წლის 29

აგვისტოს მთელ ქვეყანას მოედება. აჯანყებულებმა აიღეს ბრძოლით დუშეთი, შევიდენ ზემო-კახეთში, აქედან გადავიდენ ყარაიაში და ამოვიდენ ბორჩალოში, მაგრამ თბილისის აღებისათვის უკვე გვიანი იყო. ხელისუფლებამ ყველა ზომა მიიღო ქალაქის დასაცავად, რის შედეგად ბრძოლის გაგრძელება უაზრო ხდებოდა. დასავლეთ საქართველოში აჯანყებულებმა აიღეს მრავალი რაიონი. მთელი სამეგრელო და სვანეთი აჯანყებულთა ხელში იყო. "დამკომს" კი არ შეეძლო უკვე განკარგულებების მიცემა პროვინციებისათვის, რადგან კავშირები შეწყვეტილი იყო. ამგვარად, 1924 წლის 28-29 აგვისტოს საერთო სახალხო აჯანყება დამარცხდა.

X.

ბოლშევიკებმა დაიწყეს სასტიკი ტერორი არა მარტო აჯანყებულების წინააღმდეგ. მაგალითად, პირველ, ორ და სამ სექტემბერს თბილისის "ჩეკიდან" და მეტეხის ციხიდან გამოჰყავდა ასობით პატიმრები, რომლებსაც აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, და საბურთალოზე დახვრიტეს.4 სექტემბერს, მცხეთის მიდამოებში, დაიჭირეს "დამკომის" თავჯდომარე გენერალი კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი და ხუთ სექტემბერს აიძულეს ხალხისათვის მიემართათ, რომ აჯანყება დამარცხებულია და აჯანყებულთა რაზმებს სთხოვეს ხელისუფლებას დამორჩილებოდნენ. და აქაც ბოლშევიკებმა "ჩეკის" მეთოდს მიმართეს: შერიგებული აჯანყებულები ციხეებში ჩაყარეს, საიდანაც ზოგიერთები საბურთალოზე დახვრიტეს, ზოგიერთები კი ციმბირში გადაასახლეს. "ჭიათურის მეამბოხენი ბოლშევიკებმა შეირიგა, იარაღ-აყრილი ხალხი თბილისში გასაგზავნად საქონლის მატარებელში ჩაყარა. შუა-გზაში გააჩერეს და დაკეტილ ვაგონებში ხალხი ტყვიისმფრქვეველები ამოჟლიტეს".(იქვე). მიუხედავად ამგვარი სასტიკი ტერორისა, ბოლშევიკებმა  ქართველი ხალხი გატეხა მაინც ვერ შესძლო. 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყება ფიზიკურად დამარცხდა,მაგრამ ქართველმა ხალხმა მორალურად გაიმარჯვა.

XI.

აი, ზოგიერთი ფაქტები 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისა, რომლის მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენა, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში - საქართველოს "პატარა 'ოქროს ხანის'" დროს.

კარლო ინასარიძე
ლევილი, 1990 წლის 28-29 აგვისტო

---

"ბალტიის სამი რესპუბლიკა, კავკასიის სამი რესპუბლიკა, ცენტრალური აზიის ოთხი რესპუბლიკა და მოლდავეთი უნდა გამოეყოს რუსეთს აუცილებლად და ურეზერვოდ".

ალექსანდრე სოლჟენიცინი:"რუსეთის რეკონსტრუქციის პროგრამა", 1990 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მორიგი საკითხები - "აქვე და ახლავე"

## გავიგოთ "ხალხის ხმა!.."

## დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის საქართველოში

I.

"Vox populi, vox Dei"="ხალხის ხმა ღვთის ხმაა!" ამ რომაული გამოთქმის მიხედვით, მოქმედება, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სფეროში, ხდება სამართლიანი თუ მას ხალხი მოიწონებს, რაც სრულიადაც არ შეესაბამებოდა რომის იმპერიის არსს, რომლის დროს "სამართლიანობის" გადაწყვეტა ხდებოდა "ზემოდან" და არა "ქვემოდან", ე.ი. ხალხის მიერ.

II.

მართალია, ათენის ქალაქ-სახელმწიფომ მოგვცა "დემოს"="ხალხის" "კრატეის"= ბრძანებლობის ნიმუში "დემოკრატია", მაგრამ ათენშიც "ხალხში" ათენის სრულუფლებიანი მოქალაქეები იგულისხმებოდა, და არა "უბრალო ხალხი"=მონები, რომელთა რაოდენობა, ხშირად, ათენის მოქალაქეების რიცხვს ჭარბობდა. გადმოცემით, ათენის ასი-ათასი მოქალაქეების გვერდით, ასი-ათასზე მეტი მონა ცხოვრობდა ამ "პოლის"=სახელმწიფოში.

III.

თანამედროვე დემოკრატიაში კი, რომელიც სოციალური დემოკრატიისაკენ მიილტვის, "ხალხის ხმა, ღვთის ხმაა", თუ,- მრავალპარტიული სისტემის პირობებში, - ხალხს მიეცემა "ხმის" გამოთქმის საშუალება, ვთქვათ, თავისუფალი არჩევნების მეშვეობით, რომლის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოდის არა "მთელი ხალხი", არამედ ხალხის უმრავლეობის მიერ არჩეული პარტია თუ პარტიები, თუ აბსოლუტური უმრავლეობის მიღწევა მხოლოდ კოალიციური მთავრობის შედგენის გზითაა შესაძლებელი.

IV.

და რად დაგვჭირდა ამგვარი ისტორიული ექსკურსი დღეს, 1990 წლის აგვისტოში? - ეს დაგვჭირდა იმიტომ, რომ დღეს საქართველოში გაგვაჩნია მრავალი პოლიტიკური პარტია და დაჯგუფება; გაგვაჩნია ინფორმაციის თავისუფლებაც, თუმცა შეზღუდული მასშტაბით, რადგან ყველა პარტიას თუ დაჯგუფებას, - კომპარტიის გარდა, - არ გააჩნია შესაბამისი ფულადი სახსრები და ორგანიზაცია. მაგრამ "ხალხის ხმა", "ხალხის უმრავლესობის ხმა" მაინც არ ისმის, რის გამოვლინება მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების გზითაა შესაძლებელი. ამგვარი არჩევნების ჩატარება კი, როგორც ჩანს, დიდ ორგანიზაციულ და ფინანსიურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

V.

თუ იმ "მჭლე" ინფორმაციით განვსჯით, რომელიც პოლიტიკურ ემიგრაციამდე აღწევს, საქართველოში, ამ-ჟამად, არსებობს სამი მიმართულება საერთო სახალხო არჩევნების ჩატარების საქმეში, რომ არჩეულ იქნან დეპუტატები, რომლებიც "ხალხის ხმის", "ხალხის უმრავლესობის ხმის" გამომხატველი იქნებოდა:

პირველი მიმართულებაა, ასე ვთქვათ, "ოფიციალური", რომლის გამომხატველია საქართველოს სსრ მთავრობა და კომპარტია, რომელიც ცდილობს 1990 წლის ოქტომ-

ბრის ბოლოს ჩაატაროს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები. ამისათვის საქართველოს სსრ მთავრობასა და კომპარტიას გააჩნია არა მარტო ეკონომიკური ბაზა, არამედ მთავრობისა და კომპარტიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია ჩვენი სამშობლოს მივარდნილ კუთხეებშიც კი, რაც, გასაგებია, დიდ უპირატესობას ანიჭებს კომპარტიას. მაგრამ, როგორც ჩანს, კომპარტიას არ გააჩნია ხალხის, ე.ი. სხვა პარტიებისა და მათ მიმდევართა ნდობა რომ შესძლოს არჩევნების ჩატარება ოპოზიციის თანხმობის გარეშე.

მეორე მიმართულებაში თავმოყრილია ოპოზიციური პარტიებისა და დაჯგუფებების ის ნაწილი, რომელიც მიზანშეწონილად თვლის ბოიკოტი გამოეცხადოს საქართველოს სსრ მთავრობისა და კომპარტიის უზენაესი საბჭოს არჩევნებს, და თავის მხრივ ცდილობს საერთო სახალხო არჩევნების ჩატარებას ეროვნული კონგრესის დეპუტატების არჩევის მიზნით, თუმცა, საეჭვოა, რომ ეს ოპოზიციური პარტიები და დაჯგუფებები შესძლებენ ამგვარი არჩევნების ორგანიზაციასა და მის წარმატებით ჩატარებას.

მესამე მიმართულება კი, რომელთა რიცხვშია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, - საჭიროდ თვლის ყოველი საშუალებისა და ხერხის გამოყენებას, რაც, საბოლოო ჯამში, შეარყევდა და აღკვეთდა კომპარტიის განუკითხავ ბატონობას საქართველოში.

VI.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა მეტად რთულია, რომ შესაძლებელი გახდეს გავიგოთ "ხალხის ხმა". პირველ მიმართულებასრომ დავუბრუნდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ კომპარტიაში დღეს გაერთიანებული ყოფილა, როგორც საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობაზე ითქვა, ოთხასი-ათასი კაცი, რაც წარმოუდგენლად დიდი ძალაა, მიუხედავად იმისა, რომ "კომუნისტი", ბოლშევიკური გაგებით, დღეს თვით რუსეთის კომპარტიაშიც უკვე აღარ არიან. რა თქმა უნდა, საყურადღებოა ბოიკოტის მომხრე ოპოზიციური პარტიების შეხედულებაც, რომ საქართველოს კომპარტია ფაქტიურად არ არსებობს, და რომ საქართველოს კომპარტია, სინამდვილეში თუ არა, ორგანიზაციულად მაინც კრემლის კომპარტიის შემადგენელი ნაწილია. მაგრამ ვითომ ამგვარი ორგანიზაციული რაობა უფრო მნიშვნელოვანია , უფრო არსებითია, ვიდრე კომუნისტური პარტიის მრწამსი, რომელიც, სულ ცოტა, სიტყვიერად იმდენად შეიცვალა, რომ საქართველოს კომპარტია "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა" და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პოზიციაზე დგას?.. ვითომ უყურადღებოდ უნდა დავტოვოთ ის ფაქტი, რომ "ზაულუხი",ე.ი.საქართველოს კომპარტია, ცდილობს გახდეს "პაულუხი", ე.ი. იმდენად მოახდინოს"ფერისცვალება", რომ საქართველოს დემოკრატიული პარტიების რიგებში ჩადგეს?.. ვინ იცის, შეიძლება "ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ", მრავალპარტიული, დემოკრატიული სისტემისაკენ გზაზე დადგომა, როგორც ეს სსრკ-ას კომპარტიის XXVIII ყრილობაზე"საპროგრამო განცხადებამ"იქნა აღიარებული, - ცარიელი სიტყვები არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ოთხას-ათას საქართველოს მოქალაქეს, რომელთა დიდი, დიდი ნაწილი - თუ ყველა არა - ბოლშევიზმისაგან თავის დაღწევის გზებს ეძებენ?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII.

რა თქმა უნდა, სიფრთხილე საჭიროა განსაკუთრებით მაშინ, როცა საქართველოს კომპარტია თავისი სახელწოდების შეცვლასაც კი გაურბის დღემდე, თუმცა ცდილობს კრემლის კლანჭებიდან დამოუკიდებლობის მიღწევას. მაგრამ აქაც საქმე ეხება არა საქართველოს კომპარტიას, როგორც ასეთს, არამედ საქართველოს კომპარტიის - ნომინალურ თუ ნამდვილ - ოთხასი-ათას წევრს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებია და ჩვენი ხალხის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილია. განა საქართველოში დღეს არსებულ რომელიმე პარტიას ან დაჯგუფებას შეუძლია ამ ოთხას-ათასიანი "არმიის" გამოთიშვა არჩევნებიდან?.. აი, საკითხი, რომელსაც უნდა ჩავუფიქრდეთ ჩვენ თუ გვსურს საქართველოს "ხალხის ხმის" გაგება.

VIII.

რაც შეეხება არჩევნების ჩატარების მეორე შესაძლებლობას, ვითომ ბოიკოტი რაიმე დადებით შედეგებს მოგვცემს საერთო სახალხო არჩევნების ჩატარების საქმეში?.. ამ შემთხვევაში, ვითომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს საკუთარი, ე.ი. კომპარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარეშე ჩატარებულ საქართველოს კონგრესის არჩევნების ჩატარებას, თუ უკეთესია მოქმედების "ბურთი და მოედანი" არ დავუთმოთ კომპარტიას, როგორი მცირეც არ უნდა იყოს არჩევნებში ხრული გამარჯვების მიღწევის შესაძლებლობა?!..

IX.

და აქ უკვე მივედით მესამე შესაძლებლობასთან, რომლის მომხრეა, როგორც ავღნიშნეთ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დიდი ისტორიული გამოცდილება გააჩნია ბოლშევიკებთან ბრძოლისა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სოციალ-დემოკრატები არც ერთ ლეგალურ თუ არალეგალურ შესაძლებლობას არ უარყოფდა, თუ ასეთი მოქმედება მიზნის განხორციელებისაკენ მიდიოდა. და დღესაც, ვითომ ყოველგვარი საშუალება არ უნდა იქნეს გამოყენებული, რომ შერყეული და აღკვეთილ იქნას მიწისაგან პირისა ერთპარტიული ბატონობა საქართველოში? - და ამ გზისაკენ თვით "ოფიციალური" არჩევნებიც არ მიგვითითებს, თუ საბჭოთა მთავრობა და კომპარტია არჩევნებში მრავალი პარტიის მონაწილეობას, ასე თუ ისე, უზრუნველჰყოფს?..

X.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ ქვეყნებში ჩატარებული, ისე როგორც ბალტიისპირეთის მოკავშირე რესპუბლიკებში ჩატარებული არჩევნები კომპარტიების თანხმობითა და მათში სამთავრობო ადმინისტრაციის მონაწილეობით, - რომ არ ვთქვათ ხელმძღვანელობით, - ჩატარდა, მაგრამ ხალხს იმდენი თავისუფლება მაინც მიეცა, რომ სახელმწიფო მმართველობაში, უმთავრესად, არა-კომუნისტური ძალები მოექცა, რის შედეგად გაიხსნა გზა, - მეტ-ნაკლებად, - ამ ქვეყნების დამოუკიდებლობისა და სუვერენობისაკენ. ვითომ საქართველოში ამგვარი პოლიტიკური ძვრები, დღევანდელ პირობებში, შეუძლებელია მიღწეულ იქნას?..

XI.

როგორც ვხედავთ, "ხალხის ხმის" გაგება, დღეს საქართველოში, ადვილი საქმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის, მით უმეტეს, რომ საბჭოთა არმია, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, ისე როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებული ძალები კომპარტიის უკან დგას, და როგორც 1989 წლის 9 აპრილს დავინახეთ, - ქიმიური საწამლავი ნივთიერების გამოყენებისაგანაც არ დაიხევს უკან, თუ ამგვარ ბრძანებას კრემლი გასცემს.

XII.

ყველა აღნიშნული და მათგან გამომდინარე ფაქტები ნათელჰყოფენ, რომ - ერთი მხრივ - სიფრთხილე, წინდახედულობა, "ცივი აზროვნებაა" საჭირო, რომ როგორმე გამომჟღავნდეს "ხალხის ხმა", ამ შემთხვევაში, საქართველოს "ხალხის ხმა", რომ, ბოლოს-და-ბოლოს, გაიწმინდოს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ისე, როგორც ეს მოხდა 1919 წელს, დამოუკიდებელ საქართველოში, როცა ხალხმა, დემოკრატიულ არჩევნებში, ხმა მისცა მხოლოდ ოთხ პოლიტიკურ პარტიას, მათი დეპუტატები წარადგინა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, და ამგვარად მოახდინა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაცია. გვჯერა, ქართველი ხალხიც ანალოგიურად იმოქმედებს, თუ მას მიეცემა ნამდვილი დემოკრატიული არჩევნების ჩატარების საშუალება, რაც - მეორე მხრივ - ბოლოს მოუღებს ჩვენი ქვეყნის ძალების ისეთ დაქუცმაცებას, როგორც ეს არის დღეს, როცა ახალი პარტიები, დაჯგუფებები თუ ორგანიზაციები სოკოებივით ამოდის და მრავლდება, რომლის განწმენდა, როგორც ავღნიშნეთ, მხოლოდ ხალხს,ამომრჩევლებს შეუძლია, თუ მათ მიეცემათ "ხალხის ხმის" გამოთქმის საშუალება.

XIII.

მაშ, აღნიშნულ სამ მიმართულებიდან, რომელია ყველაზე უფრო მიზანშეწონილი?.. არჩევნების ჩატარება კომპარტიის(და ამით მთავრობის) ეგიდის ქვეშ?.. ბოიკოტი ამგვარი არჩევნებისა და საკუთარი არჩევნების ჩატარება?.. თუ ამგვარ "დანაწილებისაგან" თავის დაღწევა, რომ არც "ოფიციალური არჩევნებისა" და არც ბოიკოტის მომხრეები არ იქნენ გამოთიშული არჩევნებისაგან იმგვარი "დათმობითაც" კი, თუ ნაწილობრივად "ნაწილობრივ დემოკრატიული" იქნება?.. ისიც ხომ ერთი ნაბიჯი იქნება წინ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიზაციისაკენ, და ამით, 26 მაისის იდეების განხორციელებისაკენ, თუ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში შერყეულ იქნება ერთპარტიული ბატონობა?..

XIV.

და, როცა, სულ ცოტა, სიტყვიერათ, საქართველოს ყველა პარტია და დაჯგუფება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენას აღიარებს, ვითომ რომელიმე პარტიას, დაჯგუფებას ან პირს აქვს უფლება ასეთი პარტია, დაჯგუფება თუ პირი გამოთიშოს არჩევნებიდან, თუ ჩვენ მართლა "ხალხის ხმის" გაგება გვსურს?.

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1990 წლის აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ა მ ო ნ ა წ ე რ ე ბ ი

### საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონიდან

#### I.ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. უზენაესი საბჭოში აირჩევა 250 დეპუტატი ხუთი წლის ვადით. მათგან 125 აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, ხოლო 125 პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე სრულიად საქართველოს პარტიული სიების მიხედვით.

მუხლი 8. აკრძალულია ისეთი პარტიების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადური შეცვლა, მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივება.

მუხლი 10. საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების მომზადება და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

მუხლი 12. იმ პარტიებს,...რომლებიც დაუშვებენ ამ კანონით დადგენილი საარჩევნო ფონდის ზღვრული ოდენობის გადამეტებას, ჩამოერთმევათ საქართველოს უზენაეს საბჭოში მათ მიერ მოპოვებული მანდატები და ექვსი წლით აეკრძალებათ უზენაესი საბჭოს არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატების წარდგენის უფლება...

#### II.არჩევნების დანიშვნა...

მუხლი 13. საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნებს ნიშნავს საქართველოს უზენაესი საბჭო თავისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს ოთხი თვისა.

მუხლი 14. პარტიებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში...

#### III.საარჩევნო ოლქები...

მუხლი 16. საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნებისათვის იქმნება 125 საარჩევნო ოლქი.

მუხლი 17. საარჩევნო ოლქები იყოფა საარჩევნო უბნებად.

#### VI. საარჩევნო ბიულეტენები

მუხლი 41. მზადდება ორი სხვადასხვა ფერის საარჩევნო ბიულეტენი. ერთში შეაქვთ პარტიათა და საარჩევნო ბლოკთა დასახელება... მეორეში შეაქვთ დეპუტატობის კანდიდატთა გვარი, სახელი...

#### VII. ...საქმიანობის გარანტიები

მუხლი 49. საარჩევნო კომისიებში რეგისტრირების დღიდან პარტიები... დეპუტატობის კანდიდატები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VIII. ...არჩევნების შედეგების დადგენა

მუხლი 54. საარჩევნო ოლქში პირველ ტურში არჩეულად ითვლება ის დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც მიიღებს არჩევნებში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს, თუ არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალა.

მუხლი 56. ხელახალი ხმის მიცემა საარჩევნო ოლქში ეწყობა თუ:

1)...ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმის მიცემის მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი.

2) ოლქში არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი... პირველ შემთხვევაში ხელახალი ხმის მიცემა ეწყობა არჩევნებიდან ორი კვირის შემდეგ და კენჭს იყრის ორი კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხელახალი ხმის მიცემის დროს მეტ ხმას მიიღებს. მეორე შემთხვევაში ხელახალი ხმის მიცემა ეწყობა არჩევნებიდან ერთი კვირის შემდეგ...

## IX. ...მოწმობა და სამკერდე ნიშანი

მუხლი 59. საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრის მოწმობა და სამკერდე ნიშანი.

თბილისი, 1990 წლის 18 აგვისტო

---

## "ყოველმა ერმა უნდა შექმნას თავისი სახელმწიფო..."

### გერმანიის გაერთიანების გამო

I.

"ყოველმა ერმა უნდა შექმნას თავისი სახელმწიფო. ყოველი სახელმწიფო უნდა შეიცავდეს ერთ ერს", - აი, ოტო ბაუერის აზრი, რომელიც მან გამოთქვა თავის ნაშრომში "ეროვნებათა საკითხი და სოციალ-დემოკრატია", რომელიც დაიბეჭდა 1907 წელს ვენაში და ეხებოდა ეროვნებათა საკითხს ავსტრიის მაშინდელ იმპერიაში. და ოტო ბაუერის ეს სიტყვები მომაგონდა გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით, რაც განხორციელდა 1990 წლის 3 ოქტომბერს.

II.

რა თქმა უნდა, ეს, ასე ვთქვათ, მოთხოვნა, წამოყენებული მაშინდელი იმპერიული სახელმწიფოს, ავსტრიის მოქალაქის მიერ, "მთლიანად" ვერც ავსტრიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაშლილ იმპერიის სახელმწიფოებში, და კერძ, საერთოდ, მსოფლიოს მასშტაბით, ვერ განხორციელდა. იმპერიული, რომ არ ვთქვათ, კოლონიური პოლიტიკის მწარმოებლებში, რომლებიც დღესაც საკმაოდ მოიპოვება მსოფლიოში, უკვე უფრო ეკონომიკური "ინტერესები" იწვევს წინაპლანზე, ვიდრე ერისა და პიროვნების საერთოდ-აღიარებული თავის-უფლების პრინციპები, რის შედეგად, ჩვენი საუკუნის ფარგლებში რომ დავრჩეთ, საქართველო იყო და არის კრემლის თავისებური კოლონიური სახელმწიფო, რომლის სახელმწიფოებრივი სტატუსი, მიუხედავად გორბაჩოვისეული გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის პროცესისა, ხელ ცოტა, ჯერჯერობით, არ შეცვლილა.

II.

მაგრამ უფრო უარესი მდგომარეობა არსებობდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და შემდეგომ პერიოდში, როცა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინ-მაო ძედუნის სახელით, კრემლი კაპიტალიზმის საბოლოო დამარხვას ლამობდა და მსოფლიოში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებას ცდილობდა, რომლის დროს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ერისა და პიროვნების თავისუფლებას, რასაც მოყვა ტერორი, ტერორი ყველგან, სადაც კი ხელი მიწვდა სტალინს, ყველას წინააღმდეგ, რომლებიც წინ აღუდგენ თუ ეჭვს გამოთქვამდენ სტალინის ამგვარი ტოტალიტარული პოლიტიკისა და მოქმედების წინააღმდეგ.

III.

ამან გამოიწვია არა მარტო ე.წ-ლი "რკინის ფარდით" მსოფლიოს თითქმის შუაზე გაყოფა, არამედ ცალკეული ერების შუაზე გაჩეხვა-გაჭრაც, რომლის მაგალითები გახდენ გერმანია, ვიეტნამი და კორეა, რომელთაგან ვიეტნამმა სისხლიანი ომით შეძლო გაერთიანება; გერმანია, საბედნიეროდ, მშვიდობიანი გზით გაერთიანდა, ხოლო კორეა გაერთიანებას ისევ ელის.

IV.

რამდენი სისხლი, რამდენი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა მსოფლიოს ორ ბანაკად გაყოფას ბოლშევიკური რეჟიმის მხრიდან!.. "რკინის ფარდას", ლოგიკურია, მოყვა "ცივი ომი"; "ცივ ომს" კი "ბერლინის სამარცხვინო კედელი", რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გამყოფ კედლად იქცა, რომლის გასწვრივ გაყვანილ იქნა ავტომატური, თვითმოქმედი "სასიკვდილო იარაღების" ხაზი, რომელიც ყველას და ყველაფერს კლავდა, რაც კი "სამარცხვინო კედელს" მიუახლოვდებოდა და მასზე გადასვლას შეეცდებოდა.

VI.

მართალია, სტალინის სიკვდილის შემდეგ ბოლშევიკური რეჟიმი შერჩა, მაგრამ მისი მოქმედება იმდენად გამწვავდა, რამდენადაც ხალხი ერისა და პიროვნების თავისუფლებისაკენ მიისწრაფოდა. პირველი სიგნალი ამ მიმართულებით ბერლინმა მისცა, როცა, 1953 წლის 17 ივნისს, აღმოსავლეთ ბერლინში, ე.წ-ლ "სტალინის გამზირზე" მშენებლობა მუშებმა გაიფიცეს და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების გვერდით, თავის-უფლება მოითხოვეს, რაც სისხში ჩაახშო საბჭოთა ტანკებმა.

VII.

კრემლის ამგვარმა მოქმედებამ მისი არა მარტო გერმანელი მომხრეებიც აადშფოთა, მათ შორის, აღიარებული დრამატიკოსი ბერტოლდ ბრეხტიც, რომელიც 17

ივნისის მოწმე იყო; და თავისი მრწამსის "შერყევა"მან ერთი მოკლე ლექსის ფორმით მიაწოდა ხალხს, თუმცა იგი მაშინ აღმოსავლეთ გერმანიაში არ გამო-ქვეყნებულა. "მოგვარება", ასეთი სათაური მისცა მან მის ლექსს, რომელშიც სიტყვა-სიტყვით ამბობს:

"მ ო გ ვ ა რ ე ბ ა

17 ივნისის აჯანყების შემდეგ
მწერალთა კავშირის მდივანმა გაავრცელებინა
სტალინის ხეივანში ფურცლები,
რომლებშიდაც წაიკითხე, რომ ხალხმა
დაკარგა ნდობა მთავრობისა
და ეს მხოლოდ ორკეცი შრომით
ისევ შეეძლო მოიპოვოს. მაგრამ არ
იქნებოდა უფრო მარტივი, რომ მთავრობამ
გადააყენოს ხალხი და
მის მაგივრად აირჩიოს სხვა?"

Die Lösung

Nach dem Aufstand des 17.Juni
Ließ der Sekretär des Schriftstellerverbandes
In der Stalinallee Flugblätter verteilen
Auf denen zu lesen war, daß das Volk
Das Vertrauen der Regierung verscherzt habe
Und es nur durch verdoppelte Arbeit
Zürickerobern könne. Wäre es da
Nicht einfacher, die Regierung
Löste das Volk auf und
Wählte ein anders?"

VIII.

და მართლაც, გავიდა 27 წელიწადი, და პირველად ლაიპციგის ქუჩებში გაისმა ხმა: "ხალხი ვართ ჩვენ!" და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დაწყებულ "გალ-ხმობის" პროცესს და თვით საბჭოთა კავშირში, მეტ-ნაკლებად, საჯაროობის პროცესს, მოყვა - ყველასათვის სრულიად მოულოდნელად, მაგრამ ლოგიკურად - "ბერლინის კედლის" დაცემა, რასაც - თავის მხრივ - სრულიად მოკლე ხანში,- 1989 წლის 9 ნოემბრიდან - 1990 წლის 3 ოქტომბრამდე,- მოყვა გერმანიის გაერთიანება, რასაც ბევრი სახელმწიფო მოღვაწეებიც მიესალმა, თუმცა ბევრი ჩაფიქრებულია გერმანიის ეკონომიკური (და პოლიტიკური) კიდევ გაძლიერების გამო. მაგრამ ყველა აღფრთოვანებულია, რომ ისტორიაში პირველად(?) მოხდა "მშვიდობიანი რევოლუცია" და აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნებმა ისევ მოიპოვ-ეს თავის-უფლება, თუმცა ეს პროცესი თვით საბჭოთა კავშირში უფრო ანარქიის, კიდრე ერისა და პიროვნების განთავისუფლების ფორმებს ღებულობს, რის საშიშ მორევშია მოქცეული ჩვენი სამშობლო - საქართველოც -, რაც არსებითად გამოწ-ვეულია იმით, რომ კრემლის დღევანდელი ხელმძღვანელები საბჭოთა კავშირში ძა-ლით მოქცეულ ერების და ქვეყნების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის საყოველთაო აღიარებას, სულ ცოტა, ჯერჯერობით, გაურბის.

IX.

ამგვარად, "მშვიდობიანი რევოლუცია" საბჭოთა კავშირშიც მიმდინარეობს, რაც გვაძლევს იმედს, რომ დედა-აზრი და პრაქტიკული განხორციელება ერისა და პი-როვნების თავისუფლებისა საბჭოთა კავშირშიც ისეთი ფორმითა და შინაარსით განხორციელდება, როგორც ეს მოხდა აღმოსავლეთ ევროპაში და გერმანიაში; "იმედს გვაძლევს" იმიტომ, რომ - თუ მეორე მსოფლიო ომში მთავარი მოსისხლე მტერი რუსეთისა, ჰიტლერის მეთაურობით, თავის-უფლების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ბურჯი ხდება კრემლის ლოცვა-კურთხევით, ვითომ ის ერი, ის ქვეყანა, რომელიც რუსეთის გვერდით სისხლს ღვრიდა ნა-ციზმის დამარცხებისათვის - და ასეთი ქვეყანაა საქართველო, რომელმაც 700-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასზე მეტი ჯარისკაცი გაიყვანა ფრონტზე, რომელთაგან ნახევარზე მეტი უკან არ დაბრუნებულა - ღირსი არ არის იყოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში, საქართველოს "პატარა 'ოქროს ხანის'" დროს?..

X.

და თუ ჩვენ გერმანიის გაერთიანებას და, მას ზევით, მსოფლიოს ყველა ერის თავისუფლებასა და სუვერენობას ვესალმებით, ამის მიზეზია არა მარტო ის მრწამსი, რომ ყოველ ერს უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, არამედ ისიც, რომ გერმანიამ, პირველი მსოფლიო ომისა და მის შემდგომ პერიოდში, დიდი მეგობრული დახმარება გაუწია საქართველოს 26 მაისის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის გამოცხადების პროცესში, რაც ცალკე განხილვას მოითხოვს. და იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ გაერთიანებული გერმანია მომავალშიაც ჩვენი მეგობარი იქნება, მსოფლიოს სხვა დიდ და პატარა ქვეყნებთან ერთად?..

XI.

და აქ მივედით "დიდი" და "პატარა" სახელმწიფოების ურთიერთობის პრობლემებთან. უხსოვარი დროიდან გაბატონებულია აზრი, რომ "დიდ" სახელმწიფოს, ე.ი. ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოს, რაც სამხედრო ძლიერებასაც გულისხმობს, - მეტი საერთაშორისო პასუხისმგებლობა აკისრია, ვიდრე "პატარა" და ამით სუსტ სახელმწიფოს. ამგვარი გაბატონებული აზრის შედეგია ის, რომ ჩვენ დღეს მსოფლიოში გვაქვს "ზე-სახელმწიფოები", "დიდი სახელმწიფოები" და "პატარა" ან "საშუალო" ძლიერების სახელმწიფოები. "ზე-სახელმწიფოებია" ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი; "დიდი სახელმწიფოების" რიცხვს კი მიემატა ახლა გერმანია, რომელიც - თავის მხრივ -, ჩემი აზრით, იმდენად დიდი არ არის, რომ "ზე-სახელმწიფო" გახდეს, და იმდენად "პატარა" არ არის, რომ ევროპის ორ დიდ სახელმწიფოზე - საფრანგეთსა და ინგლისზე - "დიდი" არ იყოს, რაც ქმნის აღნიშნულ "ჩეფიქრებას" ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეებს შორის,

გამოდიან რა გერმანიის იმ პოლიტიკური მრწამსისაგან, რომელიც მან გამოამჟღავნა პირველ და მეორე მსოფლიო ომში. ბევრი საერთაშორისო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები იმასაც აღნიშნავენ, რომ გერმანია დღეს დემოკრატიული სახელმწიფოა და მიისწრაფვის ევროპის გაერთიანებისაკენ, სულ სხვა, ევროპის საერთო ბაზარში გაერთიანებულ თორმეტი სახელმწიფოს შემადგენლობით, რომ შეიქმნას "ევროპის შეერთებული შტატები".

XII.

აი, "დიდთა" ზოგიერთი აზრები გერმანიის გაერთიანების შესახებ:

"ამერიკის სახე უერთდება გერმანულ სახეს იდეალის, რომელიც არასოდეს კვდება, განხორციელების დღესასწაულში;- თავისუფლებისა და ერთობის იდეალისა", - თქვა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა.

"წარმოდგენა, რომ გერმანული სახე მარადიულად ახე გაყოფილი არ დარჩებოდა, სადვომლობს ისტორიის ლოგიკაში", - თქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა.

"ეს მოვლენა, რომლისათვის გერმანიამ და მისმა მეგობრებმა ახე დიდხანს

იბრუნეს, - არის დასავლეთის კამბელაობისა და მეურყეობის მუდმივი მოსაზრე წლის განმავლობაში", - თქვა ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა.

"ჩვენ ვტოვებთ მკვეთ ეპოქას და ვიწყებთ ერთ პერიოდს გრძელვადიანი, მშვიდობიანი თანამშრომლობისა", - თქვა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა.

"ერთი დიდი გერმანია, - თქვა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა - იქნება თანასწორუფლებიანი წევრი გაერთიანებულ ევროპაში, რომელიც მშვიდობიანობას მოემსახურება მთელ მსოფლიოში".

მსოფლიო პრესის გამოძახილებიდან საყურადღებოა ფრანგული გაზეთის "ფიგარო" სპეციალური, 32-გვერდიანი, გამოცემა გერმანიის გაერთიანების შესახებ, რომლის სათაურია -"ერთი გიგანტის რენესანსი ("ისევ-ჯაპალება), რომელშიც, სხვათა შორის, წერს:

"ნათელია, რომ ეს დაბრუნება 'ბუნებისაკენ' - ერთი ხალხი, ერთი ქვეყანა - აყენებს დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს და ჩვენ ფრანგები ვართ პირველ ხაზზე...მაგრამ გერმანია კი არ არის მარტო ეკონომიკური კონკურენტი, არამედ ის არის აგრეთვე გოეთესი და ბეთჰოვენის, ჰაიდელბერგისა და ბაიროითის, ზოგიერთი გმირისა და ჩვენი საერთო მემკვიდრეობითი ცივილიზაციის ადგილი. მათ შექმნეს ევროპა იუგო, მოლიერთან, დანტე, შექსპირთან, რომთან და ვენეციასთან ერთად. და ეს არის ის გერმანია, რომელიც ჩვენს წინაშეა და მას ვულოცავთ ჩვენ აღდგომას".

XIII.

და, კახაგენიო, საქართველო, ქართველი ერი უერთდება ამ საერთო მილოცვას, და ვიმედოვნებთ, რომ საქართველოც, ქართველი ერიც - ბოლოს-და-ბოლოს - ეღირსება იმის განხორციელებას, რომ საქართველოც, საერთო მსოფლიო ოჯახში, გახდეს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში -, საქართველოს "პატარა 'ოქროს ხანის'" დროს; და ვიმედოვნებთ აგრეთვე, გაერთიანებული გერმანია ისევე მხარს დაუჭერს საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის საქმეს, როგორც ეს მოიმოქმედა გერმანიამ პირველი მსოფლიო ომისა და მისშემდეგომ პერიოდში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ "ყოველმა ერმა უნდა შექმნას თავისი სახელმწიფო". ყოველ ერს უნდა გააჩნდეს გაერთიანებული და განუყოფელი სახელმწიფო.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1990 წლის 3 ოქტომბერი

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახლო აღმოსავლეთის კრიზისი

I.

ერაყის დიქტატორმა - სადამ ჰუსეინმა - იარაღის ძალით დაიპყრო მოსაზღვრე ქუვეითი და იგი ერაყს შეუერთა. ამის საპასუხოთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მოითხოვა ერაყის ჯარების დაუყონებლივი გამოყვანა ქუვეიტიდან, ხოლო ერაყის მიმართ ბლოკადა გამოაცხადა, რომლის დარღვევის შემთხვევაში "განსაზღვრული ძალის" გამოყენებაცაა დაშვებული.

II.

სამხედრო სახმელეთო და საზღვაო ძალები კი წარმოუდგენლად თავმოყრილია მსოფლიოს ამ "ნავთობის რეგიონში": ერაყს გააჩნია ერთი მილიონი ჯარისკაცი, 5.500-ი ტანკი, 3.700-ი ქვემეხი, სუთასზე მეტი თვითმფრინავი თუ 66-ი სარაკეტო დანადგარი "მიწა-მიწა" რაკეტებით. საუდის არაბეთს, არაბულ გაერთიანებულ ემირატებს, ბარაინს, კატარს, ომანს, რომლებიც, ანე-თუ-ინე, ერაყის მოწინააღმდეგებია, გააჩნიათ 250.000-მდე ჯარისკაცი და მოდერნული შეიარაღება. მაგრამ მთავარი ძალა ერაყის წინააღმდეგ მაინც ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელსაც ამ რეგიონში უკვე განლაგებული ჰყავს ოთხი ავიამზიდი თანმხლები სამხედრო გემებით თუ სადესანტო ნაწილებით; საუდის არაბეთში უკვე განლაგებული ჰყავს 25.000-ი ჯარისკაცი ორასი თვითმფრინავით, რასაც დაემატა კიდევ 175-ათასამდე ჯარისკაცი. ამ რეგიონში იმყოფება აგრეთვე ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, კანადის, ავსტრალიის სამხედრო საზღვაო ძალები, საფრანგეთის ავიამზიდის "კლემენსოს" ჩათვლით. იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და თურქეთი ეხმარება შეერთებულ შტატებს აეროდრომებისა და სხვა სამხედრო პუნქტების გამოყენების უფლების მინიჭებით. კრემლი კი თავის თანხმობას გამოხატავს აღნიშნული ქვეყნებისადმი, სამხედრო საზღვაო შენაერთის გაგზავნით მსოფლიოს ამ რეგიონში.

III.

რაშია საქმე?.. რამ გამოიწვია მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების ასეთი დიდი სამხედრო ძალების თავმოყრა არაბეთის ნახევარკუნძულის ირგვლივ თუ თვით ამ ტერიტორიის შიგნით? - ამის პასუხს იძლევა დიაგრამა, რომელზედაც ვხედავთ, რომ მსოფლიოს ყველაზე უფრო მდიდარი ნავთობის საბადოები განლაგებულია მჭიდროდ სპარსეთის უბეში; ყველაზე უფრო მდიდარი საბადოები გააჩნია მათ შორის, საუდის არაბეთს - 36 მილიარდ ტონაზე მეტი, რაც საკმარისია იმისათვის, რომ ნავთობის მსოფლიო მოთხოვნილება დააკმაყოფილოს სამოცი წლის განმავლობაში. საერთოდ, ნავთობის მსოფლიო მარაგი განსაზღვრულია 136-ი მილიარდი ტონით. 1990 წლისათვის ნავთობის მარაგი,მაგალითად,

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საუდის არაბეთში უდრიდა | - | 35,2 | მილიარდ | ტონას; | |
| ქუვეიტში | - | 13,5 | " | " | ; |
| ერაყში | - | 13,4 | " | " | ; |
| გაერთიანებულ არაბ.ემირატები | - | 12,9 | " | " | ; |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირანის ნავთობის მარაგი უდრის - 12,7 მილიარდ ტონას;
ვენესუელას - 8,2 " " ;
საბჭოთა კავშირის - 7,9 " " ;
მექსიკის - 7,7 " " ;
შეერთებული შტატების - 3,5 " " ;
ჩინეთის - 3,2 " " ; და სხვა.




ზც-39.8.90

მაგრამ არა მარტო მხოლოდ ნავთობის რეზერვები თავმოყრილია სპარსეთის ყურის მოსაზღვრე ქვეყნებში, არამედ ამ ქვეყნების ეკონომიკური არსებობის არსებითი წყარო სწორედ ნავთობი:

ირანის ბრუტო-ეკონომიკური პროდუქციის (94 მილ.დოლარი) 10 პროცენტი ნავთობია;
საუდის არაბეთის " " (74 მილ.დოლარი) 60 " " ;
ერაყის " " (35 მილ.დოლარი) 40 " " ;
გაერთიანებული არაბული ემირატების...(23 მილ.დოლარი) 86 " " ;
ქუვეიტის " " (19 მილ.დოლარი) 58 " " ;
კატარის ბრუტო-ეკონომიკური პროდუქციის (5 მილიარდი დ.) 51 პროცენტი ნავთობია.




ზც-7.8.90

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IV.

ამიტომაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა მხარს უჭერს მისი მთავრობის ღონისძიებებს არაბეთის ნახევარ კუნძულზე. მაგრამ, როგორც შეერთებული შტატების ახლო-აღმოსავლეთის ექსპერტმა - ლიი ჰამილტონმა - განაცხადა, რომელიც ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დეპუტატია დემოკრატიული პარტიიდან და აგრეთვე ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვე-კომისიის თავჯდომარე , - "...მიუხედავათ ყველა ამგვარი თანხმობისა, ამერიკელებს არასასიამოვნო წინაგრძნობები აქვთ; ბევრ ამერიკელისათვის ნათელი არ არის - რატომ არის აუცილებელი სპარსეთის უბეში ჯარების განლაგება. რა თქმა უნდა, ჩვენ იქ არ ვართ დემოკრატიისათვის. საუდისარაბეთი და ქუვეიტი არ შეიძლება წოდებულ იქნან დემოკრატიულ სახელმწიფოებად. მიზეზი ჩვენი განლაგებისა ამ უბეში გაცილებით ყოველდღიურია: ფული და ნავთობი  და ვინ აწარმოებს მის კონტროლს. რა თქმა უნდა, ჩვენ გვსურს აგრეთვე აგრესორის თავის კალაპოტში ჩაყენება".

V.

ფრანგული გაზეთი კი უფრო მარტივად ამბობს:"ის, რაც ამერიკელებს სურთ, ეს არის ნავთობის კონტროლი",("ფიგარო",23.8.90), და ისე შორს მიდის, რომ არაბეთის ნახევარკუნძულზე გამწვავებულ კრიზისს უწოდებს "...დაპირისპირებას ჩრდილოეთ-და-სამხრეთს შორის; ომს მდიდრებსა და ღარიბებს შორის". ("ფიგარო",27.8.1990).

VI.

და ვითომ აღნიშნული ფაქტები ადასტურებენ იმას, რომ "მარქსი  მკვდარია", როგორც ამას მიმდინარე(1990) წელს გარდაცვლილი ახალგაზრდა ფრანგი ფილოსოფოსი - ჟან-მარი ბენუა - ამბობს(Jean-Marie Benoist:"Marx es mort") - თუ მარქსი, მიუხედავათ ბოლშევიზმის კაკო რებისა, - როგორც ამას გერმანელი პოლიტოლოგი კლაუს პილაკი - ამბობს - "მარქსი მკვდარი? არა: მკვდარი მეტად ცოცხლობს - მისი მოსაზრებებითა და მისი შედეგებით ფილოსოფოსი კაპიტალიზმისა"?.. (SZ-28./29.4.1990: Karl Marx und der Untergang des Marxismus". "Der tote Hund ist arg lebendig". S.VII).

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1990 წლის აგვისტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## უსამართლობა ვერასოდეს ვერ გახდება სამართლიანობა

### საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო დე ფაქტო და დე იურე მდგომარეობა

I.

საბჭოთა საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 20 ივნისის სესიაზე, როგორც 1990 წლის 22 ივნისის გაზეთი "კომუნისტი" იტყობინება, სხვა მრავალ საჭირბოროტო საკითხთან ერთად, განხილულ იქნა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხიც, რომლის შესახებ გამოითქვა შემდეგი აზრი:

II.

"...საქართველოს უზენაესმა საბჭომ ოფიციალურად უკვე მისცა პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევას და ცნო, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში მოხდა სამხედრო ჩარევა(ინტერვენცია) და ოკუპაცია არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, რაც ფაქტობრივად ანექსიას მოასწავებდა. ამასთან დაკავშირებით უკანონოდ და ბათილად გამოაცხადა მრავალი ხელშეკრულება, რომლებიც ე.წ. 'ახალი ტიპის' ფედერაციის შექმნის მიზნით საბჭოთა საქართველომ თავის დროზე დადო რუსეთის ფედერაციასთან, მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებთან - აზერბაიჯანსა და სომხეთთან... წარსული მოვლენების ობიექტურმა შეფასებამ ცხადყო, რომ საქართველოში ახალი ხელისუფლება - ჯერ რევკომები,ხოლო შემდგომ კლასობრივ, პროლეტარიატის დიქტატურაზე დაფუძნებული საბჭოები - გარეშე ძალით დამკვიდრდა..." "...ამ არაარჩევითმა ორგანომ აუწყა ქართველ ხალხს ძალაუფლების ხელში აღება და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. აქედან გამომდინარე, უკანონოდ უნდა მივიჩნიოთ ყველა ის აქტი, რომლებმაც გააუქმეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტები. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს დამფუძნებელი კრებისა და სასამართლო სისტემის ლიკვიდაცია".

"მაგრამ ასეთი სამართლებრივი შეფასება არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს საქართველოს დღევანდელი სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისა და ინსტიტუტების კანონიერებაში ეჭვის შეტანა...საქართველოში არსებული ხელისუფლება, მიუხედავად მისი ჩამოყალიბების საწყისების ხასიათისა, - ისეთი პოლიტიკური მექანიზმია, რომელიც არსებობს როგორც დე-იურედ, ისე დე-ფაქტოდ და სავსებით უპასუხებს საერთაშორისო სამართლის საქვეყნოთ აღიარებულ ნორმებს, დღევანდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობებს." (ხაზი ჩვენია. კ.ი.).

III.

აღნიშნული აზრები მოკლედ შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

1.საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში მოახდინა საქართველოს ოკუპაცია;

3.საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გარეშე ძალით დამყარდა;

4. მაგრამ საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო დე-იურე და დე-ფაქტოდ მაინც უპასუხებს საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

IV.

აქ კი, ჩვენი მხრიდან გვსურს წამოვჭრათ აგრეთვე შემდეგი საკითხები:

5.ვითომ 1921 წლის თებერვალ-მარტში მხოლოდ ხელისუფლების დამხობას ჰქონდა ადგილი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში?..

6.ვითომ შენარჩუნებულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთლიანობა, თუ გნებავთ, ტერიტორიალურად?..

7.ვითომ უსამართლობა,სუვერენული და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობ-ანექსია, - შეიძლება გახდეს სამართალი?..

V.

ხანამ აღნიშნულ საკითხებს განვიხილავდეთ, შევნიშნავთ, რომ - მიუხედავად გორბაჩოვისეული ისტორიის "თეთრი ლაქების" შევსების ცდებისა - ჩვენში, ამ შემთხვევაში აღნიშნული აზრის ავტორებში, ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ცდები"საგანს თავისი სახელი არ ეწოდოს!" ამით იმის თქმა გვსურს ამ შემთხვევაში, რომ რუსეთის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკაზე ლაპარაკი, ამ შემთხვევაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, - დიახ, პირმოფერეების გარეშე დღესაც შეუძლებელი ჩანს, თუმცა სტალინიზმი, ლენინიზმის ეს პირმშო შვილი, სიტყვიერად დაგმობილია და ფაქტობრივ განხორციელებისაკენ მოგვიწოდებს. მაგრამ ნუ ვჩქარობთ!..

VI.

შევეხოთ პირველ კითხვას:საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში დაარღვია არა მარტო საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება, არამედ მან დაარღვია აგრეთვე ომის წარმოების საერთაშორისო სამართალი, რომლისათვის საბჭოთა რუსეთს უნდა ქონოდა ომის წარმოების მიზეზი, რაც გულისხმობს არა მხოლოდ განსაზღვრული უფლებრივი მოთხოვნების არშესრულებას, ამ შემთხვევაში, საქართველოს მხრიდან, არამედ ამასთანავე ძირითადი უფლებრივი მოთხოვნების დარღვევასაც, რომელიც, ამ შემთხვევაში,ემუქრებოდა საბჭოთა რუსეთის სახელმწიფოს სუვერენობას, დამოუკიდებლობას და პატივისცემას საერთაშორისო მასშტაბით. და თუ აღნიშნული ძირითადი უფლებების დარღვევასაც აქვს ადგილი ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის, მაშინაც ომის დაწყება, ისიც ომის გამოცხადების გარეშე, ე.ი.პრევენტიული ომის დაწყება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, - ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის დებულებებს, ვინაიდან ომი არის უკიდურესი საშუალება, როცა სახელმწიფოს სხვა გზით აღარ შეუძლია მისი უგულებელყოფილი უფლებების ისევ აღდგენა. ამგვარად, საბჭოთა რუსეთს, როცა 1921 წლის 11 თებერვალს ომი დაიწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და,ომის გამოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადებლად, პრევენციული ომი გააჩაღა, როცა საქართველოს ხუთი მხრიდან ერთდროულად თავს დაესხა, - იყო სრულიად "უმიზეზო ომი", ვინაიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ იდგა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების დაცვის პოზიციაზე; და, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული არც ერთი დებულება არ დაურღვევია. ამგვარად, საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მთავრობამ 1921 წლის 11 თებერვალს, როცა ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ, დაარღვია როგორც 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების, ისევე ომის წარმოების საერთაშორისო კონვენციებიც, მაგალითად, 1907 წლის 18 ოქტომბერს მიღებული "ჰააგის სახმელეთო ომის წარმოების წესრიგი" და ოთხი "ჟენევის კონვენციები", ვინაიდან საბჭოთა რუსეთს არავითარი ომის მიზეზი არ გააჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. კიდევ მეტი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ნოე ჟორდანიას მეთაურობით,-საბჭოთა რუსეთის საქართველოზე მოულოდნელი თავდასხმისთანავე,რამდენიმეჯერ მიმართა ლენინის მთავრობას თუ რატომ დაიწყო ომი საქართველოს წინააღმდეგ, და რომ საქართველოს მთავრობა მზად არის დაუყონებლივ მოლაპარაკება დაიწყოს საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან თუ რაიმე სადავო საკითხი არსებობს რუსეთსა და საქართველოს შორის რუსეთის მხრიდან.

## VII.

და როგორ შემოუარა გვერდი ამ წმინდა წყლის იმპერიალისტური, დიდმპყრობელშოვინისტური ომის წარმოებას ლენინმა? - ლენინიზმის თანახმად, თითქოს არსებობს "უსამართლო ომი", რომელსაც აწარმოებს კაპიტალისტური სახ წიფოები, და "სამართლიანი" ომი, რომელსაც აწარმოებს "პროლეტარიატი" კომუნისტური სახელმწიფოს, ე.ი. საბჭოთა რუსეთის მეთაურობით სოციალიზმის დამკვიდრებისა და განვითარების მიზნით; და ამ თეზისის დასამტკიცებლად რამდენი სიყაბე ითქვა და დაიწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შესახებაც. "პატარა საბჭოთა ენციკლოპედიაში",რომელიც გამოცემულია მოსკოვში, 1959 წელს(ტომი 3, გვ.183), მაგალითად, ვკითხულობთ: "1921 წლის 11-ც და 12-ც თებერვალს, ღამით, დაიწყო შეიარაღებული აჯანყება მშრომელებისა გორის, დუშეთის, ბორჩალოს, რაჭისა და ლეჩხუმის ოლქებში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ; ის მოედვა სამეგრელოს, აჭარას, აბხაზეთს, სამხრეთ ოსეთს(ასეთი პროვინცია საქართველოში არასოდეს არ არსებობდა. კ.ი.). 16 თებერვალს ჩამოყალიბდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (მ.ორახელაშვილი, ფ.მახარაძე და სხვები), რომელმაც მუშებისა და გლეხების სახელით, დახმარება თხოვეს საბჭოთა რუსეთს. 1921 წლის 25 თებერვალს, აჯანყებულთა რაზმებმა, წითელი არმიის მე-11 არმიის ნაწილებთან ერთად, ს.ორჯონიკიძის მეთაურობით, გაანთავისუფლა თბილისი. 1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში, საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება,რომლის თანახმად თურქეთმა უარი თქვა ბათუმისა და აჭარის ჩრდილო ნაწილზე, და დაიტოვა ყარსი და არდაგანი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით, საქართველოში მოხდა ნაციონალიზაცია მრეწველობის, რკინიგზის, ფლოტის, ბანკების, მსხვილი ვაჭრობის; მიწა გადაეცა მშრომელებს საერთო საკუთრებაში. 1922 წელს, 25 თებერვალს,გაიხსნა სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა, რომელმაც მიიღო საქართველოს სსრ კონსტიტუცია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII.

1922 წლის 13 დეკემბერს შექმნილ იქნა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, რომელში მოსკოვმა გააერთიანა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკები; 1922 წლის 30 დეკემბერს კი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა შეყვანილ იქნა საბჭოთა სსრ კავშირში, ხოლო 1936 წლის 5 დეკემბერს, ე.წ-ლი "სტალინური კონსტიტუციის" მიღების შემდეგ, საქართველოს სსრ გახდა სსრკ-ს შემადგენელი ნაწილი ე.წ-ლი "მოკავშირე რესპუბლიკის" სტატუსით. 1937 წლის თებერვალში, საქართველოს საბჭოების მერვე ყრილობამ მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომლითაც დაკანონებულ იქნა საქართველოს, როგორც სსრკ-ს "მოკავშირე რესპუბლიკის" სტატუსი; და სახელმწიფოებრივად ეს სტატუსი გააჩნია საქართველოს სსრ დღესაც.

ამ მოკლე ამონაწერშიც, ისე გაყალბებულია ისტორიული ფაქტები, რომ ადვილი არ არის ისტორიული სიმართლე-სიყალბის ერთმანეთისაგან გარჩევა. სხვათაშორის, ომი საბჭოთა რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ 1921 წლის 11 თებერვალს დაიწყო, და 16 თებერვალს რაღა მოწვევა ესაჭიროებოდა წითელ არმიას საქართველოს ე.წ-ლი "რევოლუციური კომიტეტის" (რევკომის) მიერ?..

IX.

და თუ შევაჯამებთ ყველა აღნიშნულს, შეგვიძლია ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ:

1. პირველი: საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება და ამით სა-ერთა-შორისო სამართალი, ვინაიდან - ყოველგვარი მიზეზის გარეშე საქართველოს მხრიდან - საბჭოთა რუსეთმა, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და იარაღის ძალით დაიპყრო იგი. ამ ისტორიულ ფაქტს დღეს უკვე აღიარებს თვით მოსკოვური ისტორიოგრაფია.
2. მეორე: დაიპყრო რა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საბჭოთა რუსეთი კი არ დაკმაყოფილდა მარტო საქართველოზე ბატონობით, არამედ - მას ზევით - ლენინის მთავრობამ გააუქმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და სუვერენობა, რომელიც ცნობილი იყო სა-ერთა-შორისო მასშტაბით მსოფლიოს ოცზე მეტი სახელმწიფოსაგან, თვით მსოფლიოს დიდი სახელმწიფოებისა და თვით საბჭოთა რუსეთის მიერ.
3. მესამე: ამდენად, 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დაპყრობას მოყვა არა მარტო საქართველოს სახელმწიფოს შინაგანი მდგომარეობის შეცვლა - დემოკრატიული წესყობილების ბოლშევიკური დიქტატურით შეცვლა -, არამედ ამასთანავე საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლაც, რის შედეგად საქართველო, როგორც სახელმწიფო, გაქრა სა-ერთა-შორისო მასშტაბით, და იგი საბჭოთა რუსეთის, ე.ი. საბჭოთა კავშირის თავისებურ კოლონიად იქცა.
4. მეოთხე: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო სტატუსის ამგვარ გაუქმებას მოყვა, სხვა მრავალთა შორის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დანაწილება, რომლის დროს ლენინმა იხელმძღვანელა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით, და - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ - 1921 წლის 16 მარტს დადო ხელშეკრულება თურქეთთან, რომელსაც გადასცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, დაახლოებით, ერთი მეხუთედი ტერიტორია, სომხეთს ლორი და მისი რაიონი, აზერბაიჯანს - ზაქათალას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ნაწილი და თვით საბჭოთა რუსეთმა მიიკუთვნა სოჭი და მისი რაიონი, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს. ამგვარად, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაკარგა. მისი სახელმწიფო ტერიტორიის თითქმის ერთი-მეოთხედი, რის შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 91.100-ი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიიდან, საბჭოთა საქართველოს შერჩა მხოლოდ 69.700-ი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია.

5. მეხუთე: 1921 წლის 17 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, - საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით დატოვა საქართველოს ტერიტორია, რომ გაეგრძელებინა ბრძოლა მოსკოვის საოკუპაციო ჯარების გაყვანის მიზნით საქართველოდან. ამ მიზნის განხორციელებას შეეწირა ათასობით ქართველი პატრიოტი, განსაკუთრებით 1924 წლის აგვისტოს საერთო სახალხო აჯანყების, 1956 წლის ახალგაზრდა მუშებისა და სტუდენტების დემონსტრაციების დროს თბილისში, და ახლა, გორბაჩოვისეული ე.წ-ლი"გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" დროს - 1989 წლის 9 აპრილს, როცა მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ქიმიური საწამლავი ნივთიერებანიც კი გამოიყენეს, რასაც დიდი მსხვერპლი მოყვა.

6. მეექვსე:ამგვარად, ომი, რომელიც 1921 წლის 11 თებერვალს დაიწყო საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, - დღემდე არდამთავრებულა,რადგან ქართველ ხალხს არასოდეს არ უცვნია ეს ძალადობის აქტი, ვთქვათ, ნამდვილი, დემოკრატიული არჩევნების გზით.

7. მეშვიდე: ამდენად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 1921 წლის 17 მარტიდან, როცა საქართველოს ხალხის მიერ არჩეულმა მთავრობამ, ნოე ჟორდანიას მეთაურობით დატოვა საქართველოს ტერიტორია, - დაპყრობილი ქვეყანაა დე ფაქტოდ, ე.ი.ფაქტიურად.

X.

და იურიდიულად? - მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უკვე თითქმის 70-ი წელიწადია დაპყრობილია, მაგრამ დაპყრობის ხანგრძლივობა ვერ ცვლის თვით ფაქტის, დაპყრობის იურიდიულ რაობას.ამიტომ, საბჭოთა საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 20 ივნისის სესიაზე გამოთქმული აზრი "...საქართველოში არსებული ხელისუფლება, მიუხედავათ მისი ჩამოყალიბების საწყისების ხასიათისა, - ისეთი პოლიტიკური მექანიზმია, რომელიც არსებობს როგორც დე-იურედ, ისე დე-ფაქტოდ", არ შეესაბამება, ვერ პასუხობს "საერთაშორისო სამართლის საქვეყნოდ აღიარებულ ნორმებს".

XI.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ფაქტიურად, დე ფაქტო, დაპყრობილია, მაგრამ - საერთაშორისო სამართლის თანახმად - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იურიდიულად, დე იურე დღესაც განაგრძობს არსებობას, და ისევ აღსდგება, როცა მოიხსნება ეს ძალადობის აქტი, ე.ი.საქართველოდან გაყვანილ იქნება საოკუპაციო ჯარები.

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1990 წლის ივლისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

"მესამე დასი" "მესამე გზა?"-თეორია და პრაქტიკა



თავისუფლება, სამართლიანობა, სოლიდარობა

# საქართველოს

# სოციალ-დემოკრატიული პარტიის

## წესდება პროგრამა

V ყრილობის მასალები

(1990 წლის 24-25 თებერვალი)

თბილისი, 1990 წ.

## შინაარსი:


- საინფორმაციო ცნობა საქართველოს სდპ V ყრილობის შესახებ . . . . . . 1
- საქართველოს სდპ წესდება . . . . . . . . . . 3
- საქართველოს სდპ პრინციპების პროგრამა . . 7
- საქართველოს სდპ V ყრილობის დადგენილება . . . . . . . . . . . . . 24
- დეკლარაცია საქართველოს სდპ აღორძინების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 26
- მემორანდუმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ ხ. პერეს დე კუელიარს . . . . . . . . . . 28
- მიმართვა სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარის ბატონ ვილი ბრანდტისადმი . . . . 30
- მიმართვა საქართველოს ყველა მოქალაქისადმი . . . . . . . . . . . . . . 33
- მიმართვა სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხებისადმი . . . . . . 36
- ბალტიისპირეთის ხალხებთან სოლიდარობის რეზოლუცია . . . . . . . . . . . . . . . . 37
- საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს მდივნის ბატონ მამია გარიშვილის მისასალმებელი წერილი . . 38



საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია

თბილისი, 1990 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის

## V ყრილობის შესახებ

1990 წლის 24-25 თებერვალს თბილისში, საზოგადოება "ცოდნის" სააქტო დარბაზში ჩატარდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობა. ყრილობაზე შეიკრიბა საქართველოს 16 რეგიონში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებიდან წარგზავნილი 164 დელეგატი. დელეგატთა 76 პროცენტს შეადგენდნენ მამაკაცები, 24 პროცენტს ქალები; 130 დელეგატი - მოსამსახურე, 19 - მუშა, 9 - სტუდენტი, 4 - პენსიონერი, 2- დიასახლისი; უმაღლესი განათლების მქონე - დელეგატთა 85 პროცენტია; სკკპ ყოფილი წევრი - 43 დელეგატი.

ყრილობას ესწრებოდა საქართველოს სდპ 270 თანამგრძნობი და 100 სტუმარი.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობის მომზადების საორგანიზაციო კომიტეტისა და პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ერთობლივი პოლიტიკური მოხსენება, რომელიც გააკეთა საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა, პროფესორმა გურამ მუჩაიძემ.

გაიმართა კამათი პარტიის წესდებისა და პარტიის პრინციპების პროგრამის წარმოდგენილი პროექტების გარშემო. ყრილობამ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, დაამტკიცა საქართველოს სდპ წესდება და პრინციპების პროგრამა, მიიღო დადგენილება, რომელშიც ჩამოყალიბებულია პარტიის უახლოესი ამოცანები.

ყრილობამ მიიღო დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღორძინების შესახებ, მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხ. პერეს დე კუელიარის სახელზე, მ ი მ ა რ თ ვ ა სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარის ვილი ბრანდტის სახელზე, მ ი მ ა რ თ ვ ა საქართველოს ყველა მოქალაქისადმი, მ ი მ ა რ თ ვ ა სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხებისადმი, ბალტიისპირეთის ხალხებთან სოლიდარობის რ ე ზ ო ლ უ ც ი ა.

ყრილობას ესწრებოდნენ და მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს სტუმრებმა – სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აზერბაიჯანიდან, ლატვიიდან, ესტონეთიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, უკრაინიდან.

წაიკითხეს მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც ყრილობის სახელზე გამოგზავნეს: საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საერთაშორისო საკითხების მდივანმა პიერ გიუდონიმ, დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო საკითხების მდივანმა მაიკ გეიპსმა, დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საერთაშორისო საკითხების მდივანმა ოლე პიტერსენმა, საკავშირო სოციალ-დემოკრატიული ასოციაციის თანათავმჯდომარემ ნიკოლოზ ტუტოვმა.

ყრილობის სახელზე მოვიდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს მდივნის გამია ბერიშვილის მისასალმებელი წერილი.

ყრილობამ აირჩია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები: პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის საკონტროლო-სარევიზიო კომისია, პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქტორი.

პარტიის თავმჯდომარედ ყრილობამ აირჩია გურამ მუხაძე, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ – გურამ აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილეებად – მარინე ჭეკანიძე და ვაჟა ბუკიტიძე, პარტიის პასუხისმგებელ მდივნად – გიორგი წერეთელი.

პარტიის საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია კობა დავითაშვილი, პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქტორად – ზურაბ აბაშიძე.

ყრილობამ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში აირჩია საზღვარგარეთ მოქმედი საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე კარლო ინასარიძე და პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს მდივანი გამია ბერიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის

# წესდება

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია არის ხალხის პარლამენტური ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის ფარგლებში. იგი იღვწის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და ჩვენს საზოგადოებაში სოციალური დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებისათვის, გამოხატავს და იცავს ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ესწრაფვის სხვა პოლიტიკურ პარტიებთან კონსტრუქციული ბჭობის გზით მიიმხროს ამომრჩევლების უმრავლესობა და გადაიბაროს საქართველოს მართვის პასუხისმგებლობა. იგი არის იურიდიული პირი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის შემადგენელ ნაწილს. თავის საქმიანობაში იგი ეფუძნება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი შეიძლება იყოს საარჩევნო ხმის მქონე საქართველოს ყოველი მოქალაქე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ყოველი თანამემამულე, რომელიც აღიარებს პარტიის პროგრამას და წესდებას, მატერიალურად ეხმარება პარტიას და იღვწის პარტიის ამოცანების განხორციელებისათვის. პარტიის კარი ღიაა როგორც ათეისტების, ისე მორწმუნეებისათვის.

2. ის პირები, რომლებიც აღიარებენ პარტიის მიზნებსა და ამოცანებს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არა აქვთ შესაძლებლობა შევიდნენ მის რიგებში, პარტიის თანამგრძნობებად ითვლებიან. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ პარტიის ღონისძიებებში სათათბირო ხმით.

3. პარტიის წევრად მიღება ხდება პირველადი პარტიული ორგანიზაციის მიერ. პარტიიდან გასვლა თავისუფალია. პარტიაში მიღება და მისი რიგებიდან გასვლა ხდება წერილობითი განცხადების საფუძველზე. პარტიის ღირსების შემლახავი ქმედებისათვის პარტიის წევრი ირიცხება პარტიიდან იმ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მიერ, სადაც ის რეგისტრირებულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



4. პარტიის ახალი წევრები იხდიან შემოსასვლელ შესატანს. პარტია იღებს შემოწირულობებს მისი წევრებისა და თანამგრძნობებისაგან, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან.

5. ყოველი წლის დასაწყისში ხდება პარტიის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია. დაწესებულია სარეგისტრაციო შესატანი.

6. პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა/ აირჩიოს ან არჩეულ იქნას პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში;

ბ/ წამოაყენოს წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები პარტიის ნებისმიერ ორგანოს და მოითხოვოს პასუხი;

გ/ დაასახელოს ან დასახელებულ იქნას სახალხო დეპუტატობის კანდიდატად.

7. პირველადი პარტიული ორგანიზაცია იქმნება ტერიტორიული ნიშნით – მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუ იქ პარტიის სულ ცოტა სამი წევრია.

8. პირველადი პარტიული ორგანიზაციები ერთიანდებიან რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებად.

9. პარტიული ორგანიზაციების უმთავრესი მოვალეობაა ეროვნულ მოძრაობაში ქმედითი მონაწილეობა, მშრომელი ადამიანების ინტერესების დაცვა, სოციალური დემოკრატიის პრინციპებისა და პარტიის საარჩევნო პლატფორმის პროპაგანდა, სახალხო დეპუტატობის კანდიდატების შერჩევა-წამოყენება და მხარდაჭერა, რეკომენდაციების შემუშავება წარმომადგენლობით ორგანოებში პარტიული ჯგუფების საქმიანობისათვის.

10. ყველა პარტიული ორგანიზაცია ავტონომიურია პარტიის პროგრამისა და წესდების ფარგლებში. თითოეულ მათგანს უფლება აქვს გამოსცეს პარტიული ლიტერატურა. პარტიის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ქვემდგომი ორგანოების შეხედულებათა წინასწარ გამოკითხვას ეყრდნობა.

11. პირველადი პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა პარტიული კრება, რომელსაც იწვევენ სამ თვეში ერთხელ მაინც. მიმდინარე მუშაობის საწარმოებლად პარტიული კრება ირჩევს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს და, მისი შემადგენლობიდან, ორგანიზაციის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. სადაც ოცზე ნაკლები პარტიის წევრია, ირჩევენ მხოლოდ თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

12. რაიონული და საქალაქო პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა პარტიული კონფერენცია, რომელსაც იწვევენ არაუგვიანეს ერთი თვისა სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. რიგგარეშე კონფერენციას იწვევენ რეგიონული კომიტეტის ინიციატივით ან რეგიონის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პირველადი პარტიული ორგანიზაციების მეოთხედის მოთხოვნით. კონფერენცია ირჩევს პარტიული ორგანიზაციის რეგიონულ კომიტეტს და, მისი შემადგენლობიდან, ორგანიზაციის თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს, პასუხისმგებელ მდივანს, ამტკიცებს ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატების სიას.

13. საზღვარგარეთ მოქმედებს პარტიის საზღვარგარეთის ბიურო, რომელსაც ამტკიცებს პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ბიურო კოორდინაციას უწევს უცხოეთში მცხოვრები ქართველი სოციალ-დემოკრატების საქმიანობას. პარტიის საზღვარგარეთის ბიურო გადმოსცემს პარტიულ ლიტერატურას. შემოსული სახსრების 10 პროცენტს იგი ურიცხავს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

14. პარტიის უმაღლესი ორგანოა პარტიის ყრილობა, რომელსაც იწვევენ არანაკლებ ხუთი თვისა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. რიგგარეშე ყრილობას იწვევენ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ან პირველადი პარტიული ორგანიზაციების მეოთხედის მოთხოვნით. ყრილობა ირჩევს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საკონტროლო-სარევიზიო კომისიას და ცენტრალური ორგანოს რედაქტორს. ყრილობა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ირჩევს პარტიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს და პარტიის პასუხისმგებელ მდივანს.

ყრილობა ისმენს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშს, განიხილავს, ცვლის და იღებს პარტიის პროგრამას და წესდებას, განსაზღვრავს პარტიის პოლიტიკურ კურსს და საარჩევნო პლატფორმას, ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატების სიას.

15. პარტიის უმაღლესი ორგანო მის ყრილობებს შუა პერიოდში არის ცენტრალური კომიტეტი. იგი ხელმძღვანელობს პარტიის საგამომცემლო საქმიანობას და ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობას, აწყობს და წარმართავს საარჩევნო კამპანიებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს საპარლამენტო ჯგუფის საქმიანობისათვის, რედაქტორის წარდგენით ამტკიცებს ცენტრალური ორგანოს სარედაქციო კოლეგიის წევრებს, ანაწილებს პარტიული ბიუჯეტის სახსრებს.

ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელია სხვა პარტიებთან ურთიერთობაში.

16. პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ფუნქციონირებს საინფორმაციო-კვლევითი ცენტრი, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს პარტიული მუშაობის ქმედითობის ამაღლებისათვის.

17. საკონტროლო-სარევიზიო კომისია ამოწმებს შემოსული ფულადი სახსრების აღრიცხვის, პარტიული ბიუჯეტის გადანაწილებისა და შესრულების სისწორეს, განიხილავს პარტიული ეთიკისა და პარტიის წესდების დარღვევის საკითხებს, აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციებში წამოჭრილ კონფლიქტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. პარტიული კრება, პარტიული კონფერენცია და პარტიის ყრილობა უფლებამოსილია, თუ მასზე წარმოდგენილია პარტიის წევრთა ნახევარი მაინც. ყველა პარტიული ორგანიზაცია და არჩევითი პარტიული ორგანო საკითხებს წყვეტს ხმების უმრავლესობით /ფარული ან ღია კენჭისყრით/. უმცირესობა იტოვებს უფლებას დაიცვას თავისი პოზიცია, უშუალოდ მიმართოს პარტიის წევრებს, ჩამოყალიბდეს ფრაქციად ან ორგანიზაციულად გამოეყოს პარტიას.

19. პირველადი პარტიული ორგანიზაცია საკუთარი მოხმარებისათვის იტოვებს შემოსული ფულადი სახსრების 50 პროცენტს, 30 პროცენტს ურიცხავს ადგილობრივ პარტიულ კომიტეტს, 20 პროცენტს კი – პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

20. სახალხო დეპუტატების საბჭოების სესიებზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მოწვეულ ყრილობებზე, კონფერენციებზე, შრომითი კოლექტივების კრებებზე, სადაც არის პარტიის სამი წევრი მაინც, იქმნება პარტიული ჯგუფი, რომლის ამოცანაა პარტიის გავლენის გაზრდა და მისი პოლიტიკის გატარება. პარტიული ჯგუფი თავის მუშაობას წარმართავს შესაბამისი პარტიული ორგანოს რეკომენდაციების საფუძველზე.

21. პარტიის საქმიანობის შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს პარტიული რეფერენდუმი. პარტია თვითდაშლილად ცხადდება მის წევრთა 2/3 თანხმობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
# პარტიის
# პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი ს
# პროგრამა

პროგრესული კაცობრიობა ოდითგან ეძიებდა გზას, მიმავალს თავისუფალი, ჰუმანური და სამართლიანი საზოგადოებისაკენ. მართალია, ახალი დროის ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა უზრუნველყვეს ისტორიული პროგრესი, მაგრამ ისინი უფრო აცხადებდნენ, ვიდრე ახორციელებდნენ თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის იდეებს. სამართლებრივმა სახელმწიფომ და პარლამენტარიზმმა კერძო საკუთრების პირობებში ვერ მოსპო ადამიანთა სოციალური ჩაგვრა, მათი უფლებრივი დისკრიმინაცია.

უდავოა, რომ თანამედროვე კორპორაციულმა კაპიტალიზმმა მკვეთრად აამაღლა მშრომელი ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის დონე, მათი ცხოვრების ხარისხი. მაგრამ მან ვერ შეძლო დაეძლია მოსახლეობის ქონებრივი პოლარიზაცია, სოციალური უსამართლობა.

საზოგადოებას, რომელიც ეფუძნება კერძო საკუთრების ბატონობას, არ ძალუძს უზრუნველყოს თავისუფლება, ჰუმანიზმი და სამართლიანობა.

მაგრამ ვერც კომუნისტური რეჟიმის ქვეყნებში დამკვიდრებულმა სახელმწიფო საკუთრებამ მოახერხა პროგრესული კაცობრიობის ოცნების ხორცშესხმა. ყველასაგან საკუთრების გაუცხოებამ შეაფერხა ისტორიული პროგრესი, შვა დიქტატურა, შიში, მორჩილება. ადამიანი სახელმწიფოს მიზნების მიღწევის უბრალო საშუალებად იქცა.

საზოგადოებას, რომელიც ეფუძნება სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიას, ძალუძს უზრუნველყოს თანასწორობა მხოლოდ უუფლებობასა და სიღატაკეში.

თუ ბურჟუაზიული პარტიები მიისწრაფოდნენ და მიისწრაფიან თავისუფლებისაკენ სამართლიანობის ხარჯზე, კომუნისტები ქადაგებენ სამართლიანობას თავისუფლების უგულებელყოფის ფასად.

კაპიტალისტურმა და კომუნისტურმა სისტემებმა ცხადყვეს, რომ არც კერძო საკუთრება და არც სახელმწიფო საკუთრება თავისთავად არ წარმოადგენს თავისუფლებისა და სამართლიანობის გარანტიას.

თავისუფლება და სამართლიანობა ერთმანეთისაგან განუყოფელია. ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელმაც ისტორიის სარბიელზე გამოჩენისთანავე თანაბარი მნიშვნელობა მიანიჭა თავისუფლებასა და სამართლიანობას, იყო სოციალ-დემოკრატია. ამ პოზიციაზე დგას იგი დღესაც. მისი წარსული არ იყო დაზღვეული შეცდომებისაგან. მაგრამ საზოგადოების განვითარების სოციალ-დემოკრატიული ალტერნატი-

და ძირითადში სწორი აღმოჩნდა და იგი მომავლის იმედს აღუძრავს პროგრესულ კაცობრიობას.

თავისუფლებისა და სამართლიანობის გარანტიას იძლევა მხოლოდ სოციალიზაცია მეურნეული ეკონომიკის პირობებში, რომელსაც მესაკუთრეა ყველა და ამავე დროს თითოეული. სწორედ ასეთი საზოგადოებისაკენ მიისწრაფიან სოციალ-დემოკრატები. სოციალური დემოკრატია — ეს მუდმივი მოძრაობაა, მიმართული სულ უფრო სრულყოფილი და ჰუმანური საზოგადოებისაკენ, რომლის მიზანია მიწიერი ცივილიზაციის უმთავრესი ღირებულების — ადამიანის თავისუფლება, მეცნიერება და კეთილდღეობა.

სოციალ-დემოკრატები რეფორმების პარტიას შეადგენენ. ისინი ხელმძღვანელობენ არა დოგმებით, არამედ ეკონომიკური სარგებლიანობით, რეალური პრაქტიკით და საღი აზრით. მათი ზრუნვის საგანია უპირატესად დღევანდელი და არა შორეული მომავლის უცნობი თაობები. სოციალ-დემოკრატები მიზნად არ ისახავენ ადამიანებს თავს მოახვიონ ცხოვრების ახალი წესი. ისინი ისწრაფვიან შექმნან მხოლოდ ხელსაყრელი პოლიტიკური, იურიდიული და ეკონომიკური პირობები იმისათვის, რათა ადამიანებმა თვითონ შეცვალონ თავიანთი ცხოვრების წესი.

სოციალ-დემოკრატია წარმოადგენს ძლიერ და გავლენიან საერთაშორისო მოძრაობას, რომელსაც კოორდინაციას უწევს 1951 წელს აღორძინებული სოციალისტური ინტერნაციონალი. სოციალისტური დამოუკიდებელი პარტიების ასოციაციაა. მან გააერთიანა სხვადასხვა ტრადიციების მქონე მემარცხენე და ოპოზიციური სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტიები, რომლებიც ერთი და იგივე პრინციპების გამტარებლებად გვევლინებიან.

სოციალური დემოკრატიის ძირეული ღირებულებები — თავისუფლება და სამართლიანობა — შეადგენენ პოლიტიკური სისტემის საზომს, სოციალ-დემოკრატების საქმიანობის კრიტერიუმს. მათი ხორცშესხმა საერთო საკაცობრიო ამოცანაა.

სოციალ-დემოკრატების აზრით, ყველა ადამიანი თავისუფალი იბადება. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს იყოს თავისუფალი პოლიტიკური დისკუსიისა და ძალმომრეობისაგან. თავისუფლება — ეს სხვადასხვა მოაზროვნე ადამიანის თავისუფლებაცაა. არავინ არ უნდა იყოს სხვაზე დამოკიდებული, შიშით ან სიდუხჭირით დათრგუნული. ამასთან, ყოველ ადამიანს აქვს ვალდებულებანი ბუნებისა და საზოგადოების წინაშე და მხოლოდ მათ წიაღში შესაძლებელი პიროვნების სრული განვითარება. სხვისი თავისუფლება განსაზღვრავს საზღვრებს და წარმოადგენს თითოეული ცალკეული ადამიანის თავისუფლების პირობას.

სამართლიანობა, სოციალ-დემოკრატების თვალსაზრისით, გულისხმობს ადამიანთა ეროვნულ და სოციალურ

ჩაგვრის აღმოფხვრას. იგი ნიშნავს პიროვნების სოციალურ დაცულობას, უფლებებისა და შესაძლებლობების, მამაკაცებისა და ქალების თანასწორობას არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც. სამართლიანობის პირობაა თითოეული ადამიანის დამოუკიდებლობა წარმოების საშუალებების მფლობელებისა და პოლიტიკური ძალაუფლების მესაჭეებისაგან.

თავისუფლება და სამართლიანობა შეუძლებელია სოლიდარობის გარეშე. იგი უსამართლობის მსხვერპლთა მიმართ გამოვლენილი თანაგრძნობის პრაქტიკული გამოხატულებაა. თითოეულ ადამიანს სჭირდება სხვა ადამიანების თანადგომა. განსაცდელში მყოფ ან უბედურება თავდატეხილ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს საზოგადოების სოლიდარობის იმედი. ვერც მორჩილებითი კოლექტივიზმი და ვერც ეგოისტური ინდივიდუალიზმი ვერ ქმნის წანამძღვრებს პიროვნების თვითგამორკვევისათვის. ეს შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალი ადამიანების ერთობლივი მოქმედების პირობებში.

თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე სოლიდარული ძალისხმევით დემოკრატიის დამკვიდრება, მისი განვითარება და სრულყოფა - აი რა წარმოადგენს სოციალ-დემოკრატების მთავარ ამოცანას.

დემოკრატია - ეს ხალხის თვითმმართველობაა. ხალხის ნება უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლების საფუძველი და გამოიხატებოდეს თავისუფალ არჩევნებში. დემოკრატია რეალურია მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია მშვიდობიანი საშუალებებით მთავრობის შეცვლა. იგი უნდა უზრუნველყოფდეს უმცირესობების უფლებების გარანტიას. დემოკრატია თავისი არსით შეიძლება იყოს მხოლოდ პლურალისტური.

სოციალური დემოკრატიის ღირებულებები და ფასეულობა არ შექმნილა ხელის ერთი დაკვრით. იგი აღმოცენდა და ვითარდებოდა სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის წიაღში. მისი სულიერი ფესვებია ზოგადსაკაცობრიო ეთიკა, განმანათლებლობა, ჰუმანისტური ფილოსოფია, მოძღვრებები სოციალური სამართლიანობის შესახებ, სახალხო და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ქალთა ემანსიპაციისათვის ბრძოლის გამოცდილება.

სოციალური დემოკრატიის გარშემო შემოკრებილია სხვადასხვა მრწამსის ადამიანები, რომელთა დამოკიდებულება რელიგიისადმი არაერთმნიშვნელოვანია. სოციალ-დემოკრატები პატივს სცემენ თითოეული ადამიანის პირად და რელიგიურ შეხედულებებს. პარტიის არცერთ გადაწყვეტილებას არ ძალუძს მათი დაქვემდებარება.

ქვეყანა, რომელიც პირველი დაადგა სოციალური დემოკრატიისაკენ მიმავალ გზას, იყო საქართველო. ეს ჩვენ დიდ სიამაყეს გვგვრის და პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღიდგინა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. თავისუფალი არჩევნების პირობებში გამოვლენილი ხალხის ნება-სურვილით

ხელისუფლების სათავეში იდგნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომელთა ორგანიზაციის არსებობას "მესამე დასის" სახელწოდებით დასაბამი მიეცა 1893 წლის 7 თებერვალს. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს ისტორიაში პირველი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში ეროვნული პარლამენტარული სახელმწიფოს მშენებლობას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ შემოიღო 8-საათიანი სამუშაო დღე, გაატარა მიწის რეფორმა უმტკივნეულოდ და უკონფლიქტოდ, უმიწაწყლო გლეხებს დაურიგა მიწები, შრომა დაუდო საფუძვლად ქვეყნის განვითარებას, განასაზოგადა ბუნებრივი სიმდიდრე, გასაქანი მისცა კერძო ინიციატივას და თავისუფალ მეწარმეობას. ამავე დროს შემუშავებული იქნა მშრომელთა სოციალური დაცვის მექანიზმი.

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დაამკვიდრეს პოლიტიკური პლურალიზმი, მუნიციპალური თვითმმართველობა, შექმნეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, ეროვნული კონსტიტუცია, ეროვნული შეიარაღებული ძალები; აღდგენილ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი.

ქართველმა ხალხმა მთელ კაცობრიობას დაუმტკიცა თავისი მაღალი კულტურა და პოლიტიკური სიმწიფე.

მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა. ბოლშევიკებმა დაამხეს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება და დაამყარეს კომუნისტური დიქტატურა. მათ ვერ შეძლეს მხოლოდ ერთი რამ – წაეშალათ სოციალური დემოკრატიის ქართული მოდელის ისტორიული მნიშვნელობა. იგი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის უნიკალურ საგანძურად იქცა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ბოლშევიკური ტერორის ქვეშ აღმოჩნდა. მაგრამ მას არასოდეს შეუწყვეტია არსებობა, ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. უმძიმეს პირობებში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები 50-ანი წლების დასაწყისამდე არალეგალურად განაგრძობდნენ მოქმედებას საქართველოში. პარტიის საზღვარგარეთის ბიურო დღესაც ფუნქციონირებს და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა საფრანგეთში.

კომუნისტური რეჟიმის სიღრმისეულმა კრიზისმა, ევროპის მოწინავე ქვეყნების სოციალური დემოკრატიის თვალსაჩინო მიღწევებმა ნათელი გახადეს განვითარების სოციალ-დემოკრატიული ალტერნატივის ცხოველმყოფელობა. ცხოვრებამ მოითხოვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციული აღდგენა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატები დგანან საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პოზიციებზე, რომელთა შესაბამისად მიისწრაფიან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ. "მესამე დასის" საპროგრამო მოთხოვნა – თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა, ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ეთიური კეთილდღეობა როგორც დედამიწის ადამიანის ცხოვრებისა - იყო, არის და რჩება ქართული სოციალური დემოკრატიის ძირითად სამოქმედო დებულებად.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, თვისებრივად ახალ საფეხურზე აღორძინებული და ისტორიულ არენაზე დაბრუნებული, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს შემდეგი ურთიერთდაკავშირებული პრინციპით: ეროვნული თავისუფლება, პოლიტიკური პლურალიზმი, ეკონომიკური თვითმმართველობა, სოციალური სამართლიანობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება, დემოკრატიული წონასწორობა, საგარეო კარგმეზობლობა. ქართველი სოციალ-დემოკრატები პირდებიან საქართველოს ამ პრინციპების ხორცშესხმას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია დარწმუნებულია, რომ მისი პრინციპებისა და არგუმენტების ძალა, მისი მომხრეების რწმენა ხელს შეუწყობს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და უზრუნველყოფს ჩვენში სოციალური დემოკრატიის დამკვიდრებას.

" " " "

" "

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეროვნული

# თავისუფლება

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევს განახორციელოს ქართველი ერის მისწრაფება იყოს საკუთარი ბედის ბატონ-პატრონი. ეროვნული თავისუფლება საკაცობრიო ცივილიზაციის უდიდესი ღირებულებაა. ყველა ხალხს აქვს სრული თავისუფლების, სუვერენიტეტის განხორციელებისა და ეროვნული ტერიტორიის მთლიანობის უფლება. ეს უფლება განუყოფელია, ისევე როგორც ერის უფლება თვითონ აირჩიოს სახელმწიფოებრივი წყობილების მისთვის სასურველი ფორმა.

ეროვნული თავისუფლება ერის ყველა სასიცოცხლო პრობლემის გადაჭრის ტოლფასი როდია. მაგრამ მის გარეშე აზრი არა აქვს არაფერს. ეროვნული თავისუფლება ერის კეთილდღეობის საფუძველია. ამიტომ სოციალური ვერასოდეს ვერ დაჩრდილავს ეროვნულს. თავის მხრივ, ეროვნულს არ ძალუძს სოციალურის იგნორირება. სოციალ-დემოკრატები ეროვნულისა და სოციალურის ურთიერთკავშირში აღიქვამენ.

ქართველი ერი თავისუფალი იქნება. ის იყო დამოუკიდებელი. მისი სწრაფვა თვითონ განაგებდეს თავის თავს შეუნელებელია. ქართველი ერი თავისუფლებას მოიპოვებს.

თავისუფლება ერის უზენაესი უფლებაა. გამომდინარე აქედან, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას და იღვწის ამისათვის. იგი მიიჩნევს, რომ საქართველოს არასაკმარისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური მომზადებულობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას დამოუკიდებლობის მოპოვების ან მინიჭების დაყოვნების საბაბად. იმპერიების ხანა უკვე ისტორიას ჩაბარდა და ამ ბედს ვერ ასცდება საბჭოთა კავშირიც.

ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობას უნდა მიაღწიოს უსისხლოდ — ეროვნული უზენაესი საბჭოს ჩამოყალიბებითა და მისი პროფესიული პარლამენტური საქმიანობით. კონსტიტუციური გზა, მიმავალი ეროვნული თავისუფლებისაკენ, გულისხმობს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებითა და მათი განხორციელებით საშინაო საქმეებში სრული სუვერენიტეტის უზრუნველყოფას. ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ყველაფერი ის, რაც გვეკუთვნის. ეს სამართლიანი მოთხოვნაა.

საქართველოს მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ რუსი ერის სუვერენიტეტის ხელყოფას არ ნიშნავს. ჩვენ პატივს ვცემთ პროგრესულ რუსეთს, მის შრომისმოყვარე ხალხს. რუსეთთან მყიდრო, კეთილმეზობლური, პარიტეტულ საწყისებზე დაფუძნებული ურთიერთობა ჩვენი წრფელი სურვილია. ამიტომ მივიჩნევთ შესაძლებლად და მი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საღებად საბჭოთა კავშირის დარღვევას დამოუკიდებელი სახელმწიფოების ღია კავშირად. ამ შემთხვევაში მოკავშირე სახელმწიფოებს შორის უნდა დაიდოს სამოკავშირეო ხელშეკრულება მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო და საგარეოპოლიტიკურ სფეროებში. ამასთან, თითოეულ მოკავშირე სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს ვეტოს უფლება. სამხედრო და საგარეოპოლიტიკური საკითხები უნდა წყდებოდეს კონსენსუსის წესით. თავისუფალი კავშირის შექმნის წინაპირობა უნდა გახდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია გმობს შოვინიზმს, ეროვნულ ნიჰილიზმს, ნაციონალურ ყოყოჩობას, იზოლაციონიზმს, მოუწოდებს ყველა ერს თანამეგობრობისაკენ. იგი თავის რიგებში აერთიანებს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ და პატივს სცემენ მის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფა ქართველი ერის ღირსების საქმეა. მაგრამ ამისთვის თვით ქართველი ერი უნდა იყოს თავისუფალი. საქართველოს დამოუკიდებლობა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების კეთილდღეობის საწინდარია.

ჩვენი ბრძოლის საგანია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები აფხაზებისა და ქართველების ინტერესების დაცვა, არამკვიდრი მოსახლეობის თავისუფალი განვითარება. მხოლოდ თანამიმდევრულ დემოკრატიას ძალუძს ერთაშორისი თანხმობის მიღწევა.

სინდისის თავისუფლების პირობებში ანაქრონიზმია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არსებობა. იგი ხელოვნურად თიშავს აჭარლებს ქართული ორგანიზმისაგან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი უნდა გადაისინჯოს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ აჭარის მოსახლეობის თანხმობის საფუძველზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების შემთხვევაში დაზოგილი ფულადი სახსრები უნდა გადანაწილდეს აჭარელთა მრავალშვილიან ოჯახებზე ყოველწლიური დახმარების სახით და მოხმარდეს აჭარის მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიას მიაჩნია, რომ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს, რომელთა ეთნიკური ტერიტორია იმყოფება მის საზღვრებს გარეთ, უნდა მიენიჭოთ ექსტერიტორიული კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის უფლება. ეს ნიშნავს მათთვის შესაძლებლობის მიცემას შექმნან ეროვნულ-კულტურული საზოგადოებები, რომლებიც იმოქმედებენ თვითმმართველობის საწყისებზე და იზრუნებენ საკუთარი სკოლების, კულტურული ცენტრების, კოოპერატიული საწარმოებისა და გამომცემლობების შექმნაზე.

საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობა უნდა სარგებლობდეს თანაბარი უფლებებით. ამ მხრივ გადასახედია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქის სტატუსი. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ავტონომიის პირობებში ეროვნული უმცირესობის იმ წარმომადგენელთა ინტერესები, რომლებიც ავტონომიის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ, დაუცველი და დაუკმაყოფილებელი რჩება.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოში მცხოვრები ოსებისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელია საოლქო ტერიტორიული ავტონომიის ნაცვლად კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის შექმნა, რომლის მოქმედების არეალში აღმოჩნდება საქართველოს ყველა რეგიონში მცხოვრები ოსების ინტერესები.

საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ მისი ტერიტორიის თითქმის მეოთხედი ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს. ეს დანაშაული იყო.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია თანაუგრძნობს საქართველოს ტერიტორიიდან იძულებით გადასახლებულ მაჰმადიან მესხებს და საჭიროდ მიაჩნია მათი აღდგენა უფლებებში საქართველოში შექმნილი დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია გულითადად მიესალმება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონში, საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებს. კმაყოფილების გრძნობით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ მშობლიური ენა, ეროვნული ტრადიციები და კულტურა. მათთან მჭიდრო კულტურული კავშირები საჭიროა. ჩვენ გვჯერა, რომ ისინი ქართველი ერის ღირსებას დაიცავენ და ნაყოფიერი საქმიანობით ხელს შეუწყობენ მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეს.

## პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი

## პ ლ უ რ ა ლ ი ზ მ ი

პლურალისტური დემოკრატია საზოგადოებრივი პროგრესის აუცილებელი წანამძღვარია. მხოლოდ მის პირობებშია შესაძლებელი მშრომელი ხალხის პოლიტიკური თვითგამორკვევა.

სახელმწიფო არ უნდა ბატონობდეს საზოგადოებაზე. იგი მას უნდა ემსახურებოდეს. მოქალაქეები უნდა აკონტროლებდნენ სახელმწიფოს და არა სახელმწიფო მოქალაქეებს.

სახელმწიფო საქმეების მართვა არ შეიძლება პროფესიონალთა ვიწრო წრის პრივილეგია იყოს. თავის თავს თვითონ ხალხი უნდა განაგებდეს. ეს კი ერთპარტიული, ტოტალიტარული რეჟიმის დროს შეუძლებელია.

სოციალური დემოკრატია სამოქალაქო საზოგადოებაა. იგი მიიღწევა თავისუფალი არჩევნებითა და პოლიტიკური ძალების კონკურენციით. სამოქალაქო საზოგადოება, თვითმართვადი საზოგადოებაა, რომელიც უზრუნველყოფს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყვეტილებებს რეფერენდუმის გზით იღებს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია წინააღმდეგია ერთი რომელიმე პარტიის მონოპოლიისა. იგი იყო და რჩება მრავალპარტიული სისტემის დაცვის სადარაჯოზე. ნებისმიერი პარტიის მიერ ძალაუფლების უზურპაცია დაუშვებელია.

ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ საქართველოში მოქმედ ყველა ოპოზიციურ პარტიასა და ორგანიზაციასთან, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს კონსტიტუციის შესაბამისად და იღვწის ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს კომუნისტურ პარტიას მიიპოვოს ორგანიზაციული დამოუკიდებლობა და ჩადგეს ქართველი ერის სამსახურში.

საქართველოს სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ თავისუფალი პროფკავშირების შექმნას. პროფკავშირების თავისუფლება ხელშეუხებელია. ისინი დამოუკიდებელი უნდა იყვნენ სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიებისაგან.

პოლიტიკური პლურალიზმის უზრუნველყოფა შეუძლებელია სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაციის გარეშე. მთავრობის კომპეტენციაში არ უნდა შედიოდეს ის, რისი გადაწყვეტაც ადგილებზე შეიძლება. ამიტომ უნდა დამკვიდრდეს მუნიციპალური თვითმმართველობა. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ძალაუფლება გაყოფილი უნდა იყოს ადგილებზეც.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მნიშვნელოვანი ამოცანაა სახელმწიფოს დეიდეოლოგიზაცია. იგი გულისხმობს თავისუფალი პრესის და გამომცემლობების შექმნას, ცენზურის გაუქმებას, მსოფლმხედველობრივი პლურალიზმის დამკვიდრებასა და მარქსიზმის მონოპოლიის უარყოფას, შემოქმედების, მეცნიერული კვლევის, სწავლა-აღზრდისა და განათლების თავისუფლების უზრუნველყოფას, ათეისტთა და მორწმუნეთა უფლებრივ გათანაბრებას, ეკლესიის საქმეებში სახელმწიფოს ჩარევის აკრძალვას და მისი რეალური დამოუკიდებლობის მიღწევას.

სახელმწიფოს დეიდეოლოგიზაცია ითვალისწინებს კომპარტიის ორგანიზაციების გაუქმებას შრომით კოლექტივებსა და სასწავლებლებში, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სპორტულ დაწესებულებებში, სახელმწიფო გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფოებრივ ორგანოებში, საქინფორმში, რადიოში, უშიშროების, შინაგან საქმეთა, სასამართლოსა და პროკურატურის, არბიტრაჟის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართვის ორგანოებში, შეიარაღებულ ძალებში. დემოკრატია შეუძლებელია ნებისმიერი პარტიის დიქტატურის პირობებში.

იდეოლოგიური საქმიანობა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების ფუნქციაა. ისინი მას უნდა ახორციელებდნენ საკუთარი პრესისა და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილებზე მოქმედი პარტიული ორგანიზაციების მეშვეობით.

საქართველოს სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ საქართველოს ქალაქებში მიგრაციის თავისუფლებას, საპასპორტო რეჟიმისა და ჩაწერის, შრომითი წიგნაკების გაუქმებას, თითოეული მოქალაქისათვის ემიგრირებისა და სამშობლოში უკან დაბრუნების უფლების მინიჭებას.

ჩვენ უწესობად ვრაცხთ ადამიანის სიკვდილით დასჯას და მიგვაჩნია, რომ მშვიდობიანობის დროს იგი უნდა აიკრძალოს. სასჯელის უმაღლეს ზომად მიჩნეულ უნდა იქნას სამუდამო პატიმრობა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის არ არსებობს ადამიანზე უფრო მეტი ღირებულება. ადამიანთა ღირსებისა და უფლებების დაცვა დემოკრატიული სახელმწიფოს უზენაესი მოვალეობაა. აუცილებელია საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის ზოგადსაკაცობრიო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია თვლის, რომ შეიარაღებული ძალების ფუნქციას წარმოადგენს საგარეო უშიშროების უზრუნველყოფა და არა საკუთარი ხალხის მორჩილებაში ყოლა. ადგილებზე საზოგადოებრივი წესრიგი უნდა დაიცვან შინაგანი სამსახურის ეროვნულმა ჯარებმა.

შემოღებული უნდა იქნას ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის მოხდის ფორმა, რომელიც დამოუკიდებელი იქნება სამხედრო უწყებებისაგან. სავალდებულო სამხედრო სამსახური მოქალაქეებმა უნდა მოიხადონ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იგი უნდა შემცირდეს 12 თვემდე. უნდა დაიწყოს გადასვლა დაქირავებული პროფესიული არმიის შექმნაზე.

საქართველომ უნდა აღიდგინოს ეროვნული შეიარაღებული ძალები. ოფიცერთა ეროვნული კადრების მომზადებისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს მრავალპროფილიანი სამხედრო აკადემია. აუცილებელია შეიქმნას თავდაცვის ეროვნული სამინისტრო, მის სათავეში უნდა იდგნენ მხოლოდ სამოქალაქო პირები.

## ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი

## თ ვ ი თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა

პიროვნების თავისუფლების საფუძველია სახელმწიფოსაგან მისი მატერიალური დამოუკიდებლობა. წარმოების საშუალებებზე საკუთრების სახელმწიფო მონოპოლია გამორიცხავს ამის შესაძლებლობას. იგი ადამიანს ბრმა მორჩილებისაკენ უბიძგებს და კლავს მასში პიროვნული ღირსების შეგრძნების უნარს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დევიზია: თითოეული მშრომელი უნდა გახდეს მესაკუთრე, თითოეული მესაკუთრე უნდა იყოს მშრომელი. აქედან გამომდინარეობს საკუთრების დემონოპოლიზაციისა და სახელმწიფო დიქტატისაგან ეკონომიკის განთავისუფლების აუცილებლობა.

სოციალური დემოკრატია ეფუძნება შერეულ ეკონომიკას, რომლის დროსაც ფუნქციონირებს საბაზრო სისტემა, თავისუფალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეწარმეობა, კონკურენცია. შერეული ეკონომიკა მოითხოვს წარმოების საშუალებების ეფქოობის თავისუფლების დაშვებას, ბაზრისათვის აუცილებელი ეკონომიკური საფინანსო, სადაზღვევო და სხვა დაწესებულებების ინფრასტრუქტურის შექმნას, მეცნიერებისა და ტექნიკის კომერციულ საწყისებზე გადაყვანას.

ბაზრის დაშვება არ ნიშნავს მის აბსოლუტიზაციას. ბაზრის დიქტატურა ისევე საზიანოა საზოგადოებისათვის, როგორც ბიუროკრატიის დიქტატურა. ბაზარი უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას, მაგრამ მხოლოდ არაპირდაპირი გზით – საფინანსო-საკრედიტო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკით. უნდა იმოქმედებდეს ინვესტიციები და არა მიწოდება და მოთხოვნა. წვრილ საწარმოებზე სახელმწიფო დაგეგმვა არ უნდა ვრცელდებოდეს.

საკუთრების ფორმები მრავალფეროვანი და თანასწორუფლებიანი უნდა იყოს. თამამად მისაღებია სახელმწიფო საკუთრებაც, კოოპერატიულიც და კერძოც. თითოეული სექტორის საწარმოებში უნდა მოქმედებდეს საწარმოო თვითმმართველობა. სახელმწიფო საწარმოები ბაზარზე უნდა გამოდიოდნენ ავტონომიური სამეურნეო ერთეულების სახით. კერძო სექტორის საწარმოებში მიღებული ზედმეტი ღირებულება ისე უნდა გადანაწილდეს, რომ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდეს მშრომელების სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

სოციალ-დემოკრატები არ უარყოფენ საკუთრების შერეულ ფორმებსაც. სახელმწიფო და კერძო საწარმოები შერეული ხდება, თუ ისინი საკუთრების გარკვეულ ნაწილს აქციების სახით მიყიდიან მშრომელებს. ეს თანამფლობელობის სტიმულებს წარმოშობს და ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ სატარიფო ავტონომიის შემოღებას. სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს სატარიფო განაკვეთების განსაზღვრაში. სახელმწიფოს შეუძლია დაადგინოს მხოლოდ შრომის ანაზღაურების მინიმალური ზღვარი.

თვითმმართველი ეკონომიკა წარმოუდგენელია ვაჭრობის თავისუფლების გარეშე. წარმოებულ პროდუქციას გასაღება სჭირდება. ვაჭრობა მწარმოებელსა და მომხმარებელს შუა გადებული ხიდია. იგი აკავშირებს მათ ერთმანეთთან, მაგრამ არა უანგაროდ. ვაჭრობა ბიზნესია, რომელიც მოგებისაკენ ისწრაფვის. ამიტომ იგი ითვალისწინებს კომერციული ინფორმაციისა და რეკლამის სისტემის შექმნასაც.

საკუთრების ფორმები სოფლადაც მრავალფეროვანი უნდა იყოს. მიწაზე უნდა არსებობდეს როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიული და კერძო საკუთრებაც. სახელმწიფო მეურნეობები უნდა ეფუძნებოდნენ საიჯარო ურთიერთობებს. კოლმეურნეობები უნდა გადაიქცნენ აქციონერულ მეურნეობებად. უნდა დამკვიდრდეს ფერმერული მეურნეობები და

შეიქმნას მათი თვითმმართველი კოოპერატივები.

სოციალ-დემოკრატების ეკონომიკური კონცეფციის ხორცშესხმა საქართველოში მოითხოვს ისეთის დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისა და ბაზრის თავისუფალი არჩევის უფლების მინიჭებას. ამაშია საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის არსი.

## ს ო ც ი ა ლ უ რ ი

## ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ა

სოციალური სფერო მოიცავს ყველა ფენისა და სოციალური ჯგუფის შრომისა და ცხოვრების პირობებს. სწორედ ამ სფეროში თვალსაჩინოდ ვლინდება სოციალური დემოკრატიის ჰუმანისტური ბუნება, მისი თვისებრივი განსხვავება კაპიტალისტური და კომუნისტური სისტემებისაგან.

ადამიანის კეთილდღეობის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ შრომითი საქმიანობა. სოციალ-დემოკრატები უზნეობად მიიჩნევენ კლასობრივი თუ თანამდებობრივი მდგომარეობით განპირობებულ პრივილეგიებს. სოციალური დემოკრატია შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი სოციალური კონტროლის დაწესების გზით უზრუნველყოფს შემოსავლების სამართლიან განაწილებას. იგი ებრძვის ელიტარიზმს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს ნომენკლატურული პრივილეგიების გაუქმებას, გმობს თანამდებობის პირთა კასტურ კარჩაკეტილობას. მთავრობის დასასვენებელი სახლები და აგარაკები უნდა გადაეცეს მშრომელების და მათი თავისუფალი პროფკავშირების განკარგულებაში. თანამდებობის პირები, მათი ოჯახების წევრები უნდა ისვენებდნენ მშრომელებთან ერთად და მათ გვერდით. უნდა აღიკვეთოს თანამდებობის პირთა კომპაქტური დასახლებები. საცხოვრებელი ბინების განაწილება უნდა ხდებოდეს შერეული პრინციპით. მკვეთრად უნდა შეიზღუდოს სახელმწიფო პერსონალური ავტომანქანების რიცხვი.

ყველა ადამიანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სოციალური უფლებების განხორციელების შესაძლებლობათა თანასწორობით. გაუქმებას მოითხოვს საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების შექმნისა და განაწილების ანონიმური სისტემა. ეს ფონდები უპირატესად ყალიბდება მუშების ანაზღაურებელი შრომის ხარჯზე. ამასთან, მათი ოდენობა და მოხმარება სოციალური კონტროლის მიღმა რჩება. ამიტომ საზოგადოებრივი მოხმარების ცენტრალიზებული ფონდებისათვის ამოსაღები თანხები უნდა დაუტოვოთ მუშებს და შევქმნათ ავტონომიური სადაზღვევო ფონდები, რომლებიც შეივსება ნებაყოფლობით საწყისებზე.

სოციალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებებში მომსახურება უნდა იყოს ფასიანიც და უფასოც. უფასო მომსახურების საკომპენსაციო თანხა უნდა ირიცხებოდეს შესაბამისი სადაზღვევო ფონდიდან. სოციალური მომსახურების სფეროში უნდა მოქმედებდეს როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერაციული და კერძო სექტორი. აქაც აუცილებელია კონკურენცია.

შრომა თავისუფალი უნდა იყოს, რაც გულისხმობს თითოეული ადამიანისათვის კვალიფიკაციის შესაბამისი და სასურველი შრომითი საქმიანობის არჩევის უფლების რეალურ უზრუნველყოფას. უმუშევრებს შრომით მოწყობამდე უნდა ეძლეოდეთ ფულადი დახმარება. ინფლაციის ზრდის კვალობაზე პროპორციულად უნდა იზრდებოდეს შრომის ანაზღაურება და პროცენტი ანაბრებზე. ყველა ოჯახი გარანტირებული უნდა იყოს რეალური საარსებო მინიმუმით და ხარისხიანი საცხოვრებელი ბინით.

შრომა ჰუმანური უნდა გახდეს. იგი არ უნდა შთანთქავდეს ადამიანის თავისუფალ დროს. შვებულების მინიმალურმა ხანგრძლივობამ ერთი თვე უნდა შეადგინოს. ხელფასი ყოველკვირეულად უნდა გაიცეს. 35-საათიანი სამუშაო კვირის ჩარჩოებში უნდა დაწესდეს ხელფასის შეუმცირებლად 7-საათიანი სამუშაო დღე. შემოღებულ უნდა იქნას შრომის კანონმდებლობით განმტკიცებული თავისუფალი წელიწადი. ხუთ წელიწადში ერთხელ თითოეულ მშრომელს უნდა მიეცეს უფლება ერთ წლამდე ვადით მოწყდეს სამსახურს თავისი პირადი საქმეებისათვის საარსებო მინიმუმის, სამუშაო ადგილისა და სტაჟის შენარჩუნებით.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია იღვწის მამაკაცებისა და ქალების უფლებრივი და საზოგადოებრივი თანასწორობის დამკვიდრებისათვის. ჩვენი საზოგადოება მამაკაცთა საზოგადოებაა. ქალების სოციალურ ფუნქციად მიჩნეულია მხოლოდ საოჯახო საქმეები და ბავშვების აღზრდა; ქალების რეალური შემოსავალი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე მამაკაცებისა. ამასთან, ქალებს მეორეხარისხოვან თანამდებობებზე აწინაურებენ.

აუცილებელია დღემდე შემორჩენილი პატრიარქალური შეხედულებების დაძლევა. ოჯახის ტვირთი მამაკაცებმაც უნდა გადაინაწილონ. ჩვენი საზოგადოება უნდა გარდაიქმნას მამაკაცთა და ქალთა საზოგადოებად, სადაც ქალი მატერიალურად დამოუკიდებელი იქნება მამაკაცისაგან.

საგანგებო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ურთიერთობას თაობებს შორის. ახალგაზრდებს ესაჭიროებათ ხანდაზმულების შემწყნარებლობა, ხანდაზმულებს - ახალგაზრდების პატივისცემა და ყურადღება. ახალგაზრდები მატერიალურად დამოუკიდებელი უნდა იყვნენ მშობლებისაგან, ხანდაზმულები - შვილებისაგან. ყველა თაობას უფლება აქვს იქონიოს საკუთარი წარმოდგენა ცხოვრების არსზე.

# ეკოლოგიური

# უსაფრთხოება

დედამიწაზე ადამიანის არსებობას ემუქრება უმართავი ურბანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, ბიოსფეროს დეგრადაცია და ბუნებრივი რესურსების უყაირათო ექსპლუატაცია. ყოველწლიურად ქრება ფლორისა და ფაუნის უნიკალური სახეობები, იჩეხება ტყეები, ძლიერდება ნიადაგის ეროზია. ყველგან შეიმჩნევა სუფთა ჰაერისა და წყლის ნაკლებობა.

ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა კაცობრიობის გლობალურ ამოცანად იქცა. თითოეულმა ერმა ქმედითი წვლილი უნდა შეიტანოს მიწიერი ცივილიზაციის გადარჩენის საქმეში. ეკოლოგიური კატასტროფა დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობის ტოლფასია. ამიტომ დაბანდებანი ეკოლოგიურ სფეროში ყველა სახელმწიფოსათვის მომგებიანი ინვესტიციებია.

ეკოლოგია არ წარმოადგენს ეკონომიკის დანამატს. იგი სამეურნეო საქმიანობის პასუხისმგებლობის მასშტაბია. ეკოლოგიური პროფილაქტიკა გაცილებით უფრო რენტაბელურია, ვიდრე ეკოლოგიური განახლება. სახელმწიფო სამართლებრივი და ეკონომიკური სანქციების გამოყენებით, უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირებით უნდა იცავდეს გარე სამყაროს ეკოლოგიური გადაგვარებისაგან. ვითარება გვკარნახობს შევქმნათ ძლიერი ეკოლოგიური ინფრასტრუქტურა, მივანიჭოთ სპეციალურ ავტონომიურ უწყებებს ეკოლოგიური ვეტოსა და ტექნოლოგიების ექსპერტიზისა და ატესტაციის უფლება.

საზოგადოების ეკოლოგიური კონტროლი უნდა მოიცავდეს როგორც ნედლეულის მოპოვებას, გადამუშავებასა და პროდუქციის წარმოებას, ისე მოხმარებასა და ნარჩენების გამოყენებას. ბუნებისათვის ზიანის მიყენება ეკონომიკურად არახელსაყრელი უნდა გახდეს. საზღვარგარეთის ქვეყნებთან ერთობლივი საწარმოების შექმნისას უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რათა ჩვენთვის ტექნოლოგიების გადმოცემა ეკოლოგიურად მიუღებელი სისტემებისა და ტოქსიკური ნარჩენების იმპორტად არ იქცეს.

შეუძლებელია ეკოლოგიური ბალანსის დაცვა ენერგიის მომჭირნეობითი ხარჯვის, ერთეული შემოსავლის ენერგოტევადობის შემცირების გარეშე. ხელი უნდა შეეწყოს ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს, მისი მიწოდების დეცენტრალიზებულ სტრუქტურებს. დანერგვას მოითხოვს ქარის და მზის ენერგიის გამოყენება. საქართველო ატომური ელექტროსადგურებისაგან თავისუფალ ზონად უნდა დარჩეს.

აუცილებელია სანაოსნო ობიექტებისა და ავტოტრანსპორტის აღჭურვა მავნე ნივთიერებათა გამონაბოლქვის დამჭერი და გამწმენდი სისტემებით. უნდა აიკრძალოს სასოფლო-სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მეურნეო საკარგულების უკონტროლო ქიმიზაცია, გიგან-ტური მშენებლობების ნარჩენები. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ძველი ობიექტების რეკონსტრუქცია-განახლებას..

თითოეულმა ადამიანმა გარე სამყაროს დაცვა როგორც პირადი, ისე საკუთარი სამშობლოსა და მთელი კაცობრიობის გადარჩენის პრობლემად უნდა აღიქვას.

## დ ე მ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი

## წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ა

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მკვეთრად დაეცა მკვიდრი მოსახლეობის ბუნებრივი მატება. შემცირდა შობადობა. ბერდება და ცარიელდება ბევრი სოფელი. ზოგიერთ რაიონში მკვიდრი მოსახლეობა ერთობ უმცირესობად იქცა. ქართველ ერს დეპოპულაცია დაემუქრა.

საქართველოში დემოგრაფიული წონასწორობის აღდგენა მოითხოვს კომპლექსური ღონისძიებების გატარებას და ეს გასაგები უნდა იყოს ყველასათვის. არ შეიძლება დაგმობილ იქნას ერის მისწრაფება შეადგენდეს უმრავლესობას თავის ეთნიკურ ტერიტორიაზე, რომელიც მისი განუყოფელი საკუთრებაა. ამ კანონიერი მისწრაფების გარანტიაა საქართველოს მოქალაქეობის შემოღება და მისი განუხრელი განხორციელება.

მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს საწარმოო ძალთა განლაგება იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში წარმოების გაფართოება ორიენტირებული იყოს მხოლოდ არსებული შრომითი რესურსების სრულ გამოყენებასა და დასაქმებაზე, აგრეთვე საბაზრო მექანიზმის ამოქმედების პირობებში სამუშაო ძალის მოსალოდნელ ინტენსიურ გამოთავისუფლებაზე. უნდა აღიკვეთოს გარედან სამუშაო ძალის შემოყვანა, არამკვიდრი მოსახლეობის მექანიკური მატება.

მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია გვკარნახობს ძველი ნასოფლარ-ნასახლარებისა და მცირედ დასახლებული სოფლების აღდგენა-გამსხვილებისა და ახალი ტიპის სოფლების შექმნის აუცილებლობას. ამ მიზნით უნდა განხორციელდეს მოსახლეობის ორგანიზებული განსახლების ღონისძიებები.

ჭარბად დასახლებულ რაიონებში უნდა დაჩქარდეს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, აიგოს სამრეწველო ობიექტები და შეიქმნას ქალაქური ტიპის დასახლებები. გაუმჯობესებას საჭიროებს მკვიდრი მოსახლეობის ექსტერიტორიული განსახლება.

ეროვნული დემოგრაფიული პოლიტიკა გულისხმობს მკვიდრი მოსახლეობის მექანიკური და ბუნებრივი მატების სტიმულირებას. ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ მათ, ვისაც სურს სამშობლოში დაბრუნება. ამასთან, ახალგაზრდობას უნდა გავუღვივოთ მრავალშვილიანობის მოთხოვნილება. შობადობის ამაღლების საშუალებად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას აბორტების აკრძალვა. ეს უთუოდ შელახავდა ად-

მიწის უფლებებს. მრავალშვილიანობის უზრუნველყოფის წინამძღვარია ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრი გაუმჯობესება, მაღალი ეროვნული თვითშეგნება, ბავშვთა მოვლისა და აღზრდის სოციალური სისტემის მოქნილობა. ამ მხრივ მისასალმებელია ყველა კონკრეტული ინიციატივა.

## ს ა გ ა რ ე ო

## კ ა რ გ ა ხ ს ნ ი ლ ო ბ ა

თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში არცერთ ქვეყანას არ ძალუძს ცალკე არსებობა. მზარდი ინტეგრაციის პირობებში თითოეული სახელმწიფო ღია უნდა იყოს სხვებისთვის. ეს კი საგარეოპოლიტიკური ურთიერთობების დეიდეოლოგიზაციას მოითხოვს.

ქვეყანა კარგახსნილი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ის სუვერენულია და თავად განაგებს მოკავშირეების არჩევის საქმეს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ისწრაფვის იმისაკენ, რომ საქართველო გახდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, გამოცხადდეს ნეიტრალურ სახელმწიფოდ, უშუალოდ ჩაერთოს მსოფლიო ბაზარში და მოიძიოს მასში საკუთარი ადგილი. საქართველოს ჩაბმა შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში მოითხოვს უცხოური ინვესტიციების და უახლესი ტექნოლოგიების მოზიდვას, საზღვარგარეთელი სპეციალისტების გამოყენებას, ეროვნული კადრების უცხოეთში მომზადებას. ამან უნდა დააჩქაროს საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა, განამტკიცოს მისი საექსპორტო პოტენციალი, ხელი შეუწყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებას, აამაღლოს ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონე.

საქართველოს სოციალ-დემოკრატებს შეგნებული აქვთ, რომ მიზნებისა და ამოცანების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სტაბილური მშვიდობის პირობებში. ომი ანადგურებს ადამიანის სიცოცხლეს და სოციალური განვითარების საფუძველს. ნათელია, რომ ატომურმა კატასტროფამ შეიძლება ბოლო მოუღოს ადამიანთა მოდგმას.

მშვიდობა — ეს არა მარტო ის დროა, როდესაც არ ქუხს იარაღი. იგი გაცილებით მეტია, ვიდრე უომობა. მშვიდობა არ შეიძლება ეფუძნებოდეს შიშს. ამიტომ აუცილებელია საყოველთაო განიარაღება.

არსებითი წვლილი მშვიდობის განმტკიცებაში შეიძლება შეიტანოს ატომური და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებამ ურთიერთთავდასხმის შეუძლებლობის დონემდე. პოლიტიკურმა ნებამ უნდა დათრგუნოს მილიტარიზმი. უნდა აღიკვეთოს კოსმოსში ატომური იარაღის განლაგება.

მშვიდობის შენარჩუნებისაკენ მიმართული ინიციატივები მოითხოვენ საქართველოს გამოცხადებას ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან და უცხო ქვეყნების სამხედრო ბაზებისაგან თავისუფალ ზონად.

სახელმწიფოების თანხმობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მშვიდობა კაცობრიობის აუცილებელი პირობაა.

"„"          "„"

"„"

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია არავის პირდება მიწიერ სამოთხეს. იგი იღვწის ერისა და პიროვნების თავისუფლებისა და უკეთესი ცხოვრებისათვის. მისი პროგრამა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან კონსტრუქციული დისკუსიის პირობებში.

ჩვენ გვჯერა, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა იზიარებს ჩვენი პარტიის მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა საყრდენია 1918 წლის 26 მაისის იდეა.

ჩვენი ამგვარი რწმენის წყარო ისიცაა, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნებში ამომრჩევლების 85 პროცენტმა ხმა მისცა სოციალ-დემოკრატებს. 130 დეპუტატიდან 109 დეპუტატი არჩეულ იქნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. 1921 წელს საქართველოს დაპყრობის შემდეგ აქ დემოკრატიული არჩევნები აღარ ჩატარებულა. ამიტომ 1919 წლის არჩევნების შედეგები ძალაში რჩება მანამ, სანამ ქართველ ხალხს არ მიეცემა შესაძლებლობა თავისუფალ არჩევნებში გამოავლინოს თავისი ნება-სურვილი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ხალხის პარტიას წარმოადგენს. იგი გამოხატავს და იცავს მის სასიცოცხლო ინტერესებს. საქართველოს სოციალ-დემოკრატებს სჯერათ, რომ თავისუფალი ხალხი სწორ არჩევანს გააკეთებს. ისინი მომავალს ოპტიმიზმით შეჰყურებენ.

### საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
### პარტიის V ყრილობის

# დადგენილება

მოისმინა და მოიწონა რა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობის მომზადების საორგანიზაციო კომიტეტისა და პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ერთობლივი პოლიტიკური მოხსენება, ყრილობა ადგენს:
– დაევალოს

1. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს – მიიღოს ქმედითი ზომები არალეგალური პარტიული ორგანიზაციების ქსელის გაფართოებისათვის და შეიმუშაოს რეკომენდაციები პარტიული მუშაობის სრულყოფისათვის;
2. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საკონტროლო-სარევიზიო კომისიას, არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციებს – იზრუნონ ახალი წევრების მოზიდვაზე და დაიცვან პარტიის რიგების სიწმინდე;
3. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს – გააძლიეროს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს უფლებამოსილება, დაამტკიცოს მისი პერსონალური შემადგენლობა;
4. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს – აწარმოოს მოლაპარაკება ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებთან და გაერთიანებებთან. დემოკრატიული ოპოზიციური ძალების ბლოკის ჩამოსაყალიბებლად და გადადგას ნაბიჯები კოალიციური მთავრობის შესაქმნელად, რათა ბოლო მოეღოს ძალაუფლებაზე კომუნისტების მონოპოლიას;
5. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალურ ორგანოს, არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიის წევრებს – აქტიურად დაუჭირონ მხარი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც დგანან საქართველოს სდპ პლატფორმაზე ან იზიარებენ მას;
6. არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციებს – შეუდგნენ მზადებას სახალხო დეპუტატთა არალეგალური საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის, გულდასმით შეარჩიონ დეპუტატობის კანდიდატები, გაშალონ ფართო კამპანია მათ მხარდასაჭერად;
7. პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციას – პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინოს სარედაქციო კოლეგიის წევრები და გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები უახლოეს დროში პარტიის გაზეთის აღდგენისათვის;
8. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური ორგანოს რედკოლეგიასთან ერთად, – შეამზადოს და გამოსცეს საქართველოს სდპ V ყრილობის მასალები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს – მიმართოს სოციალისტურ ინტერნაციონალს მასში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაწევრიანების თაობაზე.

– უფლება მიეცეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საკონტროლო-სარევიზიო კომისიას, რეგიონულ კომიტეტებს მორის ყრილობამდე და კონფერენციებამდე განაახლონ თავიანთი შემადგენლობა ერთი მესამედის ფარგლებში.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
პარტიის V ყრილობა

თბილისი, 1990 წლის
24 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დეკლარაცია

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღორძინების შესახებ

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში თითქმის ასი წლისაა. "მესამე დასის" სახელწოდებით ცნობილ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას დასაბამი მიეცა 1893 წლის 7 თებერვალს, როდესაც მიღებულ იქნა პირველი საპროგრამო წერილი. ამ, თავიანთ პირველსავე დოკუმენტში საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მესაძირკვლეები აცხადებდნენ: თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა, ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა!

ამ დროიდან მოყოლებული ქართველი სოციალ-დემოკრატები მტკიცედ იდგნენ ერისა და პიროვნების ინტერესების სადარაჯოზე, მიზანმიმართულად მიიწევდნენ საქართველოში თავისუფლებისა და სამართლიანობის დამკვიდრების გზით. მათი მოძღვრების ძალამ, პრაქტიკულ ბრძოლაში გამოვლენილმა ავტორიტეტმა განაპირობა ის, რომ სწორედ სოციალ-დემოკრატები იყვნენ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მესვეურები, 1919 წლის მარტში კი, თავისუფალი არჩევნების შედეგებში გამოხატული ხალხის ნება-სურვილით, შექმნეს ერთპარტიული მთავრობა.

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დაამკვიდრეს პოლიტიკური პლურალიზმი, მუნიციპალური თვითმმართველობა, შექმნეს ეროვნული კონსტიტუცია, ეროვნული შეიარაღებული ძალები; აღდგენილ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, დაარსდა პირველი ქართული უნივერსიტეტი. სოციალ-დემოკრატებმა საფუძველი ჩაუყარეს ეროვნული პარლამენტური სახელმწიფოს მშენებლობას.

1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან მუხანათური თავდასხმის შედეგად მთავრობა მძიმე არჩევანის წინაშე დადგა: გაეგრძელებინა უიმედო ბრძოლა ქვეყანაში სხვადასხვა მხრიდან შემოჭრილი წითელი არმიის წინააღმდეგ თუ შეეწყვიტა მცირერიცხოვანი ერისთვის მომაკვდინებელი სისხლისღვრა. ხელისუფლების სათავეში მყოფმა სოციალ-დემოკრატებმა მეორე გზა აირჩიეს. მაგრამ ეს არ იყო კაპიტულაცია: დამფუძნებელმა კრებამ დროებით შეჩერებულად გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედება. მთავრობა ემიგრაციაში - საფრანგეთში გაემგზავრა. საქართველოს ოკუპაციას შემდგომ მისი ანექსია და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ძალდატანებით შეყვანა მოჰყვა.

სოციალ-დემოკრატები ბოლშევიკური ტერორის ქვეშ აღმოჩნდნენ. მაგრამ მათ არასოდეს შეუწყვეტიათ ბრძოლა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამ ბრძოლის ყველაზე უფრო ნათელი გამოხატულება 1924 წლის აჯანყება, რომლის სისხლიანი ჩახშობის შემდეგ კიდევ ერთხელ მძიმე დაზარალდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. და მაინც, უმძიმეს პირობებში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები 50-ანი წლების დასაწყისამდე განაგრძობდნენ მოქმედებას საქართველოში. მათ ორი ყრილობისა და სამი კონფერენციის ჩატარებაც მოახერხეს არალეგალურად. პარტიის საზღვარგარეთის ბიურო დღესაც ფუნქციონირებს და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა საფრანგეთში.

კომუნისტური რეჟიმის სისტემისეულმა კრიზისმა, დემოკრატიული სოციალიზმის ქვეყნების თვალსაჩინო წარმატებებმა ნათელი გახადეს განვითარების სოციალ-დემოკრატიული ალტერნატივის ცხოველმყოფელობა. ცხოვრებამ მოითხოვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციული აღდგენა. ასეც მოხდა.

თვისებრივად ახალ საფეხურზე აღორძინებული და ისტორიულ არენაზე დაბრუნებული, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია საჯაროდ აცხადებს, რომ იგი იბრძვის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და სოციალური დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული წესწყობილების დამკვიდრებისათვის. პარტიის მიზანია – დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო, პარლამენტარული, სამართლებრივი, პლურალისტური სახელმწიფო, მთელი ერისა და თითოეული პიროვნების ინტერესების დაცვის გარანტიებით განმტკიცებული სამოქალაქო საზოგადოება.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
პარტიის V ყრილობა

თბილისი, 1990 წლის
25 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მემორანდუმი

ბატონ ხ. პ ე რ ე ს  დ ე  კ უ ე ლ ი ა რ ს,
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს
/ნიუ-იორკი, აშშ/

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის
V ყრილობის დელეგატებისაგან /თბილისი, საქართველო/

მეფის რუსეთის 117-წლიანი ბატონობის შემდეგ 1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღიდგინა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რაც საქართველოსთან დადებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით დე იურე სცნო საბჭოთა რუსეთის მთავრობამ. საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო მსოფლიოს ოცზე მეტმა სახელმწიფომ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მმართველობის პერიოდში საქართველო შეუდგა სამართლებრივი, დემოკრატიული წესწყობილების დამკვიდრებას, რის შედეგადაც იგი გახდა მშვიდობიანობისა და სტაბილურობის ზონა კავკასიაში. მაგრამ დაარღვია რა 1920 წლის ხელშეკრულება, საბჭოთა რუსეთი 1921 წლის თებერვალში თავს დაესხა საქართველოს და დაიპყრო იგი. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო და შეეჩერებინა კონსტიტუციის მოქმედება. მან თავი საფრანგეთს შეაფარა.

ქართველ ხალხს არასოდეს უცვნია დამპყრობელი. საქართველოში მისი ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ არარ ჩატარებულა დემოკრატიული არჩევნები. თავისუფლების მოპოვების მიზნით ქართველი ხალხი მრავალჯერ აუჯანყდა დამპყრობელს. ყველაზე უფრო მასობრივი აჯანყება მოხდა 1924 წლის აგვისტოში. იგი სისხლში იქნა ჩახშობილი. 1956 წლის 9 მარტის, 1978 წლის 14 აპრილის, 1989 წლის 9 აპრილის მასობრივმა გამოსვლებმა ნათელი გახადეს, რომ ქართველი ერის მისწრაფება თავისუფლებისაკენ ურყევია. ანალოგიური გამოსვლები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონში ცხადყოფს, რომ იმპერიულ სახელმწიფოში ძლიერდება კონფლიქტები, რომლებსაც იწვევს დაპყრობილი ხალხებისათვის თავისუფლებაზე უარის თქმა ან დამოუკიდებლობისაკენ მათი წინსვლისათვის დაბრკოლებათა შექმნა. ამ მოვლენებით გამოწვეული დაძაბულობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობასა და სტაბილურობას.

ამიტომ, აღვადგინეთ რა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, მისი V ყრილობის დელეგატები მოგმართავთ თქვენ, ბატონო ხ. პერეს დე კუელიარ, გთხოვთ — საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად დღის წესრიგში დააყენოთ საკითხი თვით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ აღიარებული საქართველოს ანექსიის შესახებ, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის ქვეშ აღდგენილ იქნას საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც მას ჰქონდა 1918-1921 წლებში.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
პარტიის V ყრილობა

თბილისი, 1990 წლის
25 თებერვალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მიმართვა

ბატონ ვ ი ლ ი ბ რ ა ნ დ ტ ს,
სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარეს

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის
V ყრილობის დელეგატებისაგან

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში ჩაისახა მე-19 საუკუნის ბოლო ნახევარში. "მესამე დასის" სახელწოდებით ცნობილმა ორგანიზაციამ, რომელიც დაარსდა 1893 წელს, შემდგომ სოციალ-დემოკრატიის სახელწოდება მიიღო. დასაწყისიდანვე იგი მტკიცედ იდგა მშრომელი ადამიანის ინტერესების დაცვის, თანასწორობისა და სოლიდარობის, სოციალური დემოკრატიის პრინციპებზე. ამასთან, იგი მუდამ იყო ორიენტირებული განვითარების ევროპულ გზაზე. ამ ორიენტაციამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა "მესამე დასის" პირველსავე დოკუმენტში, სადაც ნათქვამია: "ქართველობა და ევროპიელობა - აი რა სწერია ჩვენს დროშაზე. ჩვენი წინსვლა ამ დროშის თანდათან გაშლას მოასწავებს. ჩვენი ქვეყანა უკვე შედგა ევროპიელების გზაზე. ევროპიელება სწამოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა - აი რა სწერია ახალ დროშაზე!

თავდაპირველად ქართული სოციალ-დემოკრატია სრულიად დამოუკიდებლად განვითარდა. მაგრამ ათწლიანი მუშაობის შედეგად ნათელი გახდა, რომ იმპერიაში შემავალი მცირერიცხოვანი ერის პოლიტიკური ძალები საკმარისი არ იქნებოდა მეფის რუსეთთან საბრძოლველად. ქართველი სოციალ-დემოკრატები იძულებული გახდნენ შეერთებოდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. ეს მოხდა 1903 წელს, ოსყმვ ლონდონის ყრილობაზე. მაგრამ ამავე ყრილობაზე თავი იჩინა მოვლენამ, რომელიც შემდგომ "ბოლშევიზმის" სახელწოდებით გახდა ცნობილი და მოგვიანებით სრულიად უარყო სოციალ-დემოკრატიის პრინციპებს. მას იმთავითვე დაუპირისპირდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, მაგრამ საბოლოო გამიჯვნა განხორციელდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ - როცა ბოლშევიკებმა მოახდინეს ოქტომბრის გადატრიალება და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა. ქართველი სოციალ-დემოკრატების არჩევანი სრულიად განსხვავებული იყო: პოლიტიკურ პლურალიზმზე, სოციალური დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული თავისუფალი საზოგადოება. საქართველომ გამოაცხადა 117 წლით ადრე დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ხალხის ნებით ხელისუფლების სათავეში მოექცა სოციალ-დემოკრატია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პარტიამ შექმნა ისტორიაში პირველი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, საფუძველი ჩაუყარა ეროვნული პარლამენტარული სახელმწიფოს მშენებლობას.

მისი მოღვაწეობის შედეგად ისტორიას შემორჩა სოციალური დემოკრატიის ქართული მოდელი, რომელიც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის საგანძურად იქცა. ამის ნათელი დადასტურებაა ის აღტაცებული შეფასებები, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მოღვაწეობას მისცეს თბილისში 1920 წელს სოციალური დემოკრატიის ქართული მოდელის გასაცნობად ჩამოსულმა IIინტერნაციონალის ლიდერებმა – კარლ კაუცკიმ და სხვებმა.

მაგრამ 1921 წლის თებერვლის ტრაგიკულმა მოვლენებმა მოულოდნელად შეწყვიტა ქართული სოციალ-დემოკრატიული ექსპერიმენტი – საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება, დაიპყრო საქართველო და დაამხო მისი კანონიერი ხელისუფლება. პარლამენტმა დროებით შეჩერებულად გამოაცხადა კონსტიტუციის მოქმედება. მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო – მან თავი საფრანგეთს შეაფარა. ქვეყნის ოკუპაციას შემდგომ მისი ანექსია და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ძალდატანებითი შეყვანა მოჰყვა.

კომუნისტური დიქტატურის დამყარების შემდეგაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ შეუწყვეტია არსებობა, ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. უმძიმეს პირობებში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები 50-ანი წლების დასაწყისამდე განაგრძობდნენ მოქმედებას საქართველოში. მათ ორი ყრილობისა და სამი კონფერენციის ჩატარებაც მოახერხეს არალეგალურად. პარტიის საზღვარგარეთის ბიურო დღესაც ფუნქციონირებს და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა საფრანგეთში.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნის პროცესმა გამოააშკარავა კომუნისტური რეჟიმის სიღრმისეული კრიზისი, მიხეილ გორბაჩოვის მიერ დაწყებული დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ფართოდ გაშლამ კი შესაძლებელი გახადა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციული აღდგენა. მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის თვალსაჩინო წარმატებები ნათლად მეტყველებს ჩვენს წინამორბედთა – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოღვაწე სოციალ-დემოკრატთა მიერ არჩეული გზის სისწორეზე, ძალას გვმატებს დასახული მიზნებისათვის საბრძოლველად.

თვისებრივად ახალ საფეხურზე აღორძინებული და ისტორიულ არენაზე დაბრუნებული, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოთქვამს იმედს, რომ მონათესავე

პარტიები მთელს მსოფლიოში მხარს დაუჭერენ მის მისწრაფებას დაიმკვიდროს კუთვნილი ადგილი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. ჩვენ გვჯერა, რომ ამ მოძრაობის მაკოორდინებელი, 1951 წელს აღორძინებული სოციალისტური ინტერნაციონალი დადებითად განიხილავს საკითხს მასში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიღების თაობაზე. ეს საშუალებას მისცემს პარტიას უშუალოდ და სრულყოფილად ჩაერთოს მოძრაობაში როგორც მისი განუყოფელი შემადგენელი ნაწილი, ხელს შეუწყობს კავკასიის რეგიონში სოციალური დემოკრატიის იდეების გავლენის გაძლიერებას, მთლიანად სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შემდგომ განმტკიცებას.

გაუმარჯოს თავისუფლებას, სამართლიანობას, სოლიდარობას!

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
პარტიის V ყრილობა

თბილისი, 1990 წლის
25 თებერვალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მიმართვა

## საქართველოს ყველა მოქალაქისადმი

დღეს, როცა საქართველოში ასზე მეტი პარტია და პოლიტიკური ორგანიზაცია არსებობს, იბადება კანონიერი კითხვა - რამ გამოიწვია სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღორძინება და რა ახალი იდეები შეიძლება შესთავაზოს მან ქართველ ხალხს.

მიგვაჩნია, რომ სწორედ დღევანდელ პირობებში, როცა საქართველო უბრუნდება კაცობრიობის განვითარების ბუნებრივ გზას, სოციალ-დემოკრატიის აღორძინება თვისებრივად ახალ საფეხურზე ისტორიული კანონზომიერებაა და არა ცალკეულ პირთა პოლიტიკური ამბიციების შედეგი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია მოწოდებულია დაანახვოს ქართველ ხალხს, რომ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მიზეზი ერთია - კომუნისტური რეჟიმი, და სანამ ჩვენ მისი ბატონობის ქვეშ ვიმყოფებით, შეუძლებელია ეროვნული თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა. მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და თავისუფალი მეწარმეობის პირობებშია შესაძლებელი საქართველოს ეკონომიკის აღმავლობა.

მაგრამ თავისუფალ მეწარმეობაზე გადასვლა პირველ ხანებში არაერთგვაროვან შედეგებს გამოიწვევს - მოსალოდნელია ცხოვრების დონის საერთო დაცემა, მოქალაქეთა ქონებრივი დიფერენციაცია და პოლარიზაციაც კი, რაც გამოიწვევს სოციალური დაძაბულობის ზრდას საშიშ ზღვრამდე. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია არ აპირებს შესაძლებელ სოციალურ ხანძარზე ხელის მოთბობას. პირიქით, იგი ყოველმხრივ შეეცდება დემოკრატიული გზით შეამსუბუქოს მოსალოდნელი სოციალური უთანასწორობანი, არ დაუშვას ქართველი ხალხის გათიშვა და კლასობრივი სიძულვილის ფსიქოლოგიის აღორძინება. სოციალ-დემოკრატები შეეცდებიან სოციალური გარანტიების ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც ყველას უზრუნველყოფს ცხოვრების საარსებო მინიმუმით. ღრმად გვწამს, რომ კრიზისული პერიოდი დიდხანს არ გაგრძელდება და საქართველო შეუერთდება განვითარებული ევროპული ქვეყნების რიგს. ჩვენ არაფერს დავიშურებთ ამ მიზნის მისაღწევად.

სოციალ-დემოკრატები დგანან საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პოზიციებზე, რომელთა შესაბამისად მიისწრაფიან საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისაკენ. თვისებრივად ახალ საფეხურზე აღორძინებული და ისტორიულ არენაზე დაბრუნებული, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს შემდეგი ურთიერთგადაჯაჭვული პრინციპებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლება, პოლიტიკური პლურალიზმი, ეკონომიკური თვითმმართველობა, სოციალური სამართლიანობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება, დემოკრატიული წონასწორობა, საგარეო კარგახსნილობა.

სოციალ-დემოკრატები მტკიცედ დგანან ყველა ერის უფლებრივი ინტერესების დაცვის პრინციპზე და განუხრელ ზრუნავენ ეროვნული უმცირესობების თავისუფალ განვითარებაზე. ისინი შეშფოთებას გამოთქვამენ ბოლო ხანებში სამომწიფებული ეროვნებათაშორისი კონფლიქტების გამო, რომლებსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არასოდეს ქონია ადგილი საქართველოში, გმობენ ხალხებს შორის შუღლის გაღვივების ყოველ ცდას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი. ეროვნებათაშორისი უთანხმოება მუდამ ხალხის წინააღმდეგაა მიმართული და მხოლოდ გარეშე მტრულ ძალებს აძლევს ხელს. აქედან გამომდინარე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია თავის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნებას შორის მყარი თანხმობის ხელშეწყობას, მომავალი თავისუფალი საქართველოს სამსახურში მათ აქტიურ ჩაბმას. ყველამ უნდა იცოდეს – დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო მხოლოდ სიკეთეს მოუტანს ჩვენს ძირძველ მიწაზე მცხოვრებ ყოველი ეროვნების ადამიანს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია უარყოფს ყოველგვარ კავშირს ქართველი ერის სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის მკვლელებთან. მართალია, დიდი ილიას მკვლელი ბოლშევიკები ფორმალურად სოციალ-დემოკრატიის რიგებში იმყოფებოდნენ, მაგრამ ჭეშმარიტი სოციალ-დემოკრატები, რომელთათვისაც მუდამ უცხო იყო ტერორიზმისა და სისხლისღვრის ბოლშევიკური მეთოდები, ჯერ კიდევ 1903 წელს გაემიჯნენ მათ.

ჩვენ არა ვართ პასუხისმგებელი სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკური ფრთის დანაშაულებრივ ნაბიჯზე. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის საქმეში და ცალკეული შეცდომების მიუხედავად ისტორიაში შევიდნენ როგორც ერთგული საქართველოს იდეისათვის მებრძოლნი. ისინი საკუთარი მკერდით იცავდნენ სამშობლოს, ხელი არ მოუწერიათ კაპიტულაციაზე და დამპყრობის შემდეგაც არაერთხელ დაღვარეს სისხლი საქართველოსთვის. სწორედ 1921–1924 წლებში სამშობლოსათვის დაღუპულ სოციალ-დემოკრატთა გმირული შემართება გვმატებს ძალას ჩვენს სამართლიან ბრძოლაში. სწორედ მათ მემკვიდრეებს ვთვლით თავს და არასოდეს ვუღალატებთ ამ მამულიშვილთა მიერ დაწყებულ საქმეს.

ჩვენ გვჯერა, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა იზიარებს ჩვენი პარტიის მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა საფუძველია 1918 წლის 26 მაისის იდეა. ამიტომ მოვუწოდებთ საქართველოს ყველა პატრიოტს – ქართველსა და არაქართველს, მორწმუნესა და ათეისტს – შემოგვიერთდნენ მისწრაფებაში მივაღწიოთ სანუკვარ მიზანს – დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულ დამოუკიდებელ საქართველოს, მთელი ერისა და თითოეული პიროვნების სოციალური ინტერესების დაცვის გარანტიებით განმტკიცებულ სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული

პარტიის V ყრილობა

თბილისი, 1990 წლის
25 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიმართვა

## სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხებისადმი

ჩვენ, საქართველოს სოციალ-დემოკრატები, უკიდურესად შეშფოთებული ვართ მეზობელ რესპუბლიკებში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენებით. ჩვენ ვგმობთ სამხედრო ძალის გამოყენებას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და მოვუწოდებთ არ მისცეთ ცენტრს ეროვნებათაშორისი ურთიერთობებში უხეში ჩარევის ახალი საბაბი.

უთანხმოება ორ ერს შორის სისხლიან შეტაკებებში გადაიზარდა. იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები, უბედურებიან ოჯახები, გაჩნდა ლტოლვილთა მრავალათასიანი არმიები. კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია მხოლოდ ახალი მსხვერპლის მომასწავებელი იქნება. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ არ შეიძლება ბედნიერება მოუტანოს აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხს. ეროვნებათაშორისი შუღლი მუდამ ხალხის წინააღმდეგაა მიმართული და მხოლოდ გარეშე მტრულ ძალებს აძლევს ხელს.

ერთადერთი გზა ხსნისა – პირდაპირი, ორმხრივი მშვიდობიანი მოლაპარაკებაა. ამას მოწმობს ისტორია – ჩვენი, კავკასიელი ხალხების ისტორია, რომელმაც, მიუხედავად ჩვენს თავს გადამხდარი კატაკლიზმებისა, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობის დროს პრობლემათა მშვიდობიანი ხერხებით მოგვარების მაგალითებიც შემოგვინახა. ამიტომ ჩვენი ძალები უნდა მოვახმაროთ მთავარ მიზანს – დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების აღდგენას, ჩვენს რესპუბლიკებში დემოკრატიული წესწყობილების დამკვიდრებას, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ერების განვითარებასა და კეთილდღეობას, მთლიანად რეგიონის გაძლიერებას და აყვავებას.

უნდა გვახსოვდეს – ყველანი ერთ ნავში ვართ, და ეს ნავი კავკასიაა. სომეხმა, აზერბაიჯანელმა, ქართველმა, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებმა ერებმა ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რათა რეგიონში ბოლო მოეღოს ყოველგვარ სისხლიან ტრაგედიებს, დამკვიდრდეს ეროვნებათაშორისი თანხმობა. მოვუწოდებთ ჩვენს მეზობლებს – აზერბაიჯანელებსა და სომხებს – დაივიწყოთ მტრობა, გამონახოთ ინტერესების შეხების წერტილები, საერთო ენა და მთელი ძალები მოახმაროთ მშვიდობის დამკვიდრებას. კავკასიის პროგრესი, მასში მცხოვრები ხალხების სრულყოფილი წინსვლა-განვითარება მხოლოდ მტკიცე მშვიდობის პირობებშია შესაძლებელი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
პარტიის V ყრილობა
თბილისი, 1990 წლის 25 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალტიისპირეთის ხალხებთან სოლიდარობის

# რეზოლუცია

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობა სოლიდარობას უცხადებს ბალტიის რესპუბლიკებში ერთა თვითგამორკვევის მიმართულებით მიმდინარე პროცესებს. თავისუფლება ერის უზენაესი უფლება, მისი განვითარებისა და კეთილდღეობის აუცილებელი პირობაა. ეროვნული თავისუფლების გარეშე აზრი არა აქვს არაფერს. ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის ხალხების მისწრაფებას – იყონ თავიანთი ბედის ბატონ-პატრონნი – და ვუერთდებით მათ მოთხოვნას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, რომელიც წართმეული აქვთ 1940 წლის საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის ცინიკური ინკორპორირების შედეგად.

ღრმად გვწამს, რომ ბალტიისპირეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა წონად წვლილს შეიტანს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში, ხელს შეუწყობს მიმდინარე პროცესების დემოკრატიული გზით წარმართვას, ამ რესპუბლიკებში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელთა უფლებრივი ინტერესების დაცვის, სრული ეროვნული და სოციალური თანხმობის პირობებში.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
პარტიის V ყრილობა

თბილისი, 1990 წლის
25 თებერვალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

38 = 63

# საქართველოს
## სოციალ-დემოკრატიული პარტიის
## მ ე ხ უ თ ე  ყ რ ი ლ ო ბ ა ს

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს სახელით მოგესალმებით თქვენ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეხუთე ყრილობის მთელ შემადგენლობას და გისურვებთ გამარჯვებას და წარმატებას, რადგან თქვენ ხართ გამგრძელებელი იმ წმინდა საქმის, რომელსაც ჩვენი პარტიის დიდმა ადამიანებმა საფუძველი ჩაუყარეს ჯერ კიდევ 1893 წელს და მათი ღვაწლით საქართველო გახდა დედამიწაზე პირველი სოციალისტური სახელმწიფო, მაგრამ ბედის უკუღმართობამ და დამპყრობელმა ჯარების ძალამ 1921 წლის 24-25 თებერვალს შეწყვიტა მისი ლეგალური არსებობა და მისი ლეგალიზაციისათვის ბრძოლის საქმეს შეეწირა ასი ათასობით პარტიისა და ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის თავდადებული პატრიოტები, რომლების ძვლებით საბურთალო და რუსეთის კონცენტრაციული ლაგერების ძმათა ორმოები გავსებულია.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო იმედს გამოთქვამს, რომ პარტიის თქვენნაირი ღირსეული ყრილობა, ჩვენის სახელით ერთი წუთით ფეხზე ადგომით პატივს სცემს მათ ნათელ ხსოვნას.

ძვირფასო თანამოაზრეებო! გვინდოდა თქვენთან ერთად!.. იცოდეთ, რომ ის ცოტა ნაწილი სიცოცხლისა, რაც დამრჩენია, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის ზვარაკად მიგვირთმევია.

ვწუხვართ, რომ ჯანმრთელობის გამო ვერ ვესწრებით ამ ბედნიერ დღეს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში თუ ამის შესაძლებლობა მოგვეცა, თქვენთან ვიქნებით.

გკოცნით ყველას მამაშვილურად
ყოველთვის თქვენი კარგის მსურველი და
დიდის პატივის მცემი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის
საზღვარგარეთელი ბიუროს მდივანი —
მამია ბერიშვილი

პარიზი, 1990 წლის
20 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ი ლ ი ა   დ ა   ნ ო ე

უცოდველია ღმერთი; უცოდველი ადამიანი კი არ არსებობს, თუმცა ადამიანი ქმნილებათა გვირგვინია, და კლასიკურ ხანაში,- ახალი ხანისაგან განსხვავებით,- მისი ცოდვილად აღიარება, ხულ ცოტა, ღიმილს გამოიწვევდა. მაგრამ ერში ადამიანის ორივე გაგება იყრის თავს: იგი წარმოშობს, ქმნის უცოდველ, იდეალურ ადამიანებს, რომ ერმა მარადიულობა მოიპოვოს.და ვინც ამ კანონზომიერებას უარყოფს, უარყოფს ერსაც, და თავისთავს მის გარეშე აყენებს.

## I.

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში, საქართველომ, ქართველმა ხალხმა შობა ორი ბუმბერაზი ეროვნული მოღვაწე - ილია ჭავჭავაძე(1837-1907) და ნოე ჟორდანია(1868-1953). და საქართველოს ისტორიისა და მისი მამოძრავებელი ძალის - ქართველი ერის წიაღიდან წარმოშობილ და ჩამოყალიბებულ არც ერთ დიდ პიროვნებას არ რგებია ისეთი ბედი(თუ უბედობა), როგორც ამ ორ დიდ პიროვნებას, რადგან - საქართველოს პოლიტიკური კონიუქტურის ვითომ-კარნახით - ზოგიერთი ქართველი ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პიროვნებებს იხილავენ არა იმ კონტექსტში, რაც მათ აერთებთ, არამედ ისეთ კონტექსში, რაც მათ თითქოსდა ჰყოფთ. აქ კი არის საწყისი, საიდანაც გამომდინარეობს ამ ორი დიდი პიროვნების მოღვაწეობის მანკიერი განჭვრეტაც.

## II.

ჩემს ერთერთ ნაწერში("თერგდალეული ილია", მიუნხენი, 1983 წელი), ილია ჭავჭავაძე განვიხილე როგორც საზოგადო მოღვაწე, ხოლო ნოე ჟორდანია როგორც პოლიტიკური მოღვაწე, და ამ ორი ცნების თუ ტერმინის განსაზღვრა ასე ჩამოვაყალიბე:

"...თუ საზოგადოებრივი მოღვაწე 'მთელის'(ქვეყნის, ერის) ინტერესების დაცვით, 'ნაწილების'(ფენის, კლასის, დაჯგუფების) გამოჯანსაღებას ცდილობს პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების გარეშე, ხოლო პოლიტიკური მოღვაწე 'ნაწილის'(მშრომელი ხალხის) ინტერესების დაცვით 'მთელის'(ქვეყნის, ერის) გამოჯანსაღებას ცდილობს პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებით, მაშინ საქართველომ, ქართველმა ერმა, საქართველოს ისტორიის ამ უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში, - განსაკუთრებით პირველდასხელთა, მეორედასხელთა და მესამედასხელთა 'დაუნდობელი' ბჭობა-დავის პროცესში, - ორი ბუმბერაზი პიროვნება შობა: დიდი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე და დიდი პოლიტიკური მოღვაწე ნოე ჟორდანია, რომელთა მოღვაწეობის გვირგვინია 1918-1921 წლები, ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენისა და განმტკიცების "პატარა 'ოქროს ხანა'".

ამგვარად, განსხვავება ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას მოღვაწეობას შორის ეხება მოქმედების "ტაქტიკას" და არა "სტრატეგიას", რადგან ორივე საქართველოს, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განხორციელებისაკენ მიისწრაფვოდნენ, თუმცა ამ საკითხზე ღია ლაპარაკი იმდენად შეიძლებოდა, რამდენადაც "საერთო ფრონტის" შენარჩუნება საშიშროების ქვეშ არ მოექცეოდა, რომ მეფის რუსეთის იმპერიის და ამით თვითმპყრობელობის დანგრევაში მთავარი როლი თვით რუსის ხალხს ეთამაშა, რაც განხორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცილდა 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შედეგად, როცა გზა გაეხსნა საქართველოს, ქართველ ხალხს ეროვნული თავისუფლებისაკენ.

III.

და რატომ დაგვჭირდა დღეს, 1990 წელს, ამ საკითხზე ისევ ლაპარაკი? - დაგვჭირდა იმიტომ, რომ - ილია ჭავჭავაძის მხოლოდ პუბლიცისტურ ნაწერებს რომ შევეხოთ, რომლებშიც ის ზოგჯერ "აჩქარებულ გამოთქმებს" იყენებს ნოე ჟორდანიას პიროვნების შეფასებისას, - დღეს, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, ზოგიერთი ამას იყენებს იმისათვის, რომ ჩრდილში დააყენოს ნოე ჟორდანია, თუმცა კარგად იცის, რომ ნოე ჟორდანია გახდა დიდი, დიდი ისტორიული პიროვნება, თუ გნებავთ, მხოლოდ იმ ისტორიული ფაქტით, რომ ქართველი ერის ისტორიამ მას დააკისრა დიდი ეროვნული მისია, როცა მან - 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ - 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, რაც, უმოკლეს ხანში, იცნო მსოფლიოს დიდმა სახელმწიფოებმა თვით რუსეთის ჩათვლით; და ჩვენს დედაქალაქ - თბილისში - ისევ გაჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოების ოცზე მეტი საელჩოებ-საკონსულოები.

IV.

"26 მაისში" თავს იყრიან ჩვენი ყველა თავისუფლების მებრძოლნი, რომელთა ეროვნული ლოზუნგი იყო და არის:"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებასა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა", რასაც, ილია ჭავჭავაძე რომ 26 მაისს მოსწრებოდა, უდავოა, მიესალმებოდა.

V.

ამდენად, ჩვენი ღრმა რწმენით, ილიასა და ნოე ჟორდანიას ურთიერთობის გარკვევისას, წინა პლანზეა წამოყენებული არა ის,-ვთქვათ, "26 მაისი",-რაც ილიასა და ნოეს აერთებს, არამედ ის, რაც მათ ერთმანეთისაგან ჰყოფს. ილიასა და ნოეს კი ჰყოფდა ერთმანეთისაგან საქართველოს, ქართველი ხალხის საჭირბოროტო საკითხების მოგვარების(ტაქტიკური) გზები: ილია ჭავჭავაძე,როგორც საზოგადო მოღვაწე, არ იბრძოდა სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის; ნოე ჟორდანია კი სწორედ სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის იბრძოდა და ამ მიზნით შექმნა "მესამე დასი"="საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია", რომლის მეშვეობით იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს, ქართველ ხალხს და,უმოკლეს ხანში, გახდა "26 მაისის" თეორიული და პრაქტიკული მეთაური.

VI.

იზიარებდა რა თეორიულ-პრაქტიკული მოქმედებისას დედუქციურ მეთოდს, ილია ჭავჭავაძე "მთელიდან"="ერი" იხილავდა ერის შემადგენელ "ნაწილებს"; ნოე ჟორდანია კი - იზიარებდა რა მოქმედების ინდუქციურ მეთოდს, ქართველი ხალხის, საქართველოს მთლიანობისაკენ მიისწრაფოდა "ნაწილებისაგან", ქართველი ერის "ფენობრივი შემადგენლობისაგან". ეს კი ქადაგებს მათი მოქმედების განსხვავებაზე "ტაქტიკურად" და არა "სტრატეგიულად". ამგვარად,- მიუხედავად ილიას ზოგიერთი "აჩქარებული გამოთქმებისა" ნოეს მიმართ,-ორივე წერდენ, დავობდენ, ბჭობდენ განსხვავებული მეთოდებით, თუმცა ორივე, უეჭველია, საქართველოს, ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის იბრძოდენ. და ნოე თუ ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეული ხალხის "ფენობრივ აღნაგობას" საქართველოს ინდუსტრიალიზაციის კონტექსტში იხილავდა,მაშინ,გასაგებია, ვერ დაკმაყოფილდებოდა საქართველოს რეალური მდგომარეობის მხოლოდ განჭვრეტით; რადგან ამგვარი თეორია პრაქტიკულ განხორციელებას მოითხოვდა, რაც - თავის მხრივ - თვითმპყრობელობის დამხობას ნიშნავდა.

VII.

და როცა 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუცია მოხდა, - მიუხედავათ სა-ერთა-შორისო რთული მდგომარეობისა, - საქართველოში შესაძლებელი გახდა არა მარტო "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს"-ილეის განხორციელება, არამედ, მას ზევით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა სახელმწიფო,რომელშიც განხორციელების გზას დაადგა -"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა". ამდენად "26 მაისი" არის ილიასა და ნოეს დიადი იდეების განხორციელების სიმბოლოც.

VIII.

ამიტომ, უბადრუკია ამ-თუ-იმ პირის თუ პარტიის ცდა ილია და ნოე, ეს ორი ბუმბერაზი პიროვნება საქართველოს მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების ისტორიაში, - განხილულ იქნეს მხოლოდ იმ კონტექსტში, რაც მათ ჰყოფდათ,და მიჩქმალულ იქნას ყველაფერი ის, რაც მათ აერთებდათ. მაგრამ, საბედნიეროდ, მოგვეპოვება ისეთი გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეებიც,რომლებიც წინა პლანზე აყენებდენ იმას, რაც ილიასა და ნოეს აერთებდათ.

ილია ჭავჭავაძის დიადი პიროვნების და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხოტბა ყოველთვის გაისმოდა და გაისმის ქართველ ხალხში, რომლის კულმინაციურ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ეკლესიის მიერ მისი "ილია მართალ" კურთხევა.

IX.

მაგრამ ნოე? - ნოე ჟორდანია დღესაც ზ ო გ ი ე რ თ "ვითომ-ისტორიკოსთა" თუ "ვითომ-მეცნიერთა" საჯიჯგნი ობიექტია, რომლებიც ილიას ზოგიერთ "აჩქარებულ გამოთქმებსაც" კი იყენებენ ნოეს, ამ ბუმბერაზი პოლიტიკური მოღვაწის წინააღმდეგ. ეს "ახლად-აღმოცენებული" "ვითომ-ისტორიკოს-მეცნიერნი" უგულებელჰყოფენ იმფაქტსაც,რომ ჩვენი ერის ზოგიერთი გამოჩენილი პირი არ იზიარებდენ ნოე ჟორდანიას მსოფლხედვას, მის ამა-თუ-იმ ტაქტიკურ მოქმედებას, და, ზოგჯერ, - სამართლიანად თუ უსამართლოდ - სასტიკადაც აკრიტიკებდენ მას, მაგრამ - ამავე დროს - მაინც აღიარებდენ ნოე ჟორდანიას დიდ დამსახურებას საქართველოს, ქართველი ხალხის მიმართ.

X.

"მე არ ვიცი ვინ შესძლებდა მაშინდელ პირობებში, ნოე ჟორდანიას გარდა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, როგორ იქნებოდა შესაძლებელი საქართველოს დამოუკიდებლობა, თუ ამას არ იწამებდა ნოე ჟორდანია", - წერს პროფესორი მიხეილ(მიხაკო) წერეთელი, ზოგჯერ, ნოე ჟორდანიას ამა-თუ-იმ ტაქტიკური ნაბიჯების სასტიკი გამკრიტიკებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI.

"ნოე ჟორდანია რომ არ ყოფილიყო, საქართველოს დამოუკიდებლობა იქნებ ვერც კი გამოეცხადებინა..." - წერს სასულიერო პირი - რაფიელ ინგილო("მებრძოლი საქართველო",ნომერი 9,1953 წ.).

XII.

"დღეს ნოე ჟორდანია მართლაც მთელი ერის მეთაურია. 1917 წლის ნოებრის დღეებში, ის ავიდა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც საქართველოში არავინ ასულა. ეს მოხდა მაშინ, როცა ნოე ჟორდანიამ ეროვნულ ყრილობაზე განაცხადა, რომ ქართველი ერის სხეული გამრთელდა და დაწერა დიდი ეტრატი თავისუფლებისა", - ასე წერდა გერონტი ქიქოძე 1917 წელს.

XIII.

"არ ვიცი ლოცულობდა თუ არა ნოე ჟორდანია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ საქართველო ნოე ჟორდანიაზე ლოცულობს", - წერდა ჩვენი დიდი მწერალი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე("ბედი ქართლისა",ნომერი 13, 1953 წელი).

XIV.

ნოე ჟორდანიას თანამებრძოლებიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი - ევგენი გეგეჭკორი - წერდა("მ.ს.",ნომ.9,1953 წელი): "ნოე ჟორდანია ჩვენი ხალხისათვის იგივეა პოლიტიკაში, რაც აკაკი წერეთელი პოეზიაში; ორივე ხალხოსნური, ადვილად გასაგები, ორივე მისი მესაიდუმლე და ორივე საყვარელი".

XV.

რაჟდენ(მიშა) არხენიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, წერს: "როცა 1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევის ხუთ საათსა და ათ წუთზე, თბილისში, სასახლის თეთრი დარბაზის ტრიბუნიდან ჭაღარამოსილი ნოე ჟორდანია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს კითხულობდა, მისი პირით ლაღადებდა საქართველოს მთელი ისტორია, წარსული და აწმყო ქართველი ერისა".

XVI.

"თუ ილია უგვირგვინო მეფე იყო, ბედმა ქართლისამ ნოე ჟორდანიას შუბლზე დაადგა მძიმე გვირგვინი სრულიად საქართველოსი", - წერდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გიორგი კერესელიძე.

XVII.

საზგასმით უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ილია ჭავჭავაძე, მიუხედავათ მისი "აჩქარებული გამოთქმებისა"( ახალ მოსული: -"უმეცარნი","გერმანიაში გამობრძმედილი ცრუ-მეცნიერი","ქარაფშუტა ორთავიანობა","ორპირობა" თუ "ნიშადურ მოცხებული ხტუნვა და მალაყები"), დიდათ აფასებდა პირადათ ნოე ჟორდანიას,და მას, როგორც ცნობილია, "ივერიის" რედაქტორობა შესთავაზა. ნოე ჟორდანიაც, გასაგებია, დიდათ აფასებდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ მოღვაწეობას,-არაფერი რომ არ ვთქვათ ილიას მწერლურ სიდიადეზე, - და ამბობდა, რომ,ილია რომ ცოცხალი ყოფილიყო, მიესალმებოდა 26 მაისს, რაც - თავის მხრივ - მეტყველებს: - "26 მაისის იდეა" ნოესა და ილიას ერთიანებს. ნოე ჟორდანიას-"დაუნდობელი დავის" დროსაც "ახალ მოსულთა"("ივერია",1900

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელი...) და "კვალს"("კვალი",1900 წელი...) შორის, როცა "ახალ მოს[illegible] სასტიკად, ზოგჯერ, უხეშადაც ილაშქრებდა მესამე დასელების წინააღმდეგ, - არასოდეს უხეში სიტყვებით არ მიუმართავს ილიასათვის; მოგვიანებით კი ნოე ჟორდანიამ გამოაქვეყნა ნარკვევი ილიასა და აკაკის შემოქმედების შესახებ, რომელშიც ხოტბას ასხამს ამ ორ დიდ მწერალ-პოეტს.

XVIII.

ამდენად, დროს, საქართველოს მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების ისტორიაში - დიდ ილიასთან ერთად - აღიარებულ იქნას დიდი ნოე, ვინაიდან პირველმა, როგორც საზოგადო მოღვაწემ, ხოლო მერმე, როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ - გაერთიანდენ 1918 წლის 26 მაისში, რაც იქცა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის "პატარა 'ოქროს ხანად'", რის ისევ-აღდგომისათვის იბრძვის მთელი საქართველო, მთელი ქართველი ხალხი.

XIX.

ამ პროცესში, საზოგადო მოღვაწე, ისე როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მართალია, "მთელს"(ერს, ქვეყანას, და ამით ადამიანს, ადამიანებს) ემსახურება, მაგრამ იგი, - პოლიტიკური მოღვაწისაგან განსხვავებით, - "მთელიდან-ნაწილისაკენ" (ფენა, კლასი, დაჯგუფება) და არა "ნაწილიდან-მთელისაკენ" მიისწრაფვის; და ამით იგი უფრო საზოგადოებრივ-მორალურ, ვიდრე პოლიტიკურ ავტორიტეტს წარმოადგენს.

XX.

და როგორ ვთქვით დასაწყისში? - უცოდველია ღმერთი; უცოდველი ადამიანი კი არ არსებობს, თუმცა ადამიანი ქმნილებათა გვირგვინია, და კლასიკურ ხანაში, - ახალი ხანისაგან განსხვავებით, - მისი ცოდვილად აღიარება, სულ ცოტა, ღიმილს გამოიწვევდა. მაგრამ ერში ადამიანის ორივე გაგება იყრის თავს: იგი წარმოშობს, ქმნის უცოდველ, იდეალურ ადამიანებს, რომ ერმა მარადიულობა მოიპოვოს.და ვინც ამ კანონზომიერებას უარყოფს,უარყოფს ერსაც,და თავისთავს მის გარეშე აყენებს.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1990 წლის აგვისტო

ეროვნული თავისუფლება
პოლიტიკური პლურალიზმი
ეკონომიკური თვითმმართველობა
სოციალური სამართლიანობა
ეკოლოგიური უსაფრთხოება
დემოკრატიული წონასწორობა
საგარეო კარგახსნილობა

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## "ექსტრემისტთა" უგნურება და ტრაგედია

არა მარტო "პარიზული ივერიას" ახალი გამოხტომების გამო
"ივერია", პარიზი, 1990 წლის აპრილი

ეს წერილი მოიწონა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიურომ

I.

"ექსტრემიზმი" - "მარჯვნიდან" მოდის იგი თუ "მარცხნიდან" - უგნურება და დასაგმობია, რადგან ის არა მარტო "პოლიტიკურ კულტურას" აჩანაგებს, არამედ - მას ზევით - დემოკრატიის, ჰუმანიზმის თუ პოლიტიკური პლურალიზმის ცნებებსაც ბრიყვულად აყალბებს, როცა, ამაოდ, გვიტკიცებს, რომ თითქოს მხოლოდმხოლოდ ის გამოდის ხალხის, ერის, ქვეყნის გარდაუვალ ინტერესებიდან, და ყველასა და ყველაფერს უარყოფს, რაც მის დახშული აზრის(თუ უაზრობის) სფეროში არ ეტევა. გამოდის, რომ "ექსტრემიზმი", როცა ყველასა და ყველაფერს ათახსირებს, ვერ ატყობს, რომ თავისთავსაც ათახსირებს?!.. თუ პოლიტიკური მოწინააღმდეგეები სადანძღავ-საგინებელია, "არარაობაა", მაშინ ვერ ატყობენ ეს "ექსტრემისტები", რომ "ქარის წისქვილებს" ებრძვიან?!..

II.

ამგვარი პოლიტიკური "სიბრიყვე" კი დასაგმობია განსაკუთრებით იმიტომ, რომ - განსაზღვრულ პირობებში, როცა "წყალი ამღვრეულია" - "ექსტრემისტთა" უგნურები "დაბნეულ ხალხს", - ე.ი. "არაორგანიზებულ", "გათვითცნობიერებას" მოკლებულს, რასაც-თავი მხრივ - ინფორმაციის უქონლობა ან სიყალბე იწვევს, - საუბედუროთ, უდგებიან სათავეში; ქმნის, ასე ვთქვათ, "შეფიცულთა კასტას", და, ზოგჯერ, სახელმწიფო სათავეშიც ექცევიან, როგორც ეს მოხდა 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში თუ 1933 წლის იანვარში გერმანიაში. ამ დროს კი "ცალკეულთა" ექსტრემისტული უგუნურება, "კასტის" სიბრიყვე ხდება, რომელსაც, ზოგჯერ, ტრაგედია მოყვება, როგორც ეს მოხდა სტალინიზმ-ლენინიზმის თუ ჰიტლერიზმის დროს.

III.

ამგვარად, "ექსტრემისტთა" უგნურება შეიძლება ტრაგედიად იქცეს, თუ ჩვენ დროულად არ ავხდით ფარდას სიბრიყვეს, როგორი თვალწარმტაცი ფორმითაც არ უნდა მოგვევლინოს ის. და ეს რომ ასეა, ამის მაგალითი მოგვცა - საქართველოს ფარგლებში რომ დავრჩეთ - ქართველმა(და არაქართველმა) ბოლშევიკებმა, რომლებმაც,-ჩვენთვის გაუგებარი მოტივით თუ უგნურებით- საკუთარ დედას - საქართველოს ჩასცეს ზურგში სანჯალი, გაბაწრეს საქართველო, ქართველი ხალხი და მიართვეს "საჩუქრად" უცხო ძალას. და რა"სამაგიერო საჩუქარი"მიიღეს ქართველ ბოლშევიკ-ექსტრემისტებმა? - დახვრეტა "უკლონიზმის" ბრალდებით; და მათ მიაყოლეს ათასობით ქართველი პატრიოტები, რაც ეროვნულ ტრაგედიათ იქცა, რომლის უახლესი აქტია 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია თბილისის ქუჩებში, როცა ჩვენ ბრიყვ-ქართველი ბოლშევიკების მიერ მოყვანილმა უცხო

მბრძანებლებმა ქიმიური საწამლავი ნივთიერებაც კი გამოიყენეს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ.

IV.

როგორც ვხედავთ, "მემარცხენე" ექსტრემისტემა, ქართველმა ბოლშევიკებმა "ბრიყვულად" დაენდევენ ლენინს და ეს უგუნურება უსაშინელეს ტრაგედიად დაატყდა თავს საქართველოს, ქართველ ხალხს დაწყებული 1921 წლის 25 თებერვლიდან დღემდე, 1990 წლამდე, რომლის დასასრული ბურუსითაა მოცული.

V.

და ასეთ რთულ, "ამღვრეული წყლის" პირობებში, ისევ გაისმის უგნური აზრები(თუ უაზრობანი) ქართული პრესის ფურცლებზე, როგორც საქართველოში, ისე პოლიტიკურ ემიგრაციაში, რომელთა მიზანდასახულობა, სულ ცოტა, ამ სტრიქონების დამწერისათვის გაუგებარია. ნუთუ ამ "ექსტრემისტებმა" არ იციან, რომ პოლიტიკურმა უგნურებამბოლშევიკებისა საერთო სახალხო ტრაგედია გამოიწვია საქართველოში, რომლის ბოლო, როგორც აღვნიშნეთ, ბურუსითაა მოცული?..

VI.

მაგრამ დავანებოთ თავი ზოგად ლაპარაკს და შევეხოთ კონკრეტულ ფაქტებს: ხელთ მაქვს, მაგალითად, 1990 წლის 23 მარტის(ნომ.14,პარასკევი) გაზეთი "საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა", რომელშიც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:"68 წლის განმავლობაში დღევანდელ სოციალ-დემოკრატებს თითი თითზე არ დაუკარებიათ ეროვნულ მოძრაობაში...საქართველოს ემიგრაციის ის ნაწილი, რომელიც არ.სცნობს დღევანდელ ეროვნულ მოძრაობას, არც მეტი, არც ნაკლები, არის სუკ-ის(სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის,ე.ი."კა-გე-ბეს") აგენტურა საზღვარგარეთ". "საქართველოს ემიგრაციას არავითარი მორალური და ზნეობრივი უფლება არ აქვს ჭკუა გვარიგოს. სოციალ-დემოკრატიული პარტია მშიშარა კურდღელივით გაიქცა. ბოლშევიკებმა თითქმის უსისხლოდ აიღო საქართველო... ამიტომ ჯვაროსნული ომი უნდა გამოვუცხადოთ ამ მაფიოზურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას".

VII.

უგნურება, უცოდინარობა ძნელია ამაზე უფრო შორს წავიდეს: ამ"საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის" მესვეური ისეთი ტონითა და რიხით ლაპარაკობს, რომ ცა ქუდათ არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. ამბობს სიბრიყვეს და ჩვენ, ამ გაზეთის მკითხველებმა, რა თქმა უნდა, მას უნდა დავუჯეროთ,თითქოს ჩვენ განსჯის უნარიანობა დაკარგული გვქონდეს!.. როგორ?!.. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელსაც უკვე 100-ი წლის ისტორია აქვს, რომლის დროს ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის, - საქართველოს სხვა პარტიებისაგან განსხვავებით, - არასოდეს არ შეუწყვეტია და დღესაც "26 მაისის იდეებისათვის" ბრძოლაში მოწინავე პოზიციაზე დგას, - არაფერი არ გაუკეთებია ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში?.. და ადამიანი მართლა ბრიყვი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას "მშიშარა"უწოდო, რომელიც თითქოს "კურდღელივით გაიქცა" უცხოეთში?.. მერმეთ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, დამოუკიდებელი საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს მოსახლეობამ არ იბრძოლა მომხდური მტრის წინააღმდეგ 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკების წინააღმდეგ?.. ნუთუ აღნიშნული აზრის გამომთქმელი იმდენად უგნურია, რომ რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის ისტორიას სრულიად არ იცნობს და მაინც სწერს ამგვარ სისულელეს იმ იმედით, რომ მის უცოდინარობას ფარდა არ აეხსნება?.. და-ბოლოს, ვის უცხადებს "ჯვაროსნულ ომს" ეს ვაჟბატონი?.. "მაფიოზურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას?.." ესმის კი ამ უგნურ-ავტორს თუ რა არის, საერთოდ, გამოთქმა "მაფიოზური"?.. და თუ ესმის, დასაჯერებელია ამგვარი "მაფიოზური" პარტია საერთოდ არსებობს დღეს საქართველოში, თვით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ჩათვლით?.. ქართველობა ხომ ერთერთი ყველაზე უფრო გათვითცნობიერებული ხალხია მთელს მსოფლიოში .პოლიტიკურად?!..

კიდევ: პოლიტიკურ ემიგრაციას გააჩნია დიდი, დიდი გამოცდილება ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისა, და განა "ჭკუის სწავლებად" უნდა ჩაითვალოს თუ პოლიტიკური ემიგრაციის ესა-თუ-ის პარტია, ესა-თუ-ის პირი თავის აზრს გამოთქვამს საქართველოს დღევანდელი რთული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ?.. და თვით "ჭკუის სწავლებაში" რა არის ცუდი, მიუღებელი, დასაგმობი?.. მიმღებს ხომ შეუძლია "ჭკუის დარიგება" მიიღოს ან არ-მიიღოს, და ვინ აძალებს მას პოლიტიკური ემიგრაციის მიერ გამოთქმული ესა-თუ-ის აზრი, წინადადება მიიღოს?!.. ა რ ა ვ ი ნ. მაშ, რა საჭიროა ამგვარი მოუთმენლობა ყველა აზრისა თუ შეხედულებისა, რომელიც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შეზღუდულობის საზღვრებს შორდება?..

VIII.

მაგრამ "პარიზული ივერია", თავის 1990 წლის აპრილის 34-ე ნომერში, კიდევ უფრო შორს მიდის: ის კი არ კმაყოფილდება მარტო სოციალ-დემოკრატიული პარტიის მრწამსის კრიტიკით, არამედ - მას ზევით - ლანძღვა-გინებისაგანაც კი არ იხევს უკან ისეთი დიდი პოლიტიკური მოღვაწის მიმართ, როგორიც იყო "მესამე დასის" დამაარსებელი და თეორეტიკოსი, 26 მაისის შესანიშნავი თაობის მეთაური, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე - ნოე ჟორდანია. უგნურება კი არა, სასირცხვილოცაა, როცა "პარიზული ივერია" ნოე ჟორდანიას შესახებ, სხვათა შორის, წერს:

1. "...მართალი იყო ილია, როდესაც ნოე ჟორდანიას ნააზრევს 'უვიცობის ფართიფურთი უწოდა'. ვფიქრობ ეს გაკვეთილი გათვალისწინებული უნდა იქნას მომავალში და საქართველოს კონსტიტუციაში, ჩემის აზრით, შეტანილ უნდა იქნას მუხლი:'საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა წარმოადგინოს: ა)სიმწიფის ატესტატი; ბ)საქართველოს ისტორიის გამოცდა ჩააბაროს!"
2. "...კიდევ ერთი მუხლი უნდა დაემატოს კონსტიტუციას:'საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა ჩააბაროს გამოცდა ლოგიკის საფუძვლებისა".
3. "...შემდეგ კიდევ ერთი მუხლი მეჩვენება აუცილებელი მომავალ კონსტიტუციაში:'საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა წარმოადგინოს ჯანმრთელობის მოწმობა".

IX.

და ს ა ქ მ ე სოციალ-დემოკრატებისა და ამით ნოე ჟორდანიას თაობისა? -

"პარიზული ივერია" ისე უგუნური ყოფილა, რომ <u>განსხვავებას</u> კომუნიზმსა და სოციალ-დემოკრატიას, ე.ი. ბოლშევიკურ ბატონობასა და დამოუკიდებელ საქართველოს ხელისუფლებას შორის ვერ ხედავს!.. და იმდენად აწვალებს ქართულ ენას, რომ "ბრჭყალების" გამოყენებით ცდილობს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მისი შესანიშნავი ხელმძღვანელი თაობის ყ ვ ე ლ ა მოქმედების გაბრიაბრუებას. აქ "პარიზული ივერია" მიმართავს ბოლშევიკურ ხერხს, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას "მენშევიკურ მთავრობას" უწოდებს, რომლის დროს - ერთი მხრივ - "საცანებად" საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი შესანიშნავი თაობა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, გამოჰყავს, ხოლო - მეორე მხრივ - "ანგელოზებად" მხოლოდ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებია გამოყვანილი. ამ დროს, "პარიზული ივერია", რა თქმა უნდა, შეგნებით, ივიწყებს, რომ დამოუკიდებელი საქართველოში 1919 წელში ჩატარებული ნამდვილი დემოკრატიული არჩევნების შედეგად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, ე.ი. საკანონმდებლო ორგანოში=პარლამენტში, სულ 130-ი დეპუტატიდან, 109-ი დეპუტატი გაიყვანა; ოპოზიციას კი (სულ სამ პარტიას: ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასა და სოციალ-დევოლუციურ პარტიას) - მხოლოდ 21 დეპუტატი ჰყავდა. გამოდის, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატთა 85-ი პროცენტი "უვიცობის ფართი-ფურთის" გამომხატველი, ხოლო დანარჩენი 15-ი პროცენტი მხოლოდდამხოლოდ ღირსეულნი იყვნენ. ვინ უნდა დაიჯეროს ეს ზღაპარი?!..

X.

ამითაც არ მთავრდება "პარიზული ივერიას" უბწურება: ამ ჟურნალის მესვეურებს, როგორც ჩანს, არ ესმით, რომ "ოპოზიციას" ისეთი "პოზიცია" (მთავრობა) უდგია გვერდში, რომლის ღირსი ის თვითონ არის: სხვა სიტყვებით, თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის მიერ, დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობა "არ-ვარგოდა", მაშინ "არ-ვარგოდა" თვით ოპოზიციაც, და - მას ზევით - თვით ქართველი ხალხიც, რადგან სწორედ ქართველმა ხალხმა აირჩია ეს დეპუტატები. ვითომ "პარიზული ივერია" საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობის თავჯდომარეს - ნოე ჟორდანიას - უწუნებს "ლოლიკას" და მის საკუთარ "ულოლიკობას" ვერ ხედავს?.. რა თქმა უნდა, - ვგმობთ რა "პარიზული ივერიის" აღნიშნულ და სხვა მრავალ სიბრიყვეს საქართველოს დამოუკიდებლობის "პატარა 'ოქროს ხანის'" გაბრიაბრუების მიზნით, -ჩვენ არ გვსურს დავდგეთ "შებრუნებულ სიბრიყვეზე" და დანძლვა-გინებით მოვიხსენოთ ის ქართველი დეპუტატები და ქართველი ხალხის ნაწილი, რომლებიც არ იზიარებდენ "მესამედასელთა"="საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიისა და მათი ხელმძღვანელი შესანიშნავი თაობის პოლიტიკურ ხაზს. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უდავოა, დადებითი როლი ითამაშა ოპოზიციამაც, ოპოზიციური პარტიების ხელმძღვანელთა ჩათვლით. ამიტომ იყო, რომ - გაეცნო რა 1919 წლის არჩევნების შედეგებს - ნოე ჟორდანიამ თქვა, რომ საჭიროა "ოპოზიციის გაძლიერება", ვინაიდან სახელმწიფოს დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკრატიული წესყობილება მოითხოვს "ძლიერ ოპოზიციას", რომ პოზიცია-ოპოზიციის დავა-ჭიდილში ქვეყანამ, ხალხმა გამონახოს მოქმედების რაც შეიძლება ყველაზე უფრო მიზანშეწონილი მოქმედების ხაზი. და ასეთ პიროვნებას შეუძლია უწოდოს "პარიზულმა ივერიამ""ულოღიკო" თუ მოითხოვს მას "სიმწიფის ატესტატი?.." შეიძლება სიბრიყვე კიდევ უფრო შორს წავიდეს?..

## XI.

ამითაც არ მთავრდება "პარიზული ივერიას" სიმჩატე: გულშემაწუხებელი ყორყლიორობით "ამონაწერებისა", "პარიზული ივერია" ცდილობს საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის="მესამე დასის" და მის მეთაურთა "ბრიყვებად" გამოყვანას და სურს შექმნას შთაბეჭდილება, რომ "პარიზული ივერიას" მხოლოდ"მიუღებელი ისტორიკოსები"თუ"მეცნიერები" ხელმძღვანელობენ. მაგრამ, დახეთ? - თუ მკითხველი გულდასმით წაიკითხავს ამ მარილაცდა მომაბეზრებელ სტატიას, მივა დასკვნამდე, რომ ამონაწერები, აზრები სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებისა თვით ნოე ჟორდანიას ჩათვლით, ჩრდილში აყენებს მათ საწინააღმდეგოდ გამოყვანილ ფაქტებს: ერთი მხრივ, ღინჯი,ლოღიკური,საქმიანი ანალიზი ისტორიული ფაქტებისა ნოე ჟორდანიას მხრიდან; ხოლო, მეორე მხრივ, "აჩქარებული","გულმოსული" და ამდენად ზერელე განჭვრეტა პოლიტიკური მოვლენებ-ფაქტებისა, თვით "კვიმატი ჰიპოტეზების"(ოჰ, რა გენიალური სათაურია!) ჩათვლით.ყველაფერი აღნიშნულის წაკითხვისას,"გამლანძღველი" თვითონ ხდება "გალანძღული", ვინაიდან ულოღიკობის, სიბრიყვის, "რა არ უნდა დაჯდეს" ლანძღვა-გინების მორევში ექცევა. მაგრამ ჩვენ კი არ გვახარებს "პარიზული ივერიას" ასეთი სამწუხარო მდგომარეობა, არამედ - პირიქით - გვაწუხებს, გვაფიქრებს, გვაშინებს, რომ ასეთ პოლიტიკურ უმწიფრებს,"ხვალ",მართლა არ ჩაუვარდეს ხელში ძალაუფლება საქართველოში?!..

## XII.

ღმერთმა დაგვიფაროს ამისაგან, თუმცა ღმერთი ჩვენ მაშინ დაგვეხმარება თუ "ხელებს გავანძრევთ",ე.ი.ვიმოქმედებთ. და აქ მებადება ერთი კითხვა: თანამედროვე, მოდერნულ ხელოვნებაში, - აკადემიური მხატვრობისაგან განსხვავებით, - ტილო-სურათის დამთვალიერებელი აყენებს კითხვას არა რ_ა არის გამოსახული, არამედ ვ_ი_ნ არის ამის შემქმნელ-გამომსახველი?!.. რის თქმა სურს მას?.. ანალოგიურია ჩვენი შეკითხვებიც: ვინ არის"პარიზული ივერიას" ეს ავტორი?..რის თქმა სურს მას?...ვის წისქვილზე ასხამს წყალს?.. პოლიტიკურად "პარიზული ივერია" მაშინ გაკოტრდა, როცა ამ ორგანომ "საქართველოს ეროვნულდემოკრატიული პარტიის" საპატიო წოდება მოიშორა; მაგრამ მაინც რომ არ ეშვება "მესამედასელთა" და ამით საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თვით 26 მაისის დიადი იდეების ლანძღვა-გინებას?..

## XIII.

საქართველოს, ქართველი ერის სამი-ათასწლოვან სახელმწიფოებრივ ისტორიაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - 1918-1921 წლებში - სამართლიანად ითვლება "პატარა 'ოქროს ხანად'", ვინაიდან საქართველო გახდა -

ეროვნული ბიბლიოთეკა

117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ - არა მარტო დემოკრატიული რესპუბლიკა, არამედ, ამასთანავე, ერისა და პიროვნების თავისუფლება გააპოხიერა ხო[illegible]ლურადაც, და ახე გახდა საქართველო პირველი სოციალური დემოკრატიის სახელმწიფო მთელს მსოფლიოში, რაც ყოველი ქართველისათვის - მიუხედავათ მისი პარტიული მიდრეკილებისა - საამაყოა. საამაყოა, ვიმეორებთ, ეროვნულად და სა-ერთა-შორისო მაშტაბითაც, ვინაიდან ანალოგიურ გზას, მოგვიანებით, დაადგა მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო, ვთქვათ, შვეცია, რომელიც ერთერთი სანიმუშო ქვეყანაა, რომელშიც ერისა და პიროვნების თავისუფოება სოციალური დემოკრატიის უცილობლო შემადგენელი ნაწილია.

XIV.

და ვის უნდა ვუმადლოდეთ საქართველოს, ქართველი ხალხის ამგვარ სამაგალითო სახელმწიფოებრივ რაობას, რომელიც უცხო ძალამ შეწყვიტა 1921 წლის 25 თებერვალს? - უნდა ვუმადლოდეთ, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის მაღალ პოლიტიკურ კულტურას და მის ხელმძღვანელობას, რომლის ცენტრი იყო და, მჯერა, არის "მესამე დასი", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის თეორიული და პრაქტიკული ხელმძღვანელი, წლების განმავლობაში, გახდა ნოე ჟორდანია, რომელმაც - გამოაცხადა რა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა და გახდა რა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე, - ამით გახდა უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე მთელი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნისა, რითაც იგი გვერდში ამოუდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისეთ დიდ მესაჭეებს, როგორიც იყვნენ ფარნავაზი, გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე თუ ერეკლე მეორე.

XV.

და ვისი გამონათქვამი არ მოჰყავს "პარიზულ ივერიას" იმისათვის, რომ როგორმე დაამციროს ნოე ჟორდანია და გააწბილოს მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები!.. "პარიზულ ივერიას", მაგალითად, მოყავს ჩვენი ცნობილი პროფესორისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ(მიხაკო) წერეთლის აზრები ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ; მიხეილ წერეთლისა, რომელმაც, სხვათა შორის, პირველად თარგმნა ქართულად კარლ მარქსის შრომები; და პოლიტიკური მიმართულება არაერთხელ შეიცვალა, რასაც საძრახად არ ვამბობთ, რადგან ყოველ ადამიანს აზრის, რწმენის შეცვლის უფლებაც უნდა ჰქონდეს. და თუ ჩვენი სახელოვანი პროფესორი პოლიტიკაში, როგორც ჩანს, "ექსტრემიზმისაკენ" მიდრეკილებას იჩენდა, როგორც "მარცხნივ"(ანარქიზმი), ისე "მარჯვნივ", - ეს მას აზროვნებას არ უჩლუნგებდა "პარიზული ივერიის"-მსგავსად. აი, რა თქვა პროფესორ მიხეილ წერეთელმა ნოე ჟორდანიას შესახებ: "მე არ ვიცი ვინ შეხძლებდა მაშინდელ პირობებში, ნოე ჟორდანიას გარდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, როგორ იქნებოდა შესაძლებელი საქართველოს დამოუკიდებლობა, თუ ამას არ იზამებდა ნოე ჟორდანია". ("ბედი ქართლისა", ნომერი 13,1953 წელი).

XVI.

კიდევ: როგორც რადიომსმენელებმა თბილისიდან არაერთხელ აღნიშნეს, რადიო "თავისუფლება" თურმე, არსებითად, გადასცემს ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა ისეთ ნაწერებს, რომლებშიც გადანძლულია "მეშევიკები", "მენშევიკური მთავრობა" და, გასაგებია, თვით ნოე ჟორდანიას შესანიშნავი თაობა. და თურმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ ნოე ჟორდანიას ნაწერებსაც გადასცემს რადიო"თავისუფლება",მაგრამ ისეთი "ჩართული განმარტებებით", რომ - საბოლოო ჯამში - რადიომსმენელს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ნოე ჟორდანიაც თითქოს უდასტურებს "პარიზულ ივერიას" აზრებს(თუ უაზრობას) "მესამედასელთა" შესახებ!.. და თუ ეს მართლა ასე ხდება, ეს მეტად საშიშია, რადგან რადიო მართლაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებაა;და ამგვარმა სიბრიყვემ, არ გამოიწვიოს საქართველოში არსებული პოლიტიკური დაპირისპირების კიდევ უფრო გამძაფრება. ნუთუ "პარიზულმა ივერიამ" იმდენად დაკარგა წონასწორობა, რომ ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას, როცა ცეცხლზე ნავთს ასხამს, და ისედაც გამწვავებულ პოლიტიკურ ურთიერთობას საქართველოში და ემიგრაციაში კიდევ უფრო ამწვავებს?..

## XVII.

აქვე მოვიგონოთ აგრეთვე ილიას სიტყვები: "ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელი ერის ნამოქმედარია და იგი მამა-პაპა, რომლისაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპაა საერთოდ და განუყოფლად, იმიტომ, რომ საისტორიო კავი ხორცია ხორცისაგან მთელი ერისა და ძვალი ძვალისაგან".

## XVIII.

მოდი დავანებოთ თავი "პარიზული ივერიის"-მაგვარ "სიმჩატეს"თავიდანვე, რომ ამგვარმა უგნურებამ არ გამოიწვიოს ტრაგედია-ტერორი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოში, როცა ბოლშევიკები უცხო ძალას შემოუძღვენ დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რის შედეგად ამ "ექსტრემისტთა" სიბრიყვეს ტრაგედია მოყვა, რომლის დასასრული,-მიუხედავათ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიისა თბილისში, - მაინც არ ჩანს.

## XIX.

და ასეთ რთულ პოლიტიკურ პირობებში არ უნდა შეიგნოს არა მარტო "პარიზულმა ივერიამ", რომ ჩვენ დღეს ყურადღების ცენტრში უნდა დავაყენოთ არა ის, რაც ამა-თუ-იმ პარტიას თუ პირს ერთმანეთისაგან ჰყოფს, არამედ ის, რაც გვაერთებს, მით უმეტეს, რომ 26 მაისის დიადი იდეები ჩვენ ყველას გვაერთებს, ყველას უნდა გვაერთებდეს?..

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1990 წლის ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "რეგულირებადი საბაზრო მეურნეობა?.."

### მთავრობა - მწარმოებელი - მშრომელი

I.

ბოლშევიკურ რეჟიმს არასოდეს არ უჭირდა ლოზუნგების გადმოსროლა:"სამხედრო კომუნიზმი", "ნეპი"("ახალი ეკონომიკური პოლიტიკა"),"სრული ინდუსტრიალიზაცია", "სრული კოლექტივიზაცია"; ომის დროს:"სამშობლოსათვის, სტალინისათვის", "სამამულო ომი", "პიროვნების კულტი" თუ, ახლა, "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაცია". კიდევ მეტი: ისეთ ლოზუნგებსაც გვახვევდენ თავზე, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა რეალობასთან: ტერორით განხორციელებულ კოლექტივიზაციას, მაგალითად, მოყვა ლოზუნგი "თავბრუდახვევა წარმატებებისაგან",-თითქოს კოლექტივიზაცია "წარმატება" იყო. ომის წინანდელი შიმშილობის დროს კი, ბოლშევიკებმა გადმოისროლეს ლოზუნგი -"ცხოვრება გახდა უკეთესი, ცხოვრება გახდა საამური".

II.

და დღეს? - გორბაჩოვისეული "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესში, გაისმა ლოზუნგი "რეგულირებადი საბაზრო მეურნეობა!"; და ეს ლოზუნგიც წინააღმდეგობრივია, ვინაიდან "საბაზრო მეურნეობას" რეგულირება "ზემოდან", ე.ი. სახელმწიფო ბიუროკრატიისაგან კი არ ესაჭიროება, არამედ მწარმოებლების და მშრომელების და მთავრობის ცვალებადი ურთიერთობა,რომლის დროს მიწოდება- მოთხოვნილების, თავისუფალი კონკურენციის"მოტორი" თავისუფალი უნდა იყოს მხოლოდ მთავრობის "რეგულირებისაგან".

III.

კრემლის პარტიული ხელმძღვანელობა კი, როგორც ჩანს, გორბაჩოვისეული გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის პროცესში დიქტატორული გეგმიანი მეურნეობის ნაწილობრივ შენარჩუნებას მაინც ლამობს, რის შედეგად წინააღმდეგობა "საბაზრო მეურნეობასა" და "გეგმიან მეურნეობას" შორის კიდევ უფრო მძაფრდება. ერთი მაგალითი მრავალთაგან: ვენიამინ კადნერი, "სილ-ის" საავტომობილო ქარხნის დირექტორის მოადგილე მოსკოვში, რომელიც ხელმძღვანელობს ორასი-ათასი საბარგო ავტომობილის პროდუქციას, რომლის პროდუქციაში დასაქმებულია 120.000-სი კაცი, - მოგვითხრობს:"წინათ: სახელმწიფო გეგმა განსაზღვრავდა წლიწადში დაგვემზადებინა ორასი-ათასი საბარგო ავტომობილი; მასალის დამზადების სახელმწიფო კომიტეტი გვაწვდიდა ნედლ მასალას და შემდეგ ყიდულობდა ზუსტად ორას-ათას საბარგო ავტომობილს". "დღეს: ვარჯიშობთ ოდნავად გადასვლას საბაზრო მეურნეობაზე. სახელმწიფოს სურს მხოლოდ ნაწილი პროდუქციისა შეისყიდოს, 60-ვი თუ 70-ი პროცენტი. სახელმწიფო საგეგმო კომისიას სურს მოგვაწოდოს მხოლოდ შესაბამისი ნაწილი ნედლი მასალისა. მაგრამ სად უნდა შევიძინოთ ფოლადი, რომელიც წარმოებისათვის გვაკლია? როგორ უნდა მოვამარაგოთ ქარხანა ნედლი მასალით? სად მოვნახოთ საბარგო მანქანების მყიდველები, რადგან სახელმწიფო აღარ ყიდულობს?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

ნელი მასალის ყიდვა, დამზადებული ნაწარმის გაყიდვა, ფასების გამოანგარიშება - მხოლოდ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის პირობებშია შესაძლებელი; "ნახევრად-გეგმიანი-მეურნეობა" და "ნახევრად-საბაზრო-მეურნეობა" კი ვერავითარ დადებით შედეგებს ვერ იძლევა, რაც აღნიშნულ ფაქტისაგან ნათლად ჩანს. "სანამდე ცოცალური გასახელმწიფოება ეკონომიკისა არ მოისპობა, მანამდე არ იქნება კონკურენცია. ეს არის ანი და ბანი ბაზრისა", - ამბობს ლეონიდ აბალკინი, სსრკ-ას მთავრობის თავჯდომარის მოადგილე, მაგრამ გორბაჩოვი ასე შორს ჯერ ვერ მიდის, თუმცა კარგად ხედავს, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობს საბჭოთა, თითქმის, გაკოტრებული სახალხო მეურნეობის,ასეთუ-ისე, გამოჯანსაღების გზაზე.

V.

და რა მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობა? - სსრკ-ას, რუსეთის სოფლის მეურნეობა - თუ მიმდინარე რთველის მსვლელობითაც განვსჯით - მართლა კატასტროფულ მდგომარეობაშია; კიდევ მეტი: "გაკოტრების პირზეა" მიმდგარი, როგორც ამას გერმანული ყურნალი -"შპიგელ-ი" - წერს("შპიგელ", 13 აგვისტო, 1990 წელი, ნომერი 33). მიუხედავად იმისა, რომ ამინდმა მეტად შეუწყო ხელი ხორბლეულის მოსავალს 1990 წლის განმავლობაში, და მიუხედავად იმისა, რომ - როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დეპამინის თანამშრომლების გამოანგარიშებით - ხორბლეულის მოსავალი 215-მ მილიონ ტონას აჭარბებს, ხოლო კრემლის ანგარიშით 260-ც მილიონ ტონამდეც კი მიაღწევს, - ერთი მესამედი ამ მოსავლისა მაინც დაიკარგება, რადგან არ არის ხორბლეულის შესანახი სილოსები=ბეღლები, რკინიგზის ვაგონები თუ საბარგო ავტომობილები, მაგრამ ყველაზე უფრო არის მუშახელის ნაკლებობა.

VI.

ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, უნდა ვეძიოთ საერთოდ კოლექტივიზაციის სისტემაში, რომლის გზით არა მარტო კერძო საკუთრება მიწაზე იქნა აღმოფხვრილი, არამედ ამასთანავე ფიზიკურად განადგურებულ იქნენ ე.წ.-ლი "კულაკები",ე.ი. ყველაზე უფრო მშრომელი გლეხები, რასაც მოყვა ათასობით სოფლების გაძვალცყავება, რის შედეგად ყოველწლიურად ხდებოდა ასი-ათასობით მუშების , სტუდენტების თუ ჯარისკაცების მობილიზაცია ქალაქებში, რომ ხორბლეულის მოკრეფა და შენახვა უზრუნველეყო, რაც შეუძლებელი გახდა. ამას მოყვა ის, რომ საბჭოთა კავშირი, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე უფრო დიდი ნოყიერი მიწა გააჩნია მთელს მსოფლიოში, იძულებული იყო, მაგალითად, უკანასკნელ წლებში სამოცდა-ათიმილიარდი დოლარის ღირებულების ხორბლეული შეესყიდა უცხოეთში, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში.

VII.

და მიმდინარე წელს, როგორც მოსჩანდა, საბჭოთა კავშირი შესძლებდა თავისი მოსახლეობის გამოკვებას, მაგრამ ეს იმედიც არ გამართლდა: აგვისტოს დასაწყისისათვის საბჭოთა კავშირში მოწეული იყო ხორბლეულის მოსავლის მხოლოდ ერთი-მეხუთედი, და მრავალ ადგილას - წვიმების გამო - უკვე ლპება ხორბლეული, რის შედეგად ყოველწლიურად იკარგება ორი მილიონი ტონა ხორბლეული. საბარგო მანქანებზე უკვე დატვირთული ხორბლეულიც კი ლპება, ვინაიდან არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იციან საც წაიღონ მოწეული ხორბალი. როგორც "პრავდა" წერდა, -"სრულიად ცხადი ხდება, რომ ცენტრალურ ორგანოებს უკვე დაკარგული აქვთ კონტროლი არსებულ მდგომარეობაზე".

VIII.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ბოსტნეული მოწევის სფეროში: ბოსტნეულის ერთი-მესამედი გადახნული, ე.ი. განადგურებულ იქნა, რადგან მუშახელი არ არის საკმარისი. ერთი წლის წინათ, ე.ი. 1989 წელში კი გადახნულ იქნა ბოსტნეულის მოსავლის ერთი-მეხუთედი. მუშახელი ქალაქებიდან კი აღარ მიერეკება სოფლის მეურნეობის მინდვრებზე, რადგან ისინი მოითხოვენ შესაბამის ხელფასს და არ კმაყოფილდებიან მხოლოდ უფასო სადილითა და ერთი ტომარა ბოსტნეულით, როგორც ეს არის დღემდე.

IX.

არც სოფლის მეურნეობის მანქანებით მომარაგებაა სახარბიელო მდგომარეობაში: გასულ წელს საბჭოთა კავშირში დამზადებულ იქნა 350.000-ი ტრაქტორი; ამ-ჯერად კი - სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო - 300.000-ი გამოუყენებელია. ამასთანავე, ყოველი მეხუთე კომბაინი გამოუყენებელია, ვინაიდან არ არიან საკმარისი მძღოლები. ამას ემატება კიდევ ბენზინის უქონლობა ბევრ ადგილებში. ბენზინი ზოგიერთ რაიონებში საერთოდ არ იშოვნება. სსრკ-ს მთავრობის თავმჯდომარემ - ნიკოლაი რიჟკოვმა - შეეცადა პურის ფასი სამმაგად გაეძვირებია მიმდინარე(1990) წლის მაისში, რომ, ამ გზით, - ერთი მხრივ - გლეხებისათვის სოფლის მეურნეობის ნაწარმის შესყიდვის ფასები გადიდებინა, ხოლო - მეორე მხრივ - სოფლის მეურნეობის წაგებით მომუშავე მეურნეობების სუბვენცია შეემცირებინა. მაგრამ პურის ფასების გადიდება შეჩერებულ იქნა მასობრივი პროტესტების შედეგად. სოფლის მეურნეობის პროდუქტების სუბვენცია კი მიმდინარე(1990) წელს უდრის 88-ა მილიარდ მანეთს, რის შედეგად პური საბჭოთა კავშირში იაფია, მაგრამ - როგორც ერთმა მოსკოველმა მასწავლებელმა თქვა - სიიაფის გამო პურს არავინ არ სცემს პატივს; ბავშვები მათი მოტანილი პატარის პურით, ეზოში ფეხბურთს თამაშობენ.

X.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სსრკ-ს სოფლის მეურნეობის ნაწარმის ერთ-მეოთხედს იძლევა საკარმიდამო ნაკვეთები, რომელიც მთელი სახნავ-სათესი მიწების მხოლოდ ხუთ პროცენტსაც კი არ შეადგენს. ეს ფაქტი ნათელჰყოფს, რომ - როგორც ამას მოსკოვის მოქალაქეების 77 პროცენტი მოითხოვს - მიწა დაუყონებლივ გადაეცეს გლეხებს კერძო საკუთრებაში. მაგრამ "პერესტროიკა=გარდაქმნამ" გლეხებს მხოლოდ მიწის იჯარით გაცემა მოუტანა, რასაც გლეხობა ეჭვის თვალით უყურებს, რადგან "ხვალ მოვა ახალი უფროსი კრემლში და ყველაფერს ისევ წაგვართმევს, როგორც ეს ჩვენს ბაბუას უქნეს". სოფლის მეურნეობის მანქანებით მომარაგება კერძო გლეხებისათვის საერთოდ არ არსებობს, სახელმწიფო განაწილების სისტემა კი, როგორც ყოველთვის, ქაოტურია.

XI.

ამგვარად, "რეგულირებადი საბაზრო მეურნეობაც" არსებულ მდგომარეობას საბჭოთა სასოფლო მეურნეობაში ვერ გამოასწორებს. შეიძლება ერთადერთი გამოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალი ამ მდგომარეობიდან დაუყონებლივ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლას, გასაგებია, სსრკ-ას ეკონომიკური სისტემის პირობებში დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან როგორც უნდა მოხდეს საბჭოთა უზარმაზარი ეკონომიკის, ვთქვათ, კერძო საკუთრებაში გადაყვანა?.. მერმეთ: თვით თავისუფალი საბაზრო მეურნეობა ვითომ უნაკლოა?..

## XII.

როგორც ჩანს, თვით თავისუფალი საბაზრო მეურნეობის მანკიერებაზე, ამ-ჯერად, საბჭოთა კავშირში არავინ არ ფიქრობს, ვთქვათ, უმუშევრობის, ფასების სტაბილიზაციის თუ ექსპორტ-იმპორტის გაწონასწორების პრობლემებზე. თვით "სოციალურ დემოკრატიისა" და მის საფუძველ "სოციალურ საბაზრო მეურნეობაზე" საერთოდ არ არის ბჭობაც კი საბჭოთა ინფორმაციის მასობრივ მედიუმებში, რაც თავის მხრივ იმას მოწმობს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგომი პერიოდის ეკონომიკური ცხოვრება, ვთქვათ, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში თუ საქართველოსავით პატარა ქვეყნებში, როგორიცაა შვეცია, დანია თუ ნორვეგია შესწავლილი არ არის, რომ თავიდან აცილებულ იქნას თავისუფალი ბაზრის აღნიშნული მანკიერებანი თუ ეს შესაძლებელია საერთოდ.

## XIII.

ამგვარ ეჭვს გამოვთქვამ იმიტომ, რომ ბოლშევიკური დიქტატორული "გეგმიანი მეურნეობის" ჭეშმარიტი ალტერნატივა არც "წმინდა საბაზრო მეურნეობაა", თუ იგი გაპოხიერებული არ იქნება ს ო ც ი ა ლ უ რ ა დ, ე.ი. თუ "საბაზრო მეურნეობა" არ გახდება "სოციალური საბაზრო მეურნეობა", რომელიც გამომდინარეობს "სოციალურ დემოკრატიიდან". "სოციალური დემოკრატია" სახალხო მეურნეობაში კი ეყრდნობა სამ სვეტს: მწარმოებლების, მშრომელების და მთავრობის ურთიერთ თანამშრომლობას, რომლის დროს "მეჯახეხეზიც", ე.ი. შრომელთა გაფიცვაც, საერთო წონასწორობის დამყარებას ემსახურება, რაც, ამასთანავე, სოციალურ სამართლიანობასაც უწყობს ხელს.

## XIV.

"მწარმოებელი", ამ გაგებით, შეიძლება იყოს კერძო მესაკუთრე, საზოგადოებრივი საკუთრების "მენეჯერი" თუ კოოპერატიული საკუთრების მმართველი; ეს არსებითი არ არის; არსებითია ის, რომ იგი(მწარმოებელი) საბაზრო მეურნეობის ქსელში ებმება და წარმოებას წარმართავს როგორც მესაკუთრე თუ მესაკუთრის ფუნქციის აღმსრულებელი.

"შრომელები" ზრუნავენ არა მარტო საკუთარი სოციალური უზრუნველყოფისა და შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, არამედ, ამავე დროს, ხელს უწყობს "წონასწორობის" დამყარებას "კაპიტალსა" და "შრომას" შორის, რაც - თავის მხრივ - თავისებური "ინდიკატორია" სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობისა, რომლის დროს თავისუფალი საბაზრო მეურნეობა ხელფასისა და ფასების წონასწორობის ბარომეტრია. და თუ მწარმოებელი შეეცდება ამგვარი წონასწორობა "კაპიტალსა" და "შრომას" შორის პირველის სასარგებლოდ დაარღვიოს, მაშინ მშრომელებს გააჩნიათ ბრძოლის წარმოების ეფექტური საშუალება - გაფიცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობა არაპირდაპირ, არსებითად, საგადასახადო სისტემითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით ხელს უწყობს თავისუფალი საბაზრო მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას, რომლის დროს სახელმწიფო ეკონომიკურ ცხოვრებაში იმდენად ერევა, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა "კაპიტალის"(მწარმოებელი) და "შრომის"(მშრომელები) ურთიერთობის "სოციალური საბაზრო მეურნეობის" გზით წარმართვა.

XV.

ამდენად, ლოზუნგი "რეგულირებადი საბაზრო მეურნეობა" წინააღმდეგობრივი ცნებაა, რადგან იგი "გეგმიანი მეურნეობისა" და "თავისუფალი საბაზრო მეურნეობის" ჰერმაფროდიტია, ე.ი. არც "წყალია" და არც "ღვინო". ალბათ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლეონიდ აბალკინიც "ტოტალური გასახელმწიფოებული ეკონომიკის მისპობას" და დაუყონებლივ "საბაზრო მეურნეობის" შემოღებას ქადაგებს.

XVI.

მაგრამ - როგორც დემოკრატიის უმაღლესი ფორმაა "სოციალური დემოკრატია", ე.ი. დემოკრატიული უფლებების სოციალური კომპონენტით გაპოხიერება, რომ ადამიანს ეკონომიკურადაც შეეძლოს დემოკრატიული უფლებებით სარგებლობა, - ასევე "საბაზრო მეურნეობის" უმაღლესი ფორმაა "სოციალური საბაზრო მეურნეობა", რომლის მაგალითს გვაძლევს, უპირველეს ყოვლისა, შვეცია, სადაც სოციალური საბაზრო მეურნეობა ეყრდნობა სამ სვეტს: მწარმოებლების, მშრომელებისა და მთავრობის ურთიერთ თანამშრომლობას, რომლის დროს ეს "სამი სვეტი" ერთმანეთის, ასე ვთქვათ, "კონტროლის" ფუნქციასაც ასრულებს.

XVII.

ამგვარი არსებითი ეკონომიკური რეფორმის წინაპირობაა, ჩვენის აზრით, საბჭოთა კავშირში ძალით თავმოყრილი ქვეყნების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენა-გამოცხადება, რის შემდეგ, ვთქვათ, საქართველო შეძლებს არა მარტო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების "სოციალური საბაზრო მეურნეობის" სისტემაზე გადაყვანას, არამედ მისი წინაპირობის "სოციალური დემოკრატიის", დემოკრატიის ამ უმაღლესი ფორმის, განხორციელებას, როგორც ეს იყო საქართველოში 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის "პატარა 'ოქროს ხანაში'".

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1990 წლის აგვისტო

---

## საქართველოს პროფკავშირების დამოუკიდებელი კონფედერაცია

სოციალური დემოკრატიის, დემოკრატიის ამ უმაღლესი ფორმის,-ბაზაა სოციალური საბაზრო მეურნეობა, რომელიც - თავის მხრივ - ეყრდნობა სამ სვეტს:
1. კერძო, საზოგადოებრივ თუ კოოპერატიულ მწარმოებლთა,
2. შრომელთა, ე.ი. პროფკავშირთა და
3. მთავრობის - ურთიერთ თანამშრომლობას, და, თუ საჭიროა, "შეჯახებასაც" კი, რომლის დროს მშრომელებს გააჩნიათ თავიანთი უფლებების დაცვის ბასრი იარაღი - გაფიცვა.

და ლოგიკურია, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვარგარეთის ბიურომ ესალმება საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის დაარსებას; და აქვე ვაქვეყნებთ მის "დამოუკიდებლობის დეკლარაციას"("კომ.", 10.8.1990):

# საქართველოს პროფკავშირების დამოუკიდებლობის დეკლარაცია

**საქართველოს** დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია, რომელიც **გამოხატავს** მასში შემავალ პროფესიულ კავშირებში გაერთიანებულ მშრომელთა ნებას, **ხელმძღვანელობს** რესპუბლიკის მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის ეფექტიანი განხორციელების აუცილებლობით, **მიზნად ისახავს** საქართველოში სუვერენული პროფკავშირული მოძრაობის განვითარებას და

**აცხადებს**

სრულ დამოუკიდებლობას საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური ორგანოსაგან, ნებისმიერი სახელმწიფო, სამეურნეო მართვის ორგანოებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია:

— მოქმედებს საქართველოს ფარგლებში და იცავს მასში მცხოვრები ხალხების ინტერესებს:

— წარმოადგენს კონფედერაციულ საწყისებზე აგებული საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირული მოძრაობის დამფუძნებელს და ორგანიზატორს:

— ცნობს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, მოქმედებს საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობისა და საერთაშორისო-სამართლებრივი ფუძემდებლური ნორმების შესაბამისად.

— თავის უფლებებსა და მოვალეობებს ახორციელებს არჩევითი ორგანოების მეშვეობით საკუთარი წესდების საფუძველზე:

— თავის საქმიანობას აგებს თანასწორუფლებიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპებზე როგორც კონფედერაციის შიგნით, ასევე სხვა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან;

— ისწრაფვის მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის მიერ მის სუვერენულ სუბიექტად ცნობისა და დამოუკიდებელი მონაწილეობისაკენ;

— გამოდის კონფედერაციაში გაერთიანებული პროფკავშირული ორგანიზაციების წევრთა სახელით;

— თანაბარი უფლებების გარანტიას აძლევს მასში გაერთიანებულ პროფკავშირის წევრებს მათი ეროვნების, წარმომავლობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, სქესის, განათლების, პოლიტიკური შეხედულებების, სარწმუნოების, დასაქმების ხასიათისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად;

— დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის ეკონომიკურ სტატუსს, საბანკო (საგარეო ეკონომიკურის ჩათვლით) სისტემას, აყალიბებს კონფედერაციის პროფკავშირულ ბიუჯეტს.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია მოუწოდებს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, სახელმწიფო და სამეურნეო მართვის ორგანოებს, რესპუბლიკის მოსახლეობას სამოქალაქო თანხმობისაკენ.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია ილვწის საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად.

**მიიღო საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის საბჭომ 1990 წლის 8 აგვისტოს.**

ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე

# გურამ მუხაიძე



გურამ მუხაიძე დაიბადა 1948 წლის 2 ოქტომბერს ქ. თბილისში, მუშის ოჯახში.

1966 წელს დაამთავრა ქ. თბილისის მე-8 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. სადიპლომო შრომისათვის მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა თსუ ალკკ კომიტეტის მდივნის განთავისუფლებულ მოადგილედ, თსუ სკკპ ისტორიის კათედრის დოცენტად. 1978 წლის გაზაფხულზე 30 წლის ასაკში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მალე მიენიჭა პროფესორის წოდება. 1980-1983 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კონსულტანტად 1984-1988 წლებში — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სექტორის გამგედ. 1988 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის სოციალურ-პოლიტიკური თეორიების კათედრის გამგედ.

გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, რომლებიც მიძღვნილია მარქსიზმის ისტორიისა და პოლიტოლოგიის ზოგადი საკითხებისადმი. ჯერ კიდევ უძრაობის წლებში გამოქვეყნებულ შრომებში დასაბუთებული აქვს მრავალპარტიული სისტემის შემოღების, საბაზრო მექანიზმის დამკვიდრების, ეროვნული თავისუფლების მოპოვების აუცილებლობა.

1989 წლის 28 ნოემბერს პარიზში შემდგარმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს კრებამ კოოპტაციის წესით შეიყვანა ბიუროს შემადგენლობაში. 1990 წლის 7 თებერვალს შეუწყვიტა წევრობა სკკპ რიგებში. 1990 წლის 24-25 თებერვალს საქართველოს სდპ V ყრილობაზე აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ.

გურამ მუხაიძე ცოლშვილიანია. მეუღლე — ლალი დანელია პროფკავშირული მუშაკია. ვაჟი და ქალიშვილი — საშუალო სკოლის მოსწავლეებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრუნო კრაისკის გარდაცვალება

1990 წლის 29 ივლისს, ავსტრიის დედაქალაქში - ვენაში - გარდაიცვალა ავსტრიის კანცლერი(მთავრობის თავჯდომარე) 1970-1983 წლებში, ავსტრიის სოციალისტური პარტიის ლიდერი და სოციალისტური ინტერნაციონალის ვიცე-პრეზიდენტი - ბრუნო კრაისკი. ბრუნო კრაისკი დაიბადა ვენაში 1911 წლის 22 იანვარს და მთელი თავისი ცხოვრება მოღვაწეობდა ავსტრიის სახელმწიფოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის, და,მას ზევით, სა-ერთა-შორისო მშვიდობიანობისა და სოლიდარობისათვის.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნა ავსტრიის სოციალისტურ პარტიას.
ავსტრიის კანცლერისა და სოციალისტური პარტიის თავჯდომარის დოქტორ ფრანც ვრანიცკის საპასუხო წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია:

"ბრუნო კრაისკის მისწრაფება მშვიდობიანობის შენარჩუნებისაკენ, მისი თავდადება ჰუმანური იდეალების, დემოკრატიისა და სამართლიანობისადმი, - მომავალშიც განსაზღვრავს ჩვენს მოღვაწეობას აქ, ავსტრიაში და ყველგან, სადაც საჭირო იქნება".

**SPÖ**

INTERNATIONALES SEKRETARIAT
INTERNATIONAL SECRETARY'S OFFICE
BUREAU DU SECRETAIRE INTERNATIONAL

1014 Wien, Löwelstraße 18 Tel.: (0222) 53 427/280/281
Telex: 114 198 SPOZS A Telefax: (0222) 535 96 83

Vienna, August 2oth 199o

Dear friend,

On behalf of the Socialist Party of Austria we may express our thanks for the sympathy with which you shared into our profound sadness over the loss of Bruno KREISKY, to whom we all owe so much. Your sympathy is proof for us that the spirit of this great statesman, of this outstanding democrat and deeply appreciated representative of our movement will continue to reign amongst all those who had the privilege to know him.

Bruno KREISKY's dedication to peace, his unconditional commitment to the humanitarian ideals of mankind which he advocated and defended wherever and whenever peace, democracy and justice were at stake will further determine our work, here in Austria and where needed.

Sincerely

Dr. Franz Vranitzky

Dr. Peter Jankowitsch

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვალენტი რიყამაძის გარდაცვალება

1990 წლის 7 აგვისტოს, პარიზში, 86 წლის ასაკში, გარდაიცვალა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროსა და ჟურნალ "ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგიის წევრი - ბატონი ვალენტი რიყამაძე.

ვალენტი(კიტა) რიყამაძე დაიბადა 190 წელს საჩხერის რაიონში და გარდაიცვალა პარიზში 1990 წლის 7 აგვისტოს, და დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე. (დაბადების დღე: 30 აგვისტო, 1905 წ.).

ვალენტი რიყამაძის მამა იყო მღვდელი და თავისი მოვალეობით უახლოეს კავშირში იყო ხალხთან, განსაკუთრებით ჩვენს ინტელიგენციასთან; ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ვალენტი რიყამაძის ნათლია იყო ჩვენი ცნობილი მოაზროვნე და მწერალი გრიგოლ რობაქიძე.

ვალენტი რიყამაძე, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

მაგრამ,- მიიღო რა აქტიური მონაწილეობა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში,- იგი გადაასახლეს რუსეთში, სუზდალში, სადაც მან ხუთი წელიწადი დაჰყო იზოლატორში; შემდეგ მას მიუსაჯეს გადასახლება, რომლის ძალით მას ცხოვრება არ შეეძლო საქართველოში და რუსეთის ექვს დიდ ქალაქში. ამ პერიოდში ის გადასახლებული იყო სვერდლოვსკის ოლქში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის მოადგილე - გრიგოლ ლორთქიფანიძესთან ერთად, და როცა გადასახლება ისევ გაუგრძელეს, ვალენტი რიყამაძე და გრიგოლ ლორთქიფანიძე ერთმანეთს დააშორეს.

ამ გაუთავებელი გადასახლების პირობებში, ვალენტი რიყამაძემ შეირთო ცოლი, ეყოლა ერთი ქალიშვილი, რომელიც არაერთხელ ესტუმრა მამამისს, პარიზში,თავისი ერთადერთი ვაჟიშვილით, რაც ბედნიერება იყო როგორც ვალენტის, ისე მისი შვილისა და შვილიშვილისათვის.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების დროს ვალენტი რიყამაძე გადასახლებაში იყო ქალაქ ორიოლში, როცა ეს ქალაქი გერმანელებმა დაიპყრეს. არც გერმანელების ხელში ხვდა ბედნიერება წილად ვალენტი რიყამაძეს: ის დააკავეს და ჩარიცხეს სამუშაო"ბატალიონში"=რაზმში. ომის დამთავრების შემდეგ კი, დახლოებით, ას ქართველთან ერთად, მოხვდა იტალიაში და მოექცა ვატიკანის მფარველობის ქვეშ. შემდეგ კი შესძლო საფრანგეთში ჩამოსვლა, სადაც იგი მაშინათვე მოეწყო მუშათ პეჟოს საავტომობილო ქარხანაში და მუშაობდა დიდი თავდადებით, რის შედეგად სოციალურად უზრუნველყოფილი იყო მთელი ცხოვრების განმავლობაში, პენსიაზე გასვლის შემდეგაც.

მაგრამ ვალენტი რიყამაძე არ კმაყოფილდებოდა მარტო სოციალურად უზრუნველი ცხოვრებით; იგი აქტიურად განაგრძობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის - პარიზის ორგანიზაციაში - მუშაობას,რომლის დროს იგი არჩეულ იქნა პარიზის ორგანიზაციის მდივნად. ვალენტი რიყამაძის წერილები კი იბეჭდებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოებში.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობაზე კი, 1990 წლის 24-25 თებერვალს, თბილისში, - იგი არჩეულ იქნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროსა და საზღვარგარეთელი ბიუროს ჟურნალის "ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგიის წევრად.

ვალენტი რიყამაძე იყო მკაცრი თავისი-თავისა და სხვების მიმართაც, ვინაიდან მას გულწრფელად სწამდა, რომ როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში საჭიროა "დაუნდობელი ბრძოლაც კი", თუ საქმე ამას მოითხოვს. მაგრამ მას ასულდგმულებდა რწმენა, რომ "აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია". ამ რწმენით არის, მაგალითად, გამსჭვალული მისი სტატია -"ქართველი ერი ისტორიის პირისპირ"("ჩვენი დროშა", 4-118, მაისი, 1990 წელი), რომელშიც - ეხება რა დღესდღეობით საქართველოში არსებულ მეტად დაძაბულ მდგომარეობა -, სხვათა შორის, წერს:"ქართული ჭირ-ვარამი თითქოს დასასრულს ეძლევა, ჩვენი ეროვნული გამოფხიზლების და აღორძინების საკეთილდღეოდ".

და მიუხედავად მისი ასაკისა, ვალენტი რიყამაძე ახალგაზრდული აღტაცებით ადევნებდა თვალყურს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და ისევ-და-ისევ გამოთქვამდა რწმენას, რომ ქართველი ხალხი, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობა დიდი, დიდი პოლიტიკური კულტურის მქონეა, და იცის, - მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა,- მოქმედება შეუთავსოს არსებულ რეალურ მდგომარეობას.

საუკუნო იყოს ხსენება მისი!..

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო
პარიზი-ლევილი, 1990 წლის აგვისტო

"ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგიის
სხდომა

1990 წლის 30 სექტემბერს შედგა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს ოფიციალური ორგანოს "ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგიის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა მიმდინარე საკითხები.

"ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგიაში არჩეულ იქნა ბატონი ალექსანდრე(ჯაბა) ხაბულიანი.

- . - . - . - . - . -

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართული სათვისტომოების ცხოვრება

## 26 მაისის დღესასწაული პარიზში.

ქართულმა სათვისტომომ საფრანგეთში - 26 მაისის დღესასწაული ჩაატარა ქალაქ სან-კლუს, პარიზის გარეუბნის, მუნიციპალიტეტის დიდ დარბაზში, 1990 წლის 9 ივნისს, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის ამ დღესასწაულმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღო იმით, რომ მას დაესწრო სტუმრები საქართველოდან, რომელთა შორის იყვნენ საქართველოში დღეს არსებული სხვადასხვა პარტიებისა და პოლიტიკური დაჯგუფებების წარმომადგენლები:

ქალბატონი ნანა ნემსაძე, მწვანეთა მოძრაობა;
ბატონი გუჯა აფაქიძე, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება;
ბატონი გურამ ბერიშვილი, თბილისის პოლიტიკური კლუბი;
ბატონი დავით გამყრელიძე, დემოკრატიულ ქრისტიანთა კავშირი;
ბატონი გოგი ხოშტარია, ჰელსინკის კავშირი;
ბატონი გიორგი ხონელიძე, მონარქისტული პარტია;
ბატონი ვარლამ კილაძე, ეროვნულ დამოუკიდებლობის პარტია;
ბატონი დავით მარლანია, ფედერალისტ-რესპუბლიკური პარტია,
ბატონი გიორგი ჭანტურია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;
ბატონი თელო პაატაშვილი, ილია მართლის საზოგადოება;
ბატონი ნოდარ ნათაძე, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, რომელიც დაგვიანებით ჩამოვიდა.

მოწვეული იყვნენ აგრეთვე,
ბატონი ზვიად გამსახურდია, ჰელსინკის კავშირი;
ბატონი აკაკი ბაქრაძე, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე;
ბატონი ზურაბ აბაშიძე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია;
ბატონი დავით ბერძენიშვილი, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, მაგრამ პარიზში ვერ ჩამოვიდენ გაურკვეველი მიზეზების გამო.

საქართველოს დამოუკიდებლობის 72-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული გახსნა ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ საფრანგეთში ბატონმა ხერუ მელიავამ, რომელმაც მოკლედ შეეხო 26 მაისის დიდ ეროვნულ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა ოთარ ზურაბიშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე სტუმრებმა საქართველოდან - ქალბატონმა ნანა ნემსაძემ, ბატონმა გოგი ხოშტარიამ და ბატონმა ნოდარ ნათაძემ.

26 მაისის დღესასწაულის ოფიციალური განყოფილების დასაწყისში, როგორც წესი, შესრულებულ იქნა ეროვნული ჰიმნი "დიდება" და ფრანგული ეროვნული ჰიმნი "მარსელიეზა". 26 მაისის ოფიციალური განყოფილების დასრულების შემდეგ კი, მომღერალთა გუნდმა - ოთარ პატარიძის ლოტბარობით, - შეასრულა ქართული ეროვნული სიმღერები; შესრულებულ იქნა აგრეთვე ქართული ხალხური ცეკვები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 26 მაისის დღესასწაული მიუნხენში

1990 წლის 25 მაისს, შაბათს, ქართულმა სათვისტომომ გერმანიაში, პირველად, ათეული წლების შემდეგ, აღნიშნა ჩვენი ეროვნული დღესასწაული - 26 მაისი, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო თვით საქართველოდან ჩამოსული სტუმრების ჩათვლით.

26 მაისის საზეიმო დღესასწაული გახსნა ბატონმა ქრისტეფორე კირკიტაძემ, ქართული სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარემ გერმანიაში. მან აღნიშნა, რომ 26 მაისის დღესასწაული დღემდე არ ტარდებოდა, რადგან გვეშინოდა, როგორც მან თქვა, "რეპრესალიების" და არ გვინდოდა კავშირების გაწყვეტა. და თავისი მოკლე სიტყვა დაამთავრა ეროვნული შთაგონებით:

გაუმარჯოს საქართველოს!
გაუმარჯოს ქართველ ერს!
გაუმარჯოს სხვა ერების შვილებს, რომლებიც პატივს სცემს ქართველ ხალხს!

გერმანულად იგივე სიტყვები თარგმა ქალბატონმა თამარა გეგელაშვილმა, ხოლო ამ ღირსშესანიშნავ თავყრილობას თამადობდა ბატონი ექიმი ვახტანგ ჩხაიძე. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, რომ დაწყებული 1950-იან წლებიდან, როცა ქართული სათვისტომოს მაშინდელი თავმჯდომარე ბატონი სანდრო კორძაია, - სხვათა შორის, ქალაქ ფოთის ქალაქისთავი საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, - გარდაიცვალა, ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეებათ, სხვადასხვა დროს, იყვნენ ბატონები გიორგი მალალაშვილი, ვანო ანდრონიკაშვილი, ნიკო ნაკაშიძე და ექიმი გიორგი ვეფხვაძე. ამ თითქმის ერთი-მესამედი საუკუნის განმავლობაში, ქართული სათვისტომო ზოგჯერ აღნიშნავდა ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს - 26 მაისს - "მორცხვად".

მაგრამ რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქცია, რომლის ხელმძღვანელი იყო დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე - რაჟდენ(მიშა) არსენიძე, ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს ყოველწლიურად მართავდა რადიორედაქციის სახელით, რომელსაც, რადიორედაქციის წევრებს გარდა, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები ესწრებოდენ. თვით საზეიმო დღესასწაულზე კი ხდებოდა რადიო"თავისუფლების"(მაშინ"განთავისუფლების") სპეციალური პროგრამების მოსმენა 26 მაისის დიდი ეროვნული მნიშვნელობის შესახებ. ეს, ასე ვთქვათ, "გაყოფა" რადიო"თავისუფლებასა" და ქართულ სათვისტომოს შორის, როგორც ჩანს, დღეს მთავრდება, რაც მისასალმებელია.

საქართველოდან ჩამოსულ ქართველ სტუმრებს შორის - ესეც უნდა აღინიშნოს - იმყოფებოდა ჩვენი, აწ უკვე მთელს მსოფლიოში კარგად ცნობილი დიდი ხელოვანი - პაატა ბურჭულაძე, თავისი შესანიშნავი მეუღლითა და შვილებით.

კ.ი., მიუნხენი, 1990 წლის 26 მაისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## "ლ ე ვ ი ლ ო ბ ა"

ლევილის ქართულ მამულში, პარიზიდან საახლოებით 30 კილომეტრის დაშორებით, მიმდინარე 1990 წლის 22 ივლისს, კვირას, სხვათა შორის, მშვენიერ მზიან ამინდში, ჩატარდა "ლევილობა", ქართული მამულის 68-ე წლის შესრულების დღესასწაული, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო, მათ შორის, სტუმრები საქართველოდან.

"ლევილობის" დღესასწაული გახსნა ლევილის ქართული მამულის ადმინისტრაციის თავჯდომარემ - ბატონმა მამია ბერიშვილმა, რომელმაც მის შესავალ სიტყვაში აღნიშნა ლევილის ქართული მამულის ისტორიული მნიშვნელობა, და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ლევილის ქართული მამული შეისყიდა დამოუკიდებელი მთავრობის ეროვნულმა მთავრობამ - ნოე ჟორდანიას მეთაურობით, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრება; და ეს ქართული მამული საბოლოოდ უნდა ჩაბარდეს მის ერთადერთ კანონიერ მესაკუთრეს - ქართველ ხალხს.

ბატონ მამია ბერიშვილმა შემდეგ აღნიშნა, რომ გასული წლის "ლევილობიდან" დღემდე მრავალი ჩვენი მამულიშვილი გარდაიცვალა უცხო მიწაზე, და დამსწრე საზოგადოებას თხოვა ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ ჩვენი გარდაცვლილი თანამემამულეების მარადიულ ხსოვნას. სტუმართა ადგომისა და ერთწუთიანი დუმილის შემდეგ, ბატონმა მამია ბერიშვილმა სიტყვა მისცა ბატონ კარლო ინასარიძეს, რომელმაც მოკლე შეეხო ლევილის ქართული მამულის რაობას (სიტყვა იბეჭდება აქვე). ამის შემდეგ, ბატონმა ყან ციციშვილმა "ლევილობის" საზეიმო სადილის თამადის მოვალეობის შესრულება თხოვა ბატონ კარლო ინასარიძეს, რის შემდეგ გაიმართა თანასუფრელთა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომლის დროს არაერთი ეროვნული გრძნობით გამსჭვალული სადღეგრძელო წარმოისთქვა, რომელთაგან ავღნიშნავთ ბატონების მამია ბერიშვილის, ყან ციციშვილის, ორესტ გორდელაძის, ვალენტი რიყამაძის თუ საქართველოდან ახალგაზრდა სტუმრის გიორგი ბერეყიანის შთამაგონებელ სიტყვებ-სადღეგრძელოებს.

განსაკუთრებული სადღეგრძელო წარმოითქვა იმ ჩვენი მანდილოსნების საპატივცემლოდ, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს "ლევილობის" არა მარტო მიმდინარე წლის დღესასწაულის მოწყობა-გამართვაში. განსაკუთრებით აღნიშნულ იქნა ქალბატონი ლიდა ნოზაძის, ქალბატონი ბოკუჩავას, ქალბატონი ქრისტიან ბერიშვილის, ქალბატონი ნუცა თაყაიშვილი-გორდელაძისას, ქალბატონი ნუცა რამიშვილისა და სხვების დიდი შრომა და გულისყური მიმდინარე წლის "ლევილობის" გამართვის საქმეში.

- . - . - . - . - . - . -

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლ ე ვ ი ლ ო ბ ა - 1990

## ლევილის ქართული მამულის 68 წლისთავი(ივნისი,1922 წ.)

I.

მიმდინარე 1990 წელს, - ავღნიშნავთ რა ლევილის ქართული მამულის 68-ე წლისთავს, - ნორმალურია, მოვიგონოთ ის შესანიშნავი თაობა, რომელმაც საქართველოს, ქართველ ხალხს, ქართველ ერს შეუქმნა-შეხმინა არა მარტო ეს ჩვენი ქართული კერა, ლევილის ქართული მამული, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებაა, არამედ საძირკველი ჩაუყარა და გა-ფურჩქვნის გზაზე დააყენა მთელი საქართველო, როცა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რომელსაც 1918-1921 წლებში მო-ყვა "პატარა'ოქროს ხანა'", რითაც 26 მაისი გახდა ბრწყინვალე ეროვნული ისევ-განახლების დღესასწაული.

II.

26 მაისის შესანიშნავმა თაობამ, - გაასრულყოფილა რა "პირველდასელთა" და "მეორედასელთა" იდეები, - მოახდინა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძო-ლის სოციალური კაპოხიერება,როცა,1893 წლის 7 თებერვალს, სამოქმედო პროგრამის საფუძვლად -"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადა-მიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა" - აქცია, რის განხორციელება სწორედ 1918 წლის 26 მაისს დაიწყო.

III.

მაგრამ 1918 წლის 26 მაისი 1921 წლის 25 თებერვალმა დაჩრდილა, როცა ლე-ნინის საბჭოთა რუსეთი მეფის რუსეთის იმპერიალისტურ გზას დაადგა და, მიუ-ხედავათ საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრუ-ლებისა, რომლითაც რუსეთმა დე ფაქტო და დე იურე იცნო საქართველოს სახელ-მწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, - დაარღვია ეს საზავო ხელ-შეკრულება და ომის გამოუცხადებლად, ხუთი მხრიდან, თავს დაესხა საქართვე-ლოს და მწვავე ბრძოლების შემდეგ, რომლის დროს საქართველოს ახალგაზრდა არმიამ არაერთი მწარე მარცხი აგემა მომხდურ მტერს, განსაკუთრებით, ჩვენი დედაქალაქის,თბილისის მისადგომებთან-ტაბახმელაზე, - დაიპყრო დამოუკიდებე-ლი საქართველო და იგი ისევ რუსეთის თავისებურ კოლონიად აქცია, რაც გრძე-ლდება დღემდე.

IV.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, საქართველოს დამფუძ-ნებელი კრების გადაწყვეტილებით, იძულებული გახდა დაეტოვებია საქართველო, რომ განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენისათვის უცხოეთიდან. ჩვენმა ეროვნულმა მთავრობამ თავი შეაფარა საფრანგეთს, დემო-კრატიის ამ ერთერთ ბურჯს მთელს მსოფლიოში, და დაუყონებლივ მიიღო ზომები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისათვის, რომ უცხოეთში ქართველი პოლიტიკური ემიგრანტებისათვის შექ-მნა შესაფერისი ქართული კერა; და ამ მიზნით, 1922 წლის ივნისში, შეისყი-და, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრება, - ლევილის შატო მამულით, პარიზიდან 30 კილომეტრის დაშორებით, რომელიც დღეს ლევილის ქართულ მამულად იწოდება.

V.

რა ეკონომიკური გაჭირვება არ გადაიტანა ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრა-ციამ დაწყებული 1921 წლიდან, როცა ჩვენი ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ისე როგორც საქართველოს თავისუფლებისათვის რიგითი მებრძოლნი იძულებული გახდენ დაეტოვებიათ საქართველო?!.. და ქართველ პოლიტიკურ ლტოლ-ვილთა მთავარ კერად, დროთა განმავლობაში, იქცა ლევილის ქართული მამული, სადაც სხვადასხვა დროს ცხოვრობდენ ჩვენი ერის გამოჩენილი შვილები - ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი, რაჟდენ(მიშა) არსენიძე, გიორგი ერაძე, ცნობილი რუს-თველოლოგი ვიქტორ ნოზაძე, სამსონ ფირცხალავა თუ ფილიპე შარაძე.

ლევილის ქართული"მამულის-დედათ" კი იწოდებოდა ნამეტია ბერძენიშვილი-გო-გუაძისა, რომელიც 1923 წლიდან ცხოვრობდა ლევილის ქართულ მამულში და გა-სულ წელს გარდაიცვალა 97 წლის ასაკში,და დაკრძალულია ლევილის ქართულ პან-თეონში.

VI.

ლევილის ქართული მამული იყო და არის აგრეთვე ქართული გამომცემლობის ერთ-ერთი კერა. აქ იბეჭდებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების დიდი უმრავლესობა, რომლებიც გამოიცა უცხოეთში. ლევილის ქართულ სტამბაში კი დღესაც შემორჩენილია ლინოტიპი, რომელზედაც იბეჭდებოდა, სხვა მრავალთა შორის, ჟურნალები "მებრძოლი საქართველო", "ჩვენი დროშა" თუ ვიქტორ ნოზა-ძის მეცნიერული ნაშრომები. პოეტი გიორგი ყიფიანი კი თვითონ მუშაობდა ლი-ნოტიპზე და ამ გზით გამოსცა მის ლექსთა შესანიშნავი კრებულები. ლევილის ქართული სტამბის მუშაკებიდან აღსანიშნავია, სხვათა შორის, ისიდორე ქარსელაძე, ვიქტორ ნოზაძე, ილია თაყაიშვილი თუ გიორგი ყიფიანი.აქვეა აგრეთვე "ჩვენი ბიბლიოთეკა" წიგნთსაცავითურთ, რაც უნიკალური მნიშვნელო-ბის საუნჯეა.

VII.

ლევილის ქართული მამულის შატოს მთავარი დარბაზი კი არის თავისებური პა-ტარა მუზეუმი, რომლის კედლებზე გამოკრულია საქართველოს პრეზიდენტის და მთა-ვრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიასა და მინისტრების სურათები, რომელთა ცენტრშია "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი", რომელიც ხელმოწერილია საქ-ართველოს ეროვნული საბჭოს დეპუტატების მიერ, თბილისში, მთავრობის სასახ-ლეში, 1918 წლის 26 მაისს.

VIII.

ამგვარად, ლევილის ქართულ მამულის შატოს მთავარ დარბაზში გამოფენილი სუ-რათები და დოკუმენტები დიდ ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებს ლევილის ქართულ მამულს განსაკუთრებით ახლა, როცა საქართველოში გზა გახსნილი მოსჩანს 26 მაისის დიადი იდეების განხორციელებისაკენ "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციზაციის" პროცესის შედეგად, თუმცა ეს გზა დღესაც არანაკლებ ეკლიანი ჩანს, რაც ჩვენგან, როგორც პოლიტიკურ ემიგრაციაში, ისე საქართველოში, დიდ, დიდ სიფრთხილეს, წინდახედულობას, სიდინჯეს, ყოველი საკითხის "ასჯერ აწონ-დაწონვას" მოითხოვს. შევეცადოთ, რომ,საქართველოს თავისუფლების გზაზე,უკანასკნელი იყოს ისეთი ტრაგედია, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1989 წლის 9 აპრილს,თბილისში.

IX.

ფრთხილი, წინდახედული, დინჯი პოლიტიკური მოქმედების მაგალითებს კი ჩვენ გვაწვდის საქართველოს დამოუკიდებლობის - 1918-1921 წლების - გამოცდილება, და ამ "პატარა 'ოქროს ხანის'" შემქმნელი თაობა. გულში უნდა ჩავიჭდოთ: მთავარია,თავისუფლებისათვის ბრძოლის ამ ეტაპზე,არა ის, რაც ცალკეულ პარტიებს, პოლიტიკურ დაჯგუფებებს თუ პირებს ერთმანეთისაგან ჰყოფს, არამედ ის, რაც ჩვენ გვაერთებს. ჯერ კიდევ მეფის რუსეთის ბატონობისას საქართველოში, 1893 წელს, ნოე ჟორდანია ამბობდა:

X.

"ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წესრიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის-თავს ერთ ერათ. ჭირში და ლხინში განუყრელათ, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ 'მე'-ზე და ამას შეგნებულად იცავს. მაგალითად, ფრანგები, არისტოკრატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი, ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულ ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაუღალავათ ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთად დგებიან, ერთი დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორესთვის თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით-არსებობას განსაცდელი მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილებია და ქვეყანას აღგავს უპირებს. ამ შემთხვევაში იღვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი სამარ ველზე ხელი-ხელ გაყრილნი გამოდიან. ეს არის ეროვნობის არსებითი თვისება, ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით".

XI.

ეს მარტივი და ყველასათვის გასაგები ჭეშმარიტება, როგორც ჩანს, დღეს, განსაკუთრებით პოლიტიკური ემიგრაციის რიგებში, - ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, - მივიწყებული ან დაჩაჩანაგებულია. ზოგიერთებს ვერ გაუგიათ, ან არ სურთ გაიგონ, რომ რომელიმე პოლიტიკური პარტიის თუ მის ლიდერთა ლანძღვა-გინება, ჩირქს სცხებს, პირველყოვლისა თვით გამლანძღველს, მით უმეტეს მაშინ, როცა ლაპარაკია არა "საქმეზე", არამედ შეთხზულ "ვითომ-ფაქტებზე".

XII.

და რად დაგვჭირდა ყველა აღნიშნულზე ლაპარაკი ამ-ჯერად, აქ, ლევილის ქართული მამულის 68-ე წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულზე? - დაგვჭირდა იმიტომ, რომ ლევილის ქართული მამულის არსებობაც კი ნათელჰყოფს 26 მაისის ჩვენი დიდი თაობის დიდ, დიდ ეროვნულ დამსახურებაზე ჩვენი ხალხის, საქართველოს წინაშე, და სავალალო მდგომარეობაში ექცევიან არა მარტო ის პირე-

ბი, რომლებიც ამ შესანიშნავი თაობის მეთაურთა ლანძღვა-გინებით იჯერებს გულს, არამედ ისინიც, რომლებიც - ერთი მხრივ -, თითქოს, ქება-დიდებით მოიხსენებენ 26 მაისს, მაგრამ - მეორე მხრივ - დუმილით გვერდს უვლიან სწორედ 26 მაისის შემქნელ თაობას, ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

XIII.

ამდენად, აღვნიშნავთ რა დღეს ლევილის ქართული მამულის 68-ე წლისთავს, ვუსურვოთ ჩვენს თავს, განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდობას, - დავრჩეთ 26 მაისის დიადი თაობის ღირსეული მემკვიდრეები; ამისაკენ მოგვიწოდებს ჩვენ ლევილის ქართული მამულის, ამ "პატარა საქართველოს" ისტორიაც კი.

XIV.

მაშ, პატივი ვცეთ ყველა დიდ და რიგით ქართველს, რომლებმაც თავი შესწირეს 26 მაისის დიადი იდეების შექმნა-განხორციელებას, რომლის ერთერთი ნიშან-სვეტია, უცხოეთში, ლევილის ქართული მამული, ლევილის ქართული პანთეონითურთ. დიდება საქართველოს!.. დიდება ქართველ ერს!.. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!..

კ.ი.
ლევილი, 1990 წლის "ლევილობა"

ლევილის "ჩვენი ბიბლიოთეკა"

ლევილის ქართულ მამულში, "ჩვენი ბიბლიოთეკის" პირველი მთავარი ოთახი უკვე აღჭურვილია წიგნის თაროებით და სხვა საჭირო საგნებით, რაც შესაძლებელი გახდა ერთი ქართველის მიერ კიდევ ხუთი-ათასი ფრანკის შემოწირვით. "ჩვენი ბიბლიოთეკის" კარტოტექისა და წიგნების დახარისხების საქმე კი მხოლოდ დაწყებულია, რომლის დამთავრება მეტად შრომატევადი და ამით გართულებულია. ვიმედოვნებთ, რომ ეს სიძნელეები გადალახულ იქნება, რის შემდეგ შესაძლებელი გახდება "ჩვენი ბიბლიოთეკის" სხვა ოთახების შეკეთება-აღჭურვა საჭირო მოწყობილობით, თუმცა სამისო სახსრები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.
"ჩვენი ბიბლიოთეკა" აღჭურვილია აგრეთვე რადიოაპარატით და მაგნეტოფონით, რომლითაც შესაძლებელია მოსმენა "ფიროთეკაში" თავმოყრილ ხმისჩანაწერების ფირზე.

"ჩვენი ბიბლიოთეკის" გამგეობა

ბ ა ლ ა ნ ს ი

"ჩვენი დროშის" 1990 წლის აგვისტოს 5(119) ნომრისა:
გასავალი(გამრავლება,შეკვრა,ფოსტა)..............2 610,-ფრანკი,
შემოსავალი: კარლო ინასარიძე....................2 610,-ფრანკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## აგვისტოს აჯანყების 66 წლისთავის აღნიშვნა ლევილში

1990 წლის 23 სექტემბერს, კვირას, ლევილის ქართულ მამულში, ღრმა ეროვნული შთაგონებით, აღინიშნა პოლიტიკურმა ემიგრაციამ 1924 წლის 28-29 აგვისტოს საერთო სახალხო აჯანყების 66-ე წლისთავი. დილის 11 საათსა და 30 წუთზე ქართველობამ თავი მოიყარა ლევილის ქართულ მამულში, რომლის შატოს ვესტიბიულში აგვისტოს აჯანყებაში დაღუპულთა მოსახსენიებელი ღვთისმსახურება ჩაატარა პარიზის წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის მოძღვარმა, რომელსაც აცილებდა მგალობელთა გუნდი ბატონ ოთარ პატარიძის ლოტბარობით. ღვთისმსახურების დასასრულს გუნდმა შეასრულა ჩვენი ეროვნული ჰიმნი "დიდება". ხალხი შემდეგ დაიძრა ქართულ ძმათა სასაფლაოსაკენ, სადაც განისვენებენ ჩვენი ერის არა ერთი ისტორიული პიროვნება, მათ შორის 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილეები. პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვარმა წირვა ჩაატარა ძმათა სასაფლაოს საერთო აკლდამასთან, და ჩამოუარა აკლდამათა რიგებს და შეჩერდა ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის ყოფილ მოძღვრის - არქიმანდრიტ ილია მელიას აკლდამებთან. მგალობელთა გუნდმა ქართულ ძმათა სასაფლაოზე შეასრულა ჩვენი ეროვნული ჰიმნი.

შემდეგ ქართველობამ თავი მოიყარა ლევილის ქართული მამულის შატოს მთავარ დარბაზში და შატოს წინ გაშლილ სუფრებთან, რომლის დროს სიტყვა წარმოსთქვეს ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ ბატონმა სურმელიავამ და ბატონმა ლევან ფაღავამ. ქართული სადილის შემდეგ, დასასრულს, ლევილის ქართული მამულის ეზოში, რომლის ცენტრში მაღალ ანძაზე ფრიალებდა ქართული ეროვნული დროშა, ისევ შეიკრიბა ქართველობა და შეასრულეს ქართული ეროვნული ჰიმნი "დიდება".

- . - . - . - . -

## გარდაცვლილთა ხსენება

ისიდორე გაყონია, 77 წლის ასაკში, გარდაიცვალა ნიუ-იორკში.

გიორგი ყალაბეგიშვილი გარდაიცვალა 86 წლის ასაკში, ქალაქ ლიონში, და დაკრძალულ იქნა იქვე.

დავით ცორონჯაძე გარდაიცვალა 1990 წლის 5 ივლისს გერმანიაში.

ელენე ბარნოვი გარდაიცვალა 1990 წლის 9 ივლისს პარიზში.

გიორგი ნაკაშიძე გარდაიცვალა, ნიუ-იორკში, 97 წლის ასაკში, 1990 წლის 18 აპრილს.

ვალენტინ (კოტა) რიყამაძე გარდაიცვალა 3 აგვისტოს, 1990 წელს, პარიზში, 86 წლის ასაკში და დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

საუკუნო იყოს ხსენება მათი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საზღვარგარეთის ბიურო

"განუახლდეს მანდატი საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს".

"საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს განახლებულ მანდატს ძალა აქვს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე".

ამონაწერი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქმიდან, ნომერი 2. თბილისი, 1990 წლის 25 თებერვალი

„ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წესრიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის - თავს ერთ ერათ. ჭირში და ლხინში განუყრელათ, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე"-ზე და ამას შეგნებულათ იცავს. მაგ., ფრანგები, არისტოკრატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი. ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულს ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაულალავათ ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთათ დგებიან, ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორისთვის თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით - არსებობას განსაცდელი მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილებია და ქვეყანას ალყას უპირობს. ამ შემთხვევაში იღვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყრილნი გამოდიან. ეს არის ეროვნობის არსებითი თვისება. ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით."

ნოე ჟორდანია 1893 წ.

გ თ ხ ო ვ თ,
გამოსაქვეყნებელი მასალები, წერილები და შემოწირულებანი გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე: M. Alexandre Khabouliany
10, rue Jules Ferry
Leuville sur Orge 91
FRANCE
"ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგია

საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ორგანო
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie